

# მ ი ჯ ნ ა

№2 (7) აპრილი, 2017 წელი

ქრისტე აღდგას! გიხაროდეთ!



სვწიუეფათლის აღდგენის  
100 წლისთავი



# მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 2 (7), აპრილი, 2017

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
ჯემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



---

---

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**100 წლის განმავლობაში გაუქმებული ავტოკეფალია 100 წლის წინ აღდგა!**

პატრიარქის ქადაგება სვეტიცხოველში  
2017 წლის 25 მარტს.....3

ავტოკეფალიის აღდგენის 100  
წლისთავისადმი მიძღვნილი  
კონფერენცია.....4

სიტყვა წარმოთქმული დეკანოზ  
ნიკიტა თალაკვაძის მიერ  
სვეტიცხოველის ტაძარში 1917 წლის 12  
(25) მარტს..... 5

## **რედაქტორის გვერდი**

### **ჯემალ შონია**

31 მარტი, 9 აპრილი: დიახ, ეს არის  
ახალი დიდგორი!.....7

### **კლასიკოსი**

### **ბრიგოლ რობაქიძე**

საქანელა და სახრჩობელა.....9

### **გიორგი სიჭინავა — 75**

უხვი ჭირნახულით  
ხელდამშვენებული.....11

### **ლაშა გვასალია**

ინტენსიური განცდის შემოქმედი.....13

### **ირინე ტალიაშვილი**

ყველაზე ლამაზი ვარდები თქვენ!... ..14

### **ზაურ მოლაშხია**

წერილი მეგობარს.....15

### **გიორგი სიჭინავა**

ლექსები .....16

## **პოეზია**

**გერმანე ფაცაცია**.....21

**ვალერიან ვაკუა**.....23

## **იუბილე**

გაზეთ „აღდგომის“ გამოცემის  
25 წელი.....27

## **პროზა**

### **მურმან ზაქარაია**

თავისუფლებისთვის შეუვალი  
და უკომპრომისო მებრძოლი.....28

### **ანზორ გვარამია**

სტუმრები.....30

## **კრიტიკა**

### **ირაკლი კალანდია**

სერგი დანელია ვაჟა-ფშაველას  
მსოფლმხედველობის შესახებ.....33

### **ბია ბენიძე**

ადამიანი, ვითარცა შუაგულ ზღვაზე  
მოსული თოვლი.....36

## **ესეი**

### **კახა ქაცხაია**

ვირტუალური ალიენციის  
თავისებურებანი.....42

### **მურმან ზაქარაია**

პოეზიის მისტიური ჭვრეტა სულის  
სითეთრეში ესეი.....50

## **თვალსაზრისი**

### **ზურაბ გორგოძე**

კარტოფილის თვალეები.....61

## პატრიარქის ქადაგება სვეტიცხოველში 2017 წლის 25 მარტს



სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

დიდება შენდა, ღმერთო, მადლობა შენდა, ღმერთო.

„დიდ ხარ, შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენი“.

არის ისტორიული მოვლენები, ისტორიული თარიღები, რომელნიც თითქოს აღემატებიან თავის მნიშვნელობას; აღემატებიან, როგორც ისტორიულ მოვლენას. აი, ასეთი ზეთარილი, ზეისტორიული თარიღი არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოს ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია მე-5 საუკუნეში. დიდი ღვანლი, დიდი შრომა გასწია მეფე ვახტანგ გორგასალმა, როცა იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დადგენილ იქნა პირველი კათალიკოსი პეტრე.

რა იქნებოდა საქართველო, რომ არ გვექონოდა ეკლესიის დამოუკიდებლობა?! ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მადლმა ღვთისამ ინება და საქართველოს მოენიჭა იგი.

ცნობილი დიდი კანონისტი, ბალსამონი, ამბობს, რომ საქართველომ და კვიპროსმა ნეტარი პეტრეს დროს მიიღო ავტოკეფალია და თავისუფლება. აი, ამ ორ სიტყვას ხმარობს: ავტოკეფალია და თავისუფლება.

ვმადლობთ უფალს, რომ უფალმა ინება ავტოკეფალიის დადგენა საქართველოში. ტაძრები, რომლებიც აშენდა, წიგნები, რომლებიც დაინერა, ეროვნული კულტურა, რომელიც შეიქმნა ქრისტიანულ ნიადაგზე – ყველაფერი ავტოკეფალიის შედეგია და გილოცავთ მის აღდგენას. იგი იყო გაუქმებული 100 წლის განმავლობაში და აღდგენილ იქნა 100 წლის წინ.

ჩვენ თავს ვხრით კირიონის, ლეონიდეს, კალისტრატეს, ანტონ გიორგაძის და სხვათა წინაშე, რომელთაც დიდი ღვანლი, დიდი შრომა მიუძღვით ამ საქმეში.

ახლა ჩვენ გადავიხდით პანაშვიდს ყველა ჩვენი წინაპრისათვის, რომელთაც იღვანეს საქართველოსთვის და ეკლესიისთვის.

ჩვენთან არს ღმერთი!

25 მარტი, 2017 წელი.

ავტოკეფალიის აღდგენის დღე.  
სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი.

## ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

„მე ვფიქრობ, ყველაფერი ხდება ღვთის განგებით და ღვთის ნებით. საოცარია, რომ პირველად შეიძლება ეკლესიის ისტორიაში სახელმწიფო აღნიშნავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ავტოკეფალია – ეს არის დიდი მონაპოვარი, დიდი ძალა, რომელიც ეძლევა ამა თუ იმ ერს და მეხუთე საუკუნეში, როცა ვახტანგ გორგასალმა მოიპოვა ავტოკეფალია, ეს იყო დასაწყისი ამ დიდი მადლისა. ავტოკეფალია – ეს არ არის მხოლოდ სახელი, ეს არის დიდი ძალა, დიდი მადლი. ვინ ვიქნებოდით ჩვენ, ავტოკეფალია რომ არ ყოფილიყო? ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, ჩვენი ეკლესია და ჩვენ ვმადლობთ უფალს. ჩვენ დღეს ქედს ვიხრით დიდი მამების წინაშე – კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემის, დავითის და სხვა წმინდა მამების წინაშე. მე ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, რომელნიც დღეს აქ ბრძანდებით და აღნიშნავთ ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავს“, – განაცხადა ილია II-მ.



## სიტყვა წარმოთქმული დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მიერ სვეტიცხოვლის ტაძარში 1917 წლის 12 (25) მარტს

არც ერთ კულტურულ-ისტორიულ ერს არ დასტეხია დესპოტურ რუსეთისაგან ისეთი უბედურება და სულიერად თუ ქონებრივად განიავება, როგორც ჩვენ, – ქართველობას! არ ვიცი, რომელი ერთი დავიჩივლო, რომელი ერთი: ჩვენი დამცირება თუ შეურაცხყოფა აღვნიშნო?! რა გვიყო დესპოტიის მომსახურე მოხელეებმა! რამდენჯერ აგვინიოკეს რუსეთთან თავის ნებით, უფლებრივ ტრაქტატით შეკავშირებული სამშობლო! რამდენჯერ მანდილი მოჰხადეს ჩვენს უმანკო დედებს, დებს და შვილებს, ქვეყანას ნამუსი აჰხადეს!.. რამდენი ვაჟკაცი გამხდარან მსხვერპლნი განუკითხავ თვითნებობისა! რამდენ მათგანს დაუღვია სული დესპოტიის ციხე-სატუსალოებში, რამდენთა ძვლებით მოკენჭილა ციმბირის კატორღები და ტუნდრა-ჭაობები?! ოჰ, უსამართლოდ დასჯილნი, უმანკო მსხვერპლნი, ჩვენო მეცხრამეტე საუკუნის დიდო მონმენო, ნეტარო ანტონ კათალიკოზო, ფილადელოს კიკნაძენო, დოდაშვილნი, ისმინეთ ჩვენი თქვენდამი ოხვრა

და სულთქმა! ეხლა მაინც გაიხარეთ სულით!

შემოგვისიეს სხვა და სხვა ერნი!!! ჩამოგვისახლეს ვიგინდარები, გაამეფეს ერთსა სიძულვილი, შური და დამღუპავი ქიშპობა, რომ ერთმანეთი ამოგვეჭამა, რათა ჩვენი მზიანი, ტურფა და ტკბილი სამშობლო ხელიდან გამოგვეცლოდა და მათ დარჩენოდათ...

ესეც არ გვაკმარეს, შეეხნენ ადამიანის წმიდა-წმიდას, – სინდისი შეგვიბლალეს, ჩვენს მცხოვან სვეტიცხოველს გუმბათი გადაუმტვრიეს, ეკლესიას თავი მოსჭრეს; სამშობლოდან გაგვაძევეს, იქ ჩაგვკლეს, ჩაგვასამარეს. ივერიის სამოციქულო ეკლესიას გენერალ ტორმასოვის განკარგულებით რუსეთის სინოდი დაუდგინეს მმართველად ექზარქოსების საშუალებით! რუსეთის ეკლესია, – ეს უმცროსი დაი ივერიის ეკლესიისა – ბატონად დაგვიდგინეს, რათა დები ერთმანეთისათვის შეეძულებინათ. შელახეს და დაარღვიეს ეკლესიური, მსოფლიო კრებათაგან დადგენილი კანონები.



ჩამოგვართვეს ჩვენი ძველისძველი სინმინდე-სამლოცველოები, ტაძარ-მონასტრები, ჩვენი მონამებრივი ერის სისხლით ათასჯერ მორწყულნი და მათ კედლებზე მისხმულ ტვინით გაპოხილნი. ჩვენ განმანათლებელ წმ. ნინოს სათაყვანებელი საფლავიც კი არ დაინდეს, ჩამოგვართვეს, ვიგინდარა მოლოზნებს გადასცეს და ჩვენი ერი გადაგვარების ბუდე-იარაღად დასახეს. გაძარცვეს ხატები, ძვირფასი სამკაულები, ფუთობით თვალ-მარგალიტი გაზიდეს, გაგვალატაკეს! 140 მილიონად შეფასებული ივერიის ეკლესიის ადგილ-მამული ჩამოგვართვეს და სახაზინოდ შერაცხეს, ეკლესიას და მის მსახურთ კი ლუკმა დაუძვირეს, გააჩანაგეს, ეკონომიურ მონობაში ჩაგვყარეს, რათა უფრო ადვილად გავენადგურებიეთ.

ესეც არ გვაკმარეს! ზნეობრივად იმზომ დაგვაქვეითეს ქართველი სამღვდელოება, რომ საკუთარი ხელით ჩვენ თვითონ ვსჩიჩქნიდით თვალებს უფლებაყრილ დედა-ეკლესიას...

წაგვკიდეს ერთმანეთს, დასთესეს ჩვენში ისეთი ღვარძლი, რომ დღესაც – ამ განახლების და აღორძინების მომენტშიაც კი ვერ ავმალლებულვართ და თავი ვერ დაგვიღწევია გამანადგურებელ ინტრიგებისათვის! სამშობლოდან გაგვიძევეს სახელოვანი სწავლულნი, მცოვანი იერარქი კირიონი, გულწრფელნი, ფაქიზნი და სიმართლისათვის წამებულნი – ეპისკოპოზი დავითი და არქიმანდრიტი ამბროსი.

ჩვენი ძმანი და თანამწირველნი სვაგებოვით შესევნიან ჩვენს მონასტრებს და დაურიდებლად ღრღნიან, კრეხავენ! ეს დაკნინებული მტაცე-

ბელი წითელ-ყვითელ ჯვარ-მენდლებით და ლენტ-ბანტ-ორდენ-მიტრებით მორთულ-მოკაზმულნი სიცილ-ხარხარით და უდარდელად დროს ტარებით უფსკრულში მიაქანებენ მშობლიურ ქვეყანას და მის ეკლესიას.

მაგრამ... ჩვენთან არს ღმერთი! დაჰკრა განახლების, აღორძინების და ჩვენი ეკლესიის აღდგინების ჟამმა!.. ვუპატრონოთ მშობელ ეკლესიას, რომლის დედობრივ კალთაში აღიზარდა ქართველი ერის ცნობილი ძველი და ახალი ქრისტიანული კულტურა. ვუპატრონოთ სისხლში განბანილ, მონამებრივ შარავანდედით მოსილ ივერიის ეკლესიას!..

ჩვენი ეკლესია მუდამ სინათლის, სიმართლის და სიყვარულის მთესველი იყო, სანამ მის მაჯისცემას სხვა არ დაუდგა დარაჯად. ის არასოდეს არ ცდილა ერზე გაბატონებულიყო! ჩვენმა ეკლესიამ არ იცის რა არის ევროპული ანუ სინოდალური კლერიკალიზმი, დემოკრატიულ ერის ეკლესია არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა დევნილთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მზრუნველი დედა...

ისმინე, უფალო, შეგვენიე, ჩვენო სასო ღვთისმშობელო, კვართო უფლისაო, მირონო მცხეთისაო, გვიოხეთ, წმინდანო ნინო, მირიან და ნანა, ნეტარო კათალიკოსნო, მღვდელმთავარნო, მეფენო, დედოფალნო და მამულიშვილნო, აქ განსვენებულნო!.. ვფიცავთ, არასოდეს დაგაობლოთ, ჩვენო სვეტიცხოველო!..

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და ავტოკეფალიურ, ჯვარის მტვირთველ ივერიის ეკლესიას!





## 31 მარტი, 9 აპრილი: ღიას, ეს არის ახალი დიდგორი!

ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ჯერ კიდევ ვდგავართ ერთი ისტორიული მწვერვალის ძირას და ამიტომაც ჯერჯერობით ვერ ვაცნობიერებთ ამ მწვერვალის სიმაღლესა და სიდიადეს. ყოველ შემთხვევაში, 26 წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სათანადოდ შეგვეფასებინა 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმისა და მისი შედეგების საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მნიშვნელობა.

გავა კიდევ რამდენიმე ხანი, ამ მწვერვალის ძირსაც დრო დაგვაშორებს და შორიდან უფრო კარგად დაინახავენ მომავალი თაობები ამ მოვლენების სასიცოცხლო დანიშნულებას ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და გამტკიცებისათვის. აქედან გამომდინარე, მკითხველსაც ვთხოვ, ნუ მოეჩვენება გადაჭარბებულად ან გაზვიადებულად ამ მოვლენათა შედარება დიდგორის ბრძოლასთან, დავით აღმაშენებელმა რომ გადაიხადა და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა იმ დროის ქართული სახელმწიფოს აყვავებასა და გაძლიერებას.

ღიას, ახალი დიდგორიც ძლევით გადახდილია, გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ ხომ ყველა ვეთანხმებით იმ ჭეშმარიტებას, რომ გამარჯვების მოპოვებაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანია გამარჯვების შენარჩუნება, რომელსაც განსაკუთრებული ძალისხმევა, მობილიზება და ერთობა სჭირდება. გამარჯვების შენარჩუნება არანაკლებ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე ბრძოლის ველზე გამარჯვება, მით უმეტეს, ჩვენთვის, იმ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ძლიერ და დაუნდობელ მტერს აქვს ოკუპირებული და მისგან ახალი საფრთხეების ესკალაციას გამუდმებით უნდა მოველოდეთ.

სამწუხაროდ, განვილილ 26 წელიწადში ბევრს ვერაფერს მივალნიეთ იმისათვის, რომ განგვემტკიცებინა 1991 წლის სანუკვარი მონაპოვარი – საქართველოს დამოუკიდებლობა; პირიქით, არა მხოლოდ გარე ფაქტორები, არამედ თვით ჩვენს საზოგადოებაში განვი-



თარებული მოვლენები, ჩვენივე შეცდომები მუდმივი რყევებისა და განსაცდელის რეჟიმში ამყოფებენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, მაშინ როცა თითოეული ჩვენგანის შრომა, ფიქრი, სიტყვა და საქმე სამშობლოს ძლიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული და არა საკუთარი კეთილდღეობისაკენ, საკუთარი კუჭისა და სტომაქის ამოყორვისაკენ ლტოლვით. ღიას, ჩვენ თვითონ მოვუვლინეთ უამრავი განსაცდელი ჩვენს დამოუკიდებლობას, რასაც დასაბამი გამყიდველი ქართველების ხელით მონყობილმა სისხლიანმა პუტჩმა დაუდო.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ხალხის ერთიანობა სჭირდებოდა, ერთ მუშტად შეკრულ ერს ვერაფერი დაამარცხებდა, ამიტომაც ქვეყნის დამოუკიდებლობის მტერმა მამასისხლად გადაჰკიდა უბანი უბანს, ქალაქი – ქალაქს, კუთხე – კუთხეს, ხალხს კრიმინალები მიუსია და ქართველი ქართველის მკვლელად აქცია. სისხლიანი პუტჩის უშუალო გაგრძელება იყო თავსმოხვეული ომი აფხაზეთში, ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა და ქვეყნის მთლიანობის ხელყოფა.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას წელში

გამართული ქვეყანა, ძლიერი ეკონომიკა სჭირდება და სანაცვლოდ მივიღეთ ქალაქებისა და სოფლების გაპარტახება, სანარმოების ძარცვა და ნგრევა, ხალხის ქონების მიტაცება ხელისუფალთა და მათს ახლობელთა თუ ხელქვეითთა მიერ.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ისტორიულად გამართლებული, სწორი და ნათელი ეროვნული იდეოლოგია სჭირდებოდა და ჩვენი დამოუკიდებლობის დაუძინებელმა მტრებმა ასეთ იდეოლოგიას „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდეს, რათა სახელი გაეტეხათ მთელი ეროვნული მოძრაობისათვის, იმ მოძრაობისათვის, რომელმაც არნახული მხსვერპლი გაიღო და მუდამაც მზად იქნება, რომ ნებისმიერ ფასად გადაარჩინოს ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მომხდარი ტრაგიკული კატაკლიზმები დღემდე მტკიცვნულად იჩენს თავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ქვეყანა ვერა და ვერ გავიდა აღმშენებლობის, ეკონომიკური განვითარების გზაზე; საყოველთაო უმუშევრობას ემატება ნეპოტიზმი, ეგოისტური ინტერესები საერთო, საქვეყნო ინტერესების საზიანოდ; დაუსჯელი არიან სისხლიანი პუტჩის მოთავენი და მონაწილენი; მეტიც, ბევრი იმათგანი, ვინც თავის დროზე ხელი აღმართა ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, დღესაც კი რბილ სავარძლებში არის მოკალათებული და ყველანაირი სიკეთით სარგებლობს. ამ დროს



უფულობით, უმუშევრობით, სოციალური უსამართლობით იტანჯება ასიათასობით ოჯახი.

გამაოგნებელია დღემდე არსებული დამოკიდებულება 31 მარტისა და 9 აპრილის თარიღების მიმართ. ახალგაზრდა თაობის უმეტესობამ არც კი იცის, რა მოხდა 26 წლის წინათ ამ დღეებში, და თუ ზოგადად მაინც მოუკრავს ყური, მათს მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს. არადა, ამ მოვლენათა სათანადოდ აღქმისა და დაფასების გარეშე ჩვენ ვერანაირად ვერ აღვზრდით ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონს, თავდადებულ, პატრიოტ ქართველს, რომელსაც მტრისთვის საკადრისი პასუხის გაცემაც შეეძლება და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაც. აქ მთავარია ხელისუფლების ნება, ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდა, 31 მარტისა და 9 აპრილის თარიღების საყოველთაო-სახელმწიფოებრივ დონეზე აღნიშვნა და ამისთვის სახელისუფლებო და საზოგადოებრივი რესურსების ჩართვა ნებისმიერ ქალაქში, რაიონსა თუ სოფელში.

სულ ახლახან საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო და ჩვენს მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ გამგზავრება და გადაადგილება შენგენის ზონაში. თუ რამ სიკეთე ხდება ჩვენს თავზე, არ დაგვაინწყდეს, რომ ეს ყველაფერი 26 წლის წინათ საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებული იმ დიადი არჩევანიდან მოდის!.. და თუ დღეს ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, პატიოსან, მშრომელ უბრალო ადამიანებს სიდუხჭირის გამო არ შეუძლიათ ამ სიკეთით სარგებლობა, არც ის დაგვაინწყდეს, რომ ყოველგვარი ასეთი უბედურება იმ სიბოროტის ნაყოფია, რაც იქნა გამოჩენილი საქართველოს დამოუკიდებლობის, ერის უზენაესი ნების მიმართ!..

ქართველმა ხალხმა სწორედ ბოროტების წინააღმდეგ ომში მოიგო ეს ახალი დიდგორი და აღადგინა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ ომში მოპოვებულს დაცვა და განვითარება სჭირდება, ანუ ჩვენ ისევ დიდგორის ველზე ვდგავართ, სადაც 31 მარტისა და 9 აპრილის ელვარე ნიშანსვეტები გვაფრთოვანებენ, ძალას გვმატებენ და წინ მიგვიძღვიან, როგორც ჩვენს წინაპრებს – ომის წინ სამშობლოს მშველელად გამოცხადებული წმინდა გიორგი...

*ჟემალ შონია*

ბრიგოლ რობაქიძე

საქანელა და სახრჩობელა

სამყარო ინგრევა. ამის შემჩნევა არ შეუძლიათ მხოლოდ ბაზელის კმაყოფილებს. არის იგი ნგრევა უალრესად კოსმიური თუ მარტოოდენ სოციალური; ეს ბოლოს და ბოლოს შეცნობის ინტენსივობის საკითხია. არსად ისე მძაფრად არ ცნაურებულა ეს ნგრევა, როგორც პოეზიაში და, საერთოდ, ხელოვნებაში; ამბობენ: ყოველი ახალი ჯერ სურნელებით მოდისო. შარლ ბოდლერმა პირველმა მოგვცა სამყაროს დაშლის სურნელები



„ავი ყვავილებით“. საფრანგეთის სიტყვის ხერხემალი ბოდლერის შემდგომ ამ ყვავილების სიავით არის დაზნექილი. ლაფორგმა იმდენი იტირა, რომ ტირილში შეშლილივით გაიცინა: ამ სიცილში გაისმა სამყაროს უკანასკნელი განიავება. არტურ რემბო დაჭრილი კენტავრივით გადავარდა მსოფლიო ნგრევაში და უცნაურობის ტემპერამენტით გიჟურად ამახვილა იგი. სტეფან მალარმემ დაშლილ სამყაროს მიქელანჯელოს არტახები მოუჭირა: მაგრამ „მოჭერა“ ისეთი ძლიერი იყო, რომ აშლილი ქვეყანა კიდევ უფრო გაიბზარა. ამ დროს მოდის ფრიდრიხ ნიცშე დიონისოს ჟინჯილებით და ახელებული მენადები კივილით მოედვნენ ევროპას. რუსეთი იმთავითვე მღვრიე თვალეებით სიგიჟეს ატარებდა და დოსტოევსკითგან მოყოლებული ვიდრე ანდრეი ბელიმდე მას აპოკალიფსური ეპილეპსია ეკიდება. სკრიბინმა კი ამ ეპილეპსიას ქაოსით მოხეტქილი რიტმები დაურთო და აირია ქვეყანა. ამ არევას ვერც ლოიდ-ჯორჯები მოუვლიან თავს და ვერც ლენინები დააბოლოვებენ მას.

რას შვება ამ დროს საქართველო? ყველა-

ფერი ინგრევა და სამყაროს ტორტმანში იგი მხოლოდ ქანაობს. აროდეს ისე არ გამოცხადებულა ჩვენი რასსიული ხასიათი, როგორც დღეს. საქართველოში სისხლშერეული სხეულია, თუ არსებობს ფსიხოლოგიური სხვაობა სემიტურსა და არიულს შორის, ქართველობაში უთუოდ პირველიც არის და მეორეც. უცნაური რასსიული ელემენტი ძველი იბერიის ანინდელ საქართველოში ყველაზე უფროა ამახვილებული. ჩვენ გვიყვარს სემიტური

„გამორჩენა“, მაგრამ ჩვენ არიული „გამორჩევა“ გვიყვარს. „ლაღადგადასმულობის“ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე „წვრილმანობა“. მაგრამ ხშირადვე გვაჯადოებს რაინდული „ხმალში გამონვევა“. ჩვენ „მეწვრილმანენიცა“ ვართ და „რაინდებიც“. უცნაურია საქართველო: ქართველში „ლაქი-აც“ ზის და „მეფეც“, მასში „ჟულიკიც“ არის და „არისტოკრატიც“. ქართველი თავის თავს ატყუებს, რომ სხვა მოატყუოს; ქართველნი თვალთმაქცები არიან. ბოლოს და ბოლოს ქართული ყოფა ფუნქციონალურია და უფრო. საქართველოს გაქანება საქანელაა და ქართველი ქანაობს კიდევ. იგი არც არის და კიდევ არის. მას არ სჯერა თავის თავის და ჰშურს, სხვა იყოს. „მადიებელი აზნაური“ ბოლოს და ბოლოს საქართველოს მისტიკაა და ყალბი ღერბების მაცეტრო ამორდია ისტორიულ ფიგურად გამოდის. ქართველი გაურბის თავის თავს (კუდს), რომ ნახოს თავის თავი (უკეთესი), წმინდა მამა იოანე საქართველოს გაექცა და მთაწმინდას შეაფარა თავი, შემდგომ ვერც იქ გაუძ-

ლო „შუღლიანობასა და შფოთს“ ქართულსა: მაგრამ გაემართა ესპანიისაკენ, სადაც მაინც ქართველები ეგუვლებოდა. კიდევ უმცაფრესი: ქართველს სძულს თავისი თავი (ახლობელი): ალბათ მისთვის ერჩის თავის თავს (შორეულს). გიორგი სააკაძე ორჯერ გადავარდა საქართველოთგან და ორჯერვე შემოუტია მან ხმალით მშობელ ერს. იყო მასში შორეთის სიყვარული და ტანჯვა უკანასკნელი.

აქ არის ყოფა ქართული ესთეტიურ ათვისებული. არსად იგი ყოფა არ ცხადებულა ისე, როგორც ჩვენს უახლესს პოეზიაში, მართალია: ამ სფეროში ხარფუხის „ბარამკაჯან“ და „ნარიმანა გოცაძე“ ერთიმეორეს ჯერ კიდევ ედავებიან პირველობისათვის, მაგრამ ეს მარტო ოდენ ზედაპირია. ნამდვილი ათვისება ქართული ყოფის რიტმის უახლოესს პოეტურ სიტყვაშია უთუოდ. ქვეყანა ინგრევა და საქართველო კი ქანაობს, ქანაობს როგორც ყვითელი ჭინკა საქანელაზე, ეს არის მისი რიტმი: სანახაობა ეფემერული ძალზე და მისთვის ალბათ ფეერიული მეტად. ერთვიან ერთიმეორეს ჭინკების ფერხული და კუდიანების არული. ძველი იბერიის ყვითელი ქიმერები დაიძვრნენ ბუდეებითგან და კალიასავით მოედვნენ ქართულ

ველებს. უცნაური და საცნაური დუელში არიან ჩართულნი. სახეები ჰქრებიან და რჩებიან ორეულები მარტო ოდენ. არის აქ ალური მოვარდნა ნითელი ჩვენების და ლანდების ქორწილი გიჟური ნადიმით. არის თავადური განზე გადგომაც და ხილვის დაჭრაც მზის დაყუდებაში. არის მრავალი რამ. საქართველო ქანაობს საქანელაზე: მაგრამ საქანელა უფსკრულზეა გამართული და ადვილი შესაძლოა საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს. ხილვა უკანასკნელის ხშირად მძაფრდება და შეშინებული ჟღალი თვალეები კიდევ უფრო ფართოვდებიან, ისხნებიან უფსკრულები და გვეფეთებიან უცნაური მზერანი. საქართველო ქანაობს უდარდელი: მაგრამ სახრჩობელას ჩვენება სტანჯავს მას, ან თავის თავის მონახვა უკანასკნელი: ან სრული დალუპვა თავის თავისა. გზა ხსნილი არ არის სხვა. ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვარად იქცევა. ჯვარი უფრო ძნელია ვიდრე სახრჩობელა: მაგრამ ჯვარცმაში კათარზისია ნათელი და ჩამოხრჩობაში კი უკანასკნელი დალუპვა. ჯვარცმა უცდია საქართველოს და ჩვენც ლოცვით ველით მის მოახლოებას. ვიცით: იქნება გამართლებული საქართველო, ვიცით: იქნება ათავადებული ქართული სიტყვა.



## უხვი ჭირნახულით ხელდამფვენებული



ცოტაც და გაზაფხულის ტახტზე მშვენიერი მაისი აბრძანდება, ამ მაისს კი სამოცდამეთხუთმეტედ შეეგებება გიორგი სიჭინავა თავისი ხელხვაჯიანი შემოდგომით, მართლაც უხვი ჭირნახულითა და ახალი შემოქმედებითი გეგმებით. ერთი სიტყვით, ამ გაზაფხულზე ჩვენს მეგობარს საიუბილეო შემოდგომა უდგას და თანაც – მრავალმხრივი შემოქმედებითი ღვანლით დამშვენებული შემოდგომა!

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ქართველი მკითხველი ბატონ გიორგის იცნობს, როგორც პროზაიკოსსა და პოეტს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს. ეს მრავალმხრივობა თანაბრად არის გაჯერებული ხალასი ნიჭით, ნოვატორობითა და ცხოვრების ღრმა ცოდნით. რაც მთავარია, კალმის პირველი მოსმიდან დღემდე მისი მთავარი იარაღი მუდამ იყო სიმართლე, პირდაპირობა და უკომპრომისობა, ამაზე მეტყველებენ

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოცემული მისი რომანები, რომლებშიც დაურიდებლად არის მხილებული კომუნისტური სინამდვილის მანკიერებანი. კალმით ბრძოლა შემდეგშიც მოუხდა გიორგი სიჭინავას, როდესაც იგი, ამჯერად უკვე როგორც გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორი, არ ეპუებოდა სისხლითა და ნგრევით მოსული პუტჩისტების დაშინებებსა და რეპრესიებს; გიორგი სიჭინავა დღესაც შეურიგებელია იმ სიმახინჯეთა მიმართ, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ ფესვი გადგმული ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

გიორგი სიჭინავა უმამო შვილების თაობას ეკუთვნის, რომელთა მშობლები მეორე მსოფლიო ომს შეენივნენ. მეტიც, მას მამა თვალითაც არ უნახავს და არც მისი სითბო ღირსებია, რადგანაც მამამისი, ორესტი სიჭინავა, მის დაბადებამდე იყო ომში განწვეული და სამუდამოდ შერჩა ყირიმის ტრამალებსა თუ კატაკომბებს.

დედამ, ქალბატონმა ბაბილინა ჭანტურიამ, დიდი გაჭირვების მიუხედავად, ღირსეულად გაზარდა ქალ-ვაჟი და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მშობლიური დარჩელიდან ცხოვრების დიდ გზაზე ღირსეულად გასულიყო ჩვენი იუბილარი. მის თაობას კარგად ახსოვს გიორგი სიჭინავას თამამი პირველი ნაბიჯები, ის თავდაჯერებული პირველი განაცხადი, რომ შემოქმედის მხატვრული კალამი მოემსახურებოდა მხოლოდ სიმართლეს და ყოველგვარ მანკიერებათა მხილებას.

გიორგი სიჭინავამ ერთნაირად მნიშვნელოვანი ღვანლი დასდო როგორც ქართულ პროზას, ასევე პოეზიას. მის დიდი ხნის წინათ დაწერილ მოთხრობებსა და რომანებს არც ახლა დაუკარგავთ აქტუალობა, ამიტომაც კარგი საქმე იქნებოდა მათი ხელახალი გამოცემა, ამით თანამედროვე მკითხველი, პირველ რიგში, ჩვენი ახალგაზრდა თაობა,

უკეთესად გაიგებდა, თუ რამდენად სერიოზული შემოქმედია ბატონი გიორგი. იგივე შეიძლება ითქვას მასზე, როგორც პოეტზე. გიორგი სიჭინავა საკუთარი ხელნერის მქონე ლირიკოსია მეტაფორული აზროვნებით, მდიდარი ლექსიკით, ღრმა და ნრფელი განცდით, მახვილი, დაკვირვებული ხედვით...

გიორგი სიჭინავა სოხუმში წლების განმავლობაში რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალ „რინას“. აქედან მოყოლებული, დღემდე ნაყოფიერად და შინაარსიანად მოღვაწეობს იგი, როგორც რედაქტორი და გამომცემელი. დღეს ბატონი გიორგი ჟურნალ „აიას“ რედაქტორ-გამომცემელია და უმთავრესად მისი დამსახურებაა, რომ ამ ჟურნალს უამრავი მკითხველი ჰყავს.

გიორგი სიჭინავამ ეს 75 წელი თავაულებელ შრომაში გალია. მას არასოდეს ჰქონია ლალი და დაღბინებული ცხოვრება, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მისი ოჯახიც დევნილად იქცა და ხშირად იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ სადმე თავისთვის დამჯდარიყო

და ეწერა. ახლა ამას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები დაემატა, თუმცა საგანგაშო არაფერია და გვჯერა, რომ სულით კვლავაც ძლიერი და მომავალ გეგმებზე მოფიქრალი მწერალი კვლავაც დიდხანს გაახარებს მკითხველს თავისი დახვეწილი, შინაარსიანი შემოქმედებით.

გილოცავთ, ჩვენო სახელოვანო მეგობარო, ამ ლამაზ, მშვენიერ იუბილეს – ლამაზსა და მშვენიერს სწორედ შენი ნიჭიერი, მართალი კალმის, შენი პატიოსნებისა და წესიერების, შენი ღირსეულად გამოვლილი გზის წყალობით! გისურვებთ ამ გზის კვლავაც დიდი ხნით გაგრძელებას, მტკიცე ჯანმრთელობას, ოჯახურ სითბოსა და სიკეთეს. დაე, კვლავაც დიდხანს ემსახურე შენს სათაყვანებელ სამშობლოს, კვლავაც მრავალჯერ გაგვახარე – შენ ხომ კიდევ ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი!

უფალი იყოს შენი მფარველი წუთისოფლის ამ გრძელ და ძნელ გზაზე!

გურამ აბსანძე, მურმან ზაქარაია, ლუარა გამყრელიძე, ირინე ტალიაშვილი, ზაურ მოლაშხია, ზაურ ბახარია, რობერტ პეტრიაშვილი, ჯემალ შონია, ლაშა გვასალია, გური ოტოზია, გია ხუბუა, დილარ ივარდავა, ედემ კვიციანი, ვალერი გაბელია, კახა ქაცვაია, თეანა ზაქარაია, დავით ზაქარაია, მანუში ხუბუა, ამირიძონ ჩიგიანი, ჯემალ პერტაია, თორნიკე ქავუბაია, რანისა მუზიჩენკო, ზურაბ კვარაცხელია, ალინა ბალიშვილი, არჩილ ბელოვანი, თემურ ძორიძე, ფაუსტ ნადარაია

## ინტენსიური განცდის უემოქმედი

გიორგი სიჭინავა, როგორც მწერალი-პროზაიკოსი, დიდი ხნის წინ მოთხრობით: „ივანე და დაბმული ძაღლი“ გავიცანი. არც რუსულ და არც ფრანგულ სიმბოლისტებს ტოლს არ უდებს ავტორი ამ უაღრესად კარგი და სიმბოლისტური ტექსტით. ამ მოთხრობას მოჰყვა რომანები: „გვირილების მინდორი“, ტეტრალოგია „უტუ მიქა“, უცამაღლესი მეგრული პოეზია; გასაოცარი „ნანაგე“ და გიორგი სიჭინავას ბრწყინვალე ლექსები გახდნენ მეკვლეები ჩემი ყოველდღიური განწყობისა. მასთან მე გახლდით ერთ-ერთი პოპულარიზატორი ამ დიდებული შემოქმედებისა და თითქმის ყველა შეხვედრაზე თუ ლიტერატურულ საღამოებზე ვკითხულობდი და ხალხს ვაცნობდი უნიჭიერესი კალმოსნის საღვთო ნიმუშებს.

ფლობერი ამბობს: „ავტორი თავის ქმნილებებში ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ღმერთი ამ სამყაროში, რომელიც ყველგან არის, თუმცა უჩინარია“ (ამაზე კარგად აღნიშნა ერთგან ჩვენმა მურმან ჯგუზურამ: „ღმერთს იმიტომ ვერ ვხედავთ, რომ ის ყველგან არის“). გიორგი სიჭინავა ტყუპისცალივით ჰგავს თავის შემოქმედებას, ის ყველგანაა, ყოველი ძარღვიანი სტრიქონის უკან გრძნობ მის ძალასა და უნარს, ყოველი აცრემლებული სიტყვების შავქუფრა ჩრდილქვეშ ილანდება ბავშვივით ატირებული, გულჩვილი პოეტი. ამიტომაცაა ის საყვარელი და გულმისანდო შემოქმედი, რომელიც არასდროს თამაშობს და არასდროს ქმნის მიუღებელ ილუზიურ ასოციაციებს. ის აბსოლუტურად შეგნებულად ირჩევს საკუთარ ბედისწერას, როგორც მწერალი და როგორც მოღვაწე, და უფარდებს მას თავის ცხოვრების შერწყმულობის თითქოსდა წინასწარ განჭვრეტილ ილბალს. ვინც კარგად იცნობს მას და მის განვლილ ცხოვრებას, ამაში აბსოლუტურად დამემოწმება. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი პოეტური და პროზაული პერსონაჟები გაურბიან ბედისწერის ტყვეობას და რაღაც ახალ სივრცითობას ქმნიან, ახალ საზომსა და სათვალსაწიეროს.

გიორგი სიჭინავა, როგორც მხატვრული შემოქმედი, საფუძვლიანად ფლობს ფსიქიკური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ხერხებსა და სულის დიალექტიკის მაღალოსტატურად გადმოცემის უნარს, რომელიც ფსიქიკური ცხოვრების არა მხოლოდ შედეგს ასახავს, არამედ თანამდევია მთელი მოქმედებებისა და პროცესის მსვლელობისა. უმთავრესი: ის, როგორც მწერალი და მამულიშვილი, ზნეობრივად წმინდა ადამიანია და სწორედ ამან მისცა ბიძგი, – ნიჭი თვისებად ექცია და ახალ-ახალი თვისებებისა და ხერხების მონაგრებით უბრწყინვალესი ტექსტები შეექმნა.

გიორგი სიჭინავა ჭეშმარიტად ეროვნული და ზოგადქართული ცნობიერებით აღვსილი პიროვნებაა, ამიტომაცაა, რომ მის მეგრულ პოეზიასა და სხვა სახის ნაშრომებს არ ახასიათებთ ვინროკუთხური მიკერძოება და პროვინციული ჩამორჩენილობა, პირიქით, ის, როგორც გამოცდილი კალმოსანი, პოეტური გაბედულებითა და აღსაწერი ფაქტისა თუ მოვლენის ფართო წარმოსახვით წარუდგება მკითხველს და დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. ის უფრო ინტუიციური მწერალი გახლავთ, ვიდრე დადგენილი კანონზომიერებით მოქმედი შემოქმედი, მის შემოქმედებასაც ასე თავისუფლად და მაღალზნეობრივი მოლოდინებით უნდა მიეახლო.

ბატონი გიორგის მწერლობას ტონს მისი ცხოვრების წესი აძლევს. ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი და გაზეთ „აღდგომის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ, მაშინ როცა არათუ სიმართლის ბეჭდვა და წერა, ჩურჩულიც აკრძალული იყო საქართველოში, როცა თითო-ოროლა ნამდვილქართველი მწერლისა თუ ინტელიგენტის გარდა, „კომპრომისებული მოღვაწეები“ რუსეთ-საქართველოს ომის ჟამს მტრის მხარეს იბრძოდნენ და სიტყვითა თუ იარაღით მამასისხლად უდგებოდნენ ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ ხელი-სუფლებასა და პრეზიდენტს.

გიორგი სიჭინავა კი თავის თანამოაზრე

მამულიშვილებთან ერთად მუხლჩაუხრელად იბრძოდა თავისუფლებისა და კანონიერებისთვის. მისი კალამი და მუზა მაშინაც ხმოვანებდნენ, როცა ქუხდნენ ზარბაზნები. საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილი შემოქმედის გამოსხედვაში ჩაბუდებულია მარტოსულობისა და განდევნილობის უდიდესი სევდა, რომელიც ცრემლიან კვალად გასდევს მის შემოქმედებას, რომლის ხერხემალი მეგრული სევდიანი სიმღერისა და უსაბამო ყოფის ამოძახილია.

დღეს ბევრი წერს თავისი აკვნის, ანუ მეგრულ ენაზე ლექსებსა თუ სხვა ჟანრის ტექსტებს, მაგრამ ამ უდიდესი ეროვნული საქმის სათავეში იმთავითვე იდგა ბატონი გიორგი. დიახ, ეროვნული საქმისა, რადგან ყოველივე, რაც მეგრულად შექმნილა, მონაპოვარი და შენაძენია ქართული ლიტერატურისა, ზოგადქართული ცნობიერებისა, რომელსაც დღენიანად მრავალლონედ მეგრული იდენტური აზროვნება და ნიჭიერება ედგა და უდგას დღესაც და ასე იქნება მომავალშიც.

ზვიად გამსახურდია წერს: „ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი. ალბათ, ესაა ბედისწერა, მე არასდროს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე“. ვერაფერმა ამქვეყნად ვერ შეუცვალა გეზი და მიმართულება ბატონ გიორგის: ვერც დევნილობით, ვერც ჯანმრთელობის შერყევით გამოწვეულმა სატკივილომ, ვერც ოჯახურმა საჭიროებებმა, ვერც ათასგვარმა, შეიძლება ითქვას, მომწუსხველმა შემოთავაზებებმა, ის დარჩა „იმ რაღაც ვერაფრით შეუცვლელი“ ძალისა და რწმენის ერთგული, რომელსაც მწერლობა და მამულიშვილობა ჰქვია. ბედისწერა გახლდათ ისიც, რომ მან თვითგამოხატვის საშუალებად მწერლობა აირჩია. სხვანაირი გიორგი სიჭინავას წარმოდგენა გაგვიჭირდებოდა, რადგან ის მაღალმხატვრული პორტრეტია საკუთარი იღბლისა – შეუღამაზებელი, „უფასონო“ პორტრეტი.

ჩვენ გარკვეული პერიოდი ვიმუშავეთ სახელმწიფო კანცელარიაში. ერთ ოთახში, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და ბევრი და საინტერესო რამეები გვაქვს მოსაგონა-

რი. ერთი თვალის შევლებით შემიძლია იმის თქმა, რომ არასდროს შემხვედრია მსგავსი ბუნებრივი სევდისა და ინტენსიური განცდის ადამიანი, საკუთარ თავში ასერიგად ფიქრიანად ჩაბრუნებული პიროვნება.

ბატონ გიორგის რომ ვუყურებ, სულ მგონია, რომ მას ერთადერთი ნატვრა აქვს მხოლოდ: ყველაფერი, ჩვენს გარშემო არსებული ეს „ვირტუალური რეალობა“ დაინგრეს, გადაიბუგოს, წაილოს ქარმა და აღსდგეს ძველებური, ოდინდელი სიმშვიდე და მყუდროება ანკარა, ლივლივა წყლებით, მდინარეებით, ზღვით, ულურჯესი ცით, ხასხასა მთებით, ლურჯად გადახვევრდებული მინდვრებით და სულ ახლოს, თვალმისაწვდენ მაღლობზე საოცრებად შემართული უფლის ტაძარივით სხეულით... ეს ჩემეული ინტერპრეტაციაა, მაგრამ, ვგონებ, სიმართლესთან მიახლოებული!..

75 წელი შესრულება ბატონ გიორგის. ეს მეტად სოლიდური და კარგი ასაკია იმისთვის, რომ დარჩენილ ცხოვრებას შენი წარსულით „ეტრაბახო“. თავის ქება ნამდვილად არ სჩვევია ჩვენს იუბილარს, მაგრამ თავმონონება ნამდვილად ძალუძს როგორც საკუთარი ალტერ ეგოს, ისე სამყაროს წინაშე, რადგანაც უზადო ცხოვრებითა და სანაქებო ღირსებით იცხოვრა მთელი შეგნებული ცხოვრება. ამიტომაც უყვართ და ეიმედებათ, სწამთ და ეფერებიან ყველგან, სადაც უნდა გამოჩნდეს. ამის მრავალგზის შემსწრე თავად გახლავართ.

რჩეული ზედსართავი სახელები რომ არ მოვიხმოთ ბატონი გიორგის დასახასიათებლად, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვთქვათ: გიორგი სიჭინავა დიდი ადამიანი და დიდი შემოქმედია!

გილოცავთ, ძვირფასო ადამიანო! სამი ათეული წლის შემდეგაც მომელოცოს ასეთი სინარულითა და თქვენი ჯანმრთელობით, უფალმა კარგად გიმყოფოთ ოჯახი, შვილები, მეგობრები და ყველა ის ადამიანი, რომლებიც თქვენი დიდი გულის სასიყვარულო ორბიტაზე ილანდებიან!..

მრავალჟამიერ!..

სიყვარულითა და პატივისცემით

**ლუკა გვასალია**



## ყველაზე ლამაზი ვატილები თქვენ!..

ვარდობის თვეში ხართ დაბადებული, ესეც კი რალაც რომანტიული ელფერით მოსავს თქვენს პიროვნებას; პოეტი რომ არ ყოფილიყავით, მოკალმე რომ არ ყოფილიყავით, სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა. როდესაც დაბადების დღეს ულოცავენ, სურთ ყველაზე საუკეთესო მოსაფერებელი სიტყვები უძღვნან იუბილარს, ხშირ შემთხვევაში გვგონია, რომ ასეთი სურვილები, სიტყვები არ მოიძებნება ან ჩვენ ვერ ვპოულობთ. მეც ამიტომ ვწუხვარ, ბატონო გიორგი, მიჭირს თქვენთვის ყველაზე მოსაფერებელი და საკადრისი სიტყვების მოძებნა... არ მინდა შაბლონური ვიყო, ვარდობისთვეში დაბადებულს, რომ შემეძლოს, იუბილეზე ყველაზე ლამაზ ვარდებს მოგართმევდით...

ღმერთმა დალოცოს თქვენი კალამი და შემოქმედება... დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და პოეტური ხილვების სიუხვე!..

გილოცავთ დაბადების დღეს!..

*ირინე ტალიაშვილი*

## წერილი მებობარს

„პოეტის გარდა ყველას ჰქონია დღე დასვენების“, – წერდა ჭაბუკი ლადო ასათიანი.

ძმაო გიორგი! შენ, როგორც მწერალს და პიროვნებას, ვფიქრობ, არც გქონია ჟამი დასვენებისა, რადგან დაბადებისთანავე ობლობა დაგებედა, მამით ობლობა! იმ დროს, ვაჟიშვილის უნახავად, მამაშენი ფაშისტებთან ბრძოლას შეენირა და შენ, ჯერ კიდევ აკვანში მწოლიარეს, დაგეკისრა გვარ-ჯილაგის გაგრძელება და მტერ-მოყვრისათვის პასუხის გაცემა.

და, აჰა, ჩემო სიყრმის მეგობარო, სამოცდათხუთმეტი წელია, რაც ნამუსიანად, კაცურად, მოუქედურებლად, უხმაუროდ ეწევი სახელოვანი ცხოვრებისა და შემოქმედების მძიმე ჭაპანს.

ამ ხნის განმავლობაში დაღბინებაც გქონია, მაგრამ არავის უნახავს შენი ცუდმედიდური მზერა; გაჭირვებაც არ დაგკლებია აფხაზეთიდან დევნილს, მაგრამ არ გჩვევია პირადულ ყოფაზე წუნწუნი თუ ჩივილი, უკიდურეს შემთხვევაში, ორიოდ სიტყვა თუ დაგცდენია შენს სატკივარზე – სულიერსა თუ ფიზიკურზე, უფრო კი სულიერ ღმობაზე, რადგან მტერზე არანაკლებ გიმუხთლა თვისტომმა და, რომ არა უზენაესის ნყალობა, დასახვრეტადაც გამეტებული ჰყავდით მეხუთე კოლონის ნაძირალებს.

სამოცდამეთხუთმეტი გაზაფხული მოგდგომია კარს. მიუხედავად ბევრი სატკივრისა, მაინც ბედნიერი გეთქმის, ბედნიერი, რადგან ნამდვილი, ჭეშმარიტი მწერალი ხარ, ეს კი ისეთი რამეა, ვერავითარი განძეულით რომ ვერ შეიძენს ადამის ნაშიერი. შენი შესანიშნავი რომანებით, მოთხრობებით, ბოლო წლებში კი ლექსებითაც, უეჭველად ამდიდრებ ქართულ მწერლობას. დღეს შეიძლება ზოგჯერ ვერც და არც ხედავდნენ ამას, მაგრამ, თავადაც მშვენივრად უწყი: „არა არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს“.

ძმაო გიორგი! ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ავტორმა მთხოვა, – ლექსების წიგნზე მოკლე წინასიტყვა დამინერეო. ჯერ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო, მერე კი უცებ გამახსენდა: – ის ხომ ოთხმოცდათოთხმეტი წლის გახდა და ... ასე დავიწყე: – „მეათე ათეულის აღმართს ღირსეულად შეუყვა კაცი“.

ღმერთმა ქნას (თავსაც ვილოცავ), გარკვეული დროის შემდეგ, მსგავსი სტრიქონით დამეწყოს შენთვის მოსალოცი წერილი.

*ზაურ მოლაშხია*

**გიორგი სიჭინავა**

**ღ ი ქ ს ე ჯ ი**

**წიხილი**

ყველა რაღაცას მპარავს ან მართმევს,  
შენ რომ ნახვედი, ბევრი ვინანე,  
სული ობოლი – გუგულის მართვე –  
ვცადე და ვერსად დავაბინავე.

არის კლება და არა მატება,  
ღმერთო, უძლური რად გამაჩინე,  
გადაარჩინეს რომი ბატებმა,  
მე ვერაფერი გადავარჩინე.

დარი იყო და უცბად განვიმდა,  
სოფლის ბილიკზე მივალ ნაგვემი,  
სადღაც, ხის ტოტზე, მიცდის ნარჩიტა,  
მაგრამ ვერაფრით ვერ მივაგენი.

გაშეშებული დგანან ვერხვები,  
მე კი მივყვები დროთა დინებას,  
სადმე, გზის ბოლოს, როცა შემხვდები,  
ორივეს მწარედ გაგვეღიმება.

არის კლება და არა მატება,  
ღმერთო, უძლური რად გამაჩინე,  
გადაარჩინეს რომი ბატებმა,  
მე ვერაფერი გადავარჩინე.

**ღბღ**

იქნებ ველარ ვიგრძენი  
თავის რიგის ნებისად  
ჟამი ქვების გაფანტვის  
და კვლავ შეგროვებისა.

ადრე დაყვილებსთვის  
სადღაც დაკლეს მამალი...  
არის გაუგებრობა  
და ცდუნება მრავალი.

მეც არავინ დამინდობს,  
სიბნელესთან მოდავეს...  
დრო თუ ვერ შევიგრძენი,  
მომკლავენ!

**ცოდვითა მზოც ამოვა**

ო, რა ძლიერ შემცივდა,  
მმსჭვალავს ქარი ჩხვლეტია,  
სიყვარული შემციირდა,  
სიძულვილი მეტია!

მაინც ჩუმად მოგიცდი,  
მესმის ყვავის ჩხავილი,  
მინდა ძველი გრძნობისთვის  
კვლავ მოგიძღვნა ყვავილი.

გელოდები დუმილით,  
იქნებ ვპოვოთ ნუგეში,  
ყველა ჩემი სურვილი  
ემმას უდევს უბეში.

უფინიშო მარულას  
ახლავს ჯადო-თილისმა,  
ჩუმად შემოპარულა  
ჟამი სიძულვილისა.

რა მკვდარი საღამოა,  
მთვარეც ნისლში შევიდა...  
ცოდვითა მზოც ამოვა  
სინანულის ცრემლიდან.

**ჯღბრება**

ღმერთო, ღირსმყავ, რომ არ მექონდეს  
გული ორად გაყოფილი,  
დავდიოდე და რომ ვიყო  
მცირედითაც კმაყოფილი,  
ერთნაირად არ მხიბლავდეს  
ყოფილი და არყოფილი.

ამა სოფლის ჭირს და ვარამს  
გულში აღარ ვიკარებდე,  
სულის წყლულის დასალბობად  
ჭიქა ღვინოს ვიკმარებდე.

მომეც ერთი მეგობარი,  
არ გთხოვ, უფრო მეტი მყავდეს,  
ოღონდ იყოს ის ისეთი,  
ორგულობით არა მკლავდეს.

ღმერთო, ცოტა ძალაც მომეც,  
კაცი აჩრდილს რომ არ ვგავდე,  
დაცემული ავაყენო  
და ჩემს თავსაც გავუმკლავდე.

ბოლოს, შენკენ სავალ გზაზე  
ამარიდე მეზვერენი,  
რა ვქნა, ცოდვილ ქვეყანაში  
უცოდველად ვერ შევიძელი.

## ჯუმი – ენგურის პატარა ჯიმა

დარჩელს შუა ყოფს პატარა ჯუმი,  
ზოგჯერ მშფოთვარე და ზოგჯერ ჩუმი.

აქ სკოლა იდგა ნაპირთან ახლოს,  
ახლა ის სკოლა არავის ახსოვს.

უცნაური და გრძელი ფიცრული  
დრო-ჟამმა შთანთქა მთელი სისრულით.

თაობა მიდის, თაობა მოდის,  
დაჩვეულია ბუნება ლოდინს.

მოედინება პატარა ჯუმი,  
ზოგჯერ მშფოთვარე და ზოგჯერ ჩუმი.

საუკუნეებს თოკივით ქიმავს  
დიდი ენგურის პატარა ჯიმა.

## სლხუმის მღვთნება

ექვებსა და გაორებას  
მოაქვს უცხო ვნებები,  
რა ძნელია ეს ცხოვრება  
მარტო მოგონებებით.

მე რომ თეთრი მტრედი მყავდა,  
ნეტავ საით წასულა?..

ყველაფერი, რაც მიყვარდა,  
ჟამმა გაინარსულა.

ცრემლით ხვდება ალბათ დაისს  
სანაპიროს პალმები,  
ვერა ვხედავ, მაგრამ მაინც  
ყველას მივესალმები.

მახსოვს: სისხლის ფერი ადევს,  
ცეცხლში ყვინთავს მთა-ბარი,  
ომიდან კი ხალხზე ადრე  
გარბის მთავარსარდალი.

დღემდე მე ეს ცეცხლი მწვავდა,  
ვარ ლალატიტ დაჭრილი,  
ზოგმა პლაჟი დაკარგა და  
ზოგმა – სულის ნაწილი.

ექვებსა და გაორებას  
მოაქვს უცხო ვნებები,  
რა ძნელია ეს ცხოვრება  
მარტო მოგონებებით.

## გამოცანა

ვოლგის პირას ბულბული დუმს,  
ყვავი გახდა მგოსანი,  
გულებს ადევს ურდული და  
აღარ ისმის ლოცვანი.

ეშმა თესავს სარეველას  
ყოველ დილა-ციხმარე,  
აქ არ ახსოვთ საროველი, –  
ქრისტეს ტკბილი სიზმარი.

იმ ტრამალებს გავემიჯნე,  
დავაბიჯებ მტკვრის პირას  
და მე ვუხმობ სულ სხვა მიზნებს  
ძველის საპირისპიროდ.

მაგრამ გულში ისევ ჩუმად  
ექვებს ვეჭიდავები,  
ბულბულები აქაც დუმან  
და ჩხავიან ყვავები.

დავუღენე დემონს ტახტი,  
ალარა მყავს ბატონი...  
მიკვირს, მაინც რად ვერ გავხდი  
ჩემი თავის პატრონი.

### ღამის ქალაქი

ღამეა, მარტო დავიარები,  
ნიავეს მთებიდან ღრუბელი მოჰყავს,  
დაკეტილია ღამით კარები,  
ალარ ენდობა მოყვასი მოყვასს.

ქალაქს თითქოსდა სიფრთხილე იცავს,  
ალბათ სიფრთხილე იმედებს ბადებს...  
მე მივადექი მეგობრის ჭიშკარს,  
რომელსაც შიშის ბოქლომი ადევს.

სიო შეუჩნდა ჭადარს, გატრუნულს,  
ბნელში ჩუმად რომ შემოპარულა,  
ქუჩის კუთხეში იდგა პატრული,  
თვალი ეჭირა ჩემკენ მალულად.

მოოქროვილი მთვარის კარეტა  
ჰორიზონტისკენ ნელა წავიდა,  
ვაკაკუნებდი მე შენს კარებთან,  
შენ კი მზვერავდი ჭუჭრუტანიდან.

გათენდა, უკვე სიოც არა ქრის  
და ვილაც უცდის სხვანაირ იღბალს...  
თავის თავს ჰგავდა ღამის ქალაქი,  
დღისით მოირგებს ღამის ნიღბს.

### მეგრული ნანა

სისა ტურა მოდის, ბონდო,  
„სისა ტურა მოურცია“,  
ჯერ ნორჩი ხარ და ამიტომ  
გვერდი უნდა აუქციო.

ჯერ აკვანში ნევხარ მხოლოდ –  
გაფურჩქნილი ვარდის პირი,  
ნეტავ რალამ შეგაშინა,  
სახე რატომ ჩამოგტირის?

იქნებ სტამბულს გაყიდული  
გელანდება ახლა ხვიჩა,

დაიძინე, ბონდო ბიჭო,  
შენ სხვაგვარი ბედი გიჩანს.

ნანაიას ხმები გესმის:  
„სისა ტურა მოურცია“,  
და არ უნდა გაატანო,  
რაც განგებას მოუცია.

ჩელასა და ბუსკას ბედი  
უარყავ და დაინუნე,  
დაიბრუნე ოქროს ვერძი  
და სანმისი დაიბრუნე!

სიცოცხლის ხე, სანატრელი,  
ღმერთს სურს, ისევე აგიმწვანოს  
და იქამდე, ბონდო ბიჭო,  
თავი უნდა გაიტანო.

### ლოდინს დემილი შენის

ღამეს გაუჩნდა წყლული,  
სადღაც მამალი ყივის,  
კვლავ აწრიალდა სული,  
ცრემლი გაუშრა ტკივილს.

დაველოდები იღბალს,  
ლოდინს დემილი შენის,  
ო, წარსანყმედად მხიბლავს  
ჩუმი ღიმილი შენი.

გრძნობა ვერ დავიურვე  
და ვდგავარ ბალთან ახლოს,  
სულ სხვა გემო აქვს თურმე  
აკრძალული ხის ნაყოფს.

ვარდი ქვიშაში ვთესე,  
დაკარგულ დრო-ჟამს ვნანობ,  
არ ვგრძნობ ამ სოფლის წესებს,  
ვერ ვეგუები კანონს.

ნუ დალონდები, გულო,  
ყვავილი ფერს თუ იცვლის;  
ვნებათა საიდუმლო  
ცისქვეშ არავინ იცის.

## სანთელივით

ვუძღვნი დედაჩემის –  
ბაბილინა ქანტურისას ხსოვნას

ისე ვერ მოგეფერე  
(ახლა როგორ განვიცდი),  
დღელამ ჩვენზე ზრუნვაში  
სანთელივით დაინვი.

რომ ნახვედი, ამ გულში  
დამრჩა ცივი ნაცარი  
და სამყაროც უეცრად  
გახდა დედინაცვალი.

## ქვავი ამოკითხული

გაქრა სამყარო, მზით სავსე,  
ან არაფერი მიხარის,  
დავაბიჯებდი მინაზე  
და თურმე მინა ვიყავი.

კაცის სურვილებს დრო დალღის,  
დღეს რასაც მხედავთ, ესა ვარ,  
ოდეს და, ისიც ცოტა ხნით,  
სული მათხოვა ზეცამა.

## იქნებ ვერ გიცნო იქაც

ვუძღვნი ომში დაღუპული მამის –  
ორესტი სიჭინავას ხსოვნას

ალბათ გველოდა დღენი  
სულ სხვა მიზნებით სავსე,  
მაგრამ ერთმანეთს ავცდით  
ამ ნუთისოფლის გზაზე.

თურმე იმავ დროს, როცა  
ვიბადებოდი, მაშინ  
შენ ბედისწერის ხელმა  
ჩაგსვა ქარონის ნავში.

გადაეყარე სადღაც  
ურჩხულის ყურუმ აჩრდილს,  
უცხო მინაზე მარტო  
სამარადჟამოდ დარჩი.

გალმა მეც მალე გავალ,  
სადაც სულები დუმან,  
იქნებ ვერ გიცნო იქაც  
და ჩაგიარო ჩუმად.

## უპიცათია

ვნება გაჰყვა ქარს და ნიავს,  
გულს რომ მოსცილდა,  
ყველა ცოდვა მაპატიო  
ღმერთმა ლოცვითა.

თქვენთან შუქი არ ანთია,  
ბნელის მღარავი...  
სიბერე არ მაპატიო  
სოფლად არავინ.

## გაზაფხული

ვუძღვნი პატარა ქრისტინეს

მიდის დღეთა მარულა,  
მარტი შემოპარულა.

გვამხნევენ მერცხლები  
უცნაური ლექსებით.

მზემ შუქი რომ დაღვარა,  
ტოტებს გამოაყარა

პანანინა კვირტები  
უხმაურო კირთებით.

ნიავს აღარ ეთმოვა  
ტყეში მწვანე აფრები  
და შენსავით ერთობა  
ორიპინტრეს ზღაპრებით.

## ღცნების იქით

ოცნება მუდამ თავის თავს მაღავს  
და გაცხადების არ აქვს უფლება,  
ის ჰგავს ქვიშაზე დათესილ ბალახს,  
მზის დანახვაზე რომ იღუპება.

და მაინც მუდამ ფარულად მახლავს,  
სულ წინ მისწრებს და ქარივით მიქრის,  
მაგრამ ერთხელაც ვერ დამანახვა,  
რა სამყაროა ოცნების იქით.

### სჯალისა

ამ წუთისოფლის სიმრუდე  
ადვილად გამოვიცანი,  
ამიტომ არც კი მქონია  
შორს მიმავალი მიზანი.

არარსებულზე ვიფიქრო,  
განა ოცნების მონა ვარ?  
დღევანდელი დღე უჩვენოდ  
თვითონ ქმნის თავის მომავალს.

ვარაუდებით ცხოვრებამ  
ვერასდროს გამახალისა...  
დღეს მეტს ვერაფერს გიამბობთ,  
ხვალ ვისაუბროთ ხვალისა.

### იმედის სამალავი

სადაც ცოდნით შევაბიჯე,  
სადაც გონით მივედი,  
ჩემი თავის გასაკვირად  
ვერსად ვპოვე იმედი.

გამოვბრუნდი ისევ უკან,  
სოფელს ჩუმად მივინებდი,  
ალბათ უფრო არცოდნაში  
იმალება იმედი.

### სადღეგბოლო ვაჭისა

ღვინის მადლით შემოვიდა  
ერთმანეთის გატანა,  
არ ქეიფობს დემონი და  
ღვინოს არ სვამს სატანა.

გული ცრემლით თუ სველია,  
ბნელს ნათელი ერევა,

რაიც ღმერთის სასმელია,  
ეშმას არ დაეღვევა.

ერთხელ სული დამეღონა,  
ჩემგან წასვლა ინდომა,  
დაკარგული რომ მეგონა,  
მაპოვნინა ღვინომა.

წყევლა ეშმამ მოისმინა,  
ლოცვა ღმერთთან მივიდა,  
ცოდვილმაც კი მოილხინა  
ზიარების ღვინითა...

რომ დავლოცეთ ცა და მიწა  
და სინათლე ამ მზისა,  
მარქვი, რატომ დაგვაგინყდა  
სადღეგრძელო ვაჭისა?

### ჩემი კუნძული

ბედმა ტანჯვის გზით მატარა,  
ვერ ვპოვე ლხინი სევდაში...  
მოვძებნოთ სადმე პატარა,  
მყუდრო კუნძული მე და შენ.

დე, ატყდეს ზღვაში ავდარი,  
ჩვენ ფეხი გვედგას მიწაზე,  
უცხო კუნძული, ამგვარი,  
გადასარჩენად ვინამე.

იქ დავემალეთ დემონსაც,  
მხოლოდ ერთმანეთს ვხედავდეთ  
და ამ კუნძულზე შემოსვლას  
ქვეყნად ვერავინ ბედავდეს.

შევიცნოთ ჩვენივე ცდუნების  
ვაშლი, ლელვი თუ ატამი,  
არ გამოვეყოთ ბუნებას,  
როგორც ევა და ადამი.

დრო-ჟამი მიიმდოვრება,  
ფიქრებით გადახუნძლული,  
ვერ ჩაგვიძიროს ცხოვრებამ  
ჩვენი ოცნების კუნძული.

**გერმანე ფაცაცია**



ჟურნალ „მიჯნის“ რედაქტორ-გამომცემელს, ბ-ნ მურმან ზაქარაიას ბატონო მურმან!

როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, ჩვენს საერთო ძმასა და მეგობარს, გერმანე ფაცაციას, ფართო საზოგადოება მრავალი წლის მანძილზე იცნობდა, როგორც ძალზე აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის პოლიტიკოსს, პიროვნებას, რომელიც დაულალავად და უშიშრად იბრძოდა და იღვწოდა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღისთვის, ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის.

მხოლოდ მეგობრებმა ვიცოდით, რომ ეს მრავალმხრივ ნიჭიერი და ღვთივკურთხეული ადამიანი ლექსებსაც წერდა და, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, ხანდახან აქვეყნებდა კიდეც. რამდენიმე ლექსი და ს. ესენინის ერთ-ერთი ლექსის შესანიშნავი თარგმანი, თქვენი ნყალობით, თქვენ მიერ გამოცემულ ჟურნალშიც დაიბეჭდა, რისთვისაც კიდეც ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

მოხდა ისე, რომ გერმანე ფაცაციას ლექსების მცირე მოცულობის კრებული მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვაქვეყნეთ მისმა მეგობრებმა და მკითხველ საზოგადოებას საშუალება მიეცა, გასცნობოდა მის ფილოსოფიურ ლირიკას – უფლის, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით აღსავსე ტკივილიან ლექსებს.

ამჯერად წარმოგიდგენთ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე დაწერილ მის ერთ-ერთ ლექსს, რომელიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, კრებულში ვერ მოხვდა, მაგრამ გერმანეს ძმამ, ერეკლემ, შემოგვინახა (მობილურ ტელეფონში ჩანანერის სახით).

ლექსის გამოქვეყნების შემთხვევაში, ვფიქრობთ, მკითხველი კიდეც ერთხელ დარწმუნდება, რომ მისი ავტორი, გერმანე ფაცაცია, გამუდმებით ფიქრობდა და ზრუნავდა ჩვენი საზოგადოების მწვავე, საჭირბოროტო პრობლემებზე; მას მუდამ აწუხებდა ადამიანების ერთმანეთისაგან გაუცხოების, ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული საშინელი გულგრილობისა და უფლის „ხატად და მსგავსად“ შექმნილი არსებების ქრისტიანული მცნებებისაგან დაშორებისა და განდგომის შედეგად დამკვიდრებული სავალალო ტენდენციები.

პატივისცემით,  
*ირაკლი კალანდია*  
 13. 02. 2017წ.

## წიგნი თქვენს უმლინენ

„დედაო ღვთისაჲ, მზუო მარიაჲ,  
როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი...“  
გალაკტიონი

მინად სული გავიავეთ,  
ზეცად წერო წეროს ებმის,  
უმურველად მიფრინავენ  
მაცხოვრისკენ წეროები,  
ღვთიურია სიმფონია,  
იდილია, სილამაზე ...  
მოპარული სტრიქონია,  
ვარდებისთვის სილას ვაძლევთ.  
გალაკტიონს, რჩეულ თვითმკვლელს,  
ფრთებს ჩუქნიან წეროები.  
ავკაცობას გაღმა ვიკვლევთ,  
ნება-ნება ჩეროებში,  
ვენარცხებით კიდით კიდე,  
მომინებას ვართმევთ იობს,  
ვიდრე სხვაგან მოვძებნიდეთ,  
მკვლელი აქვე მოვიძიოთ.  
ვაფიქვებით დღეს გუშინდელს,  
დავუღუნეთ იმედეები,  
წეროები ფრთებს უმლინენ,  
კაცნი სილას ვიმეტებდით.  
გვიმოკლდება სია ჩვენი,  
მსწრაფლ ვიმკვიდრებთ უცხო სიას,

რალას გვეტყვის ან გამჩენი,  
როცა ნებაც უცხოსია.  
რაკი უკვე გვაზიარეს  
ხიბლის ლეიბს ჩეროებმა,  
რად ვიოცებთ, რომ შეგვასწრეს  
მაცხოვართან წეროებმა.  
ჩვენ მინად და ზეცად წერო,  
დაცემულა ბერი ერად,  
რა ნამუსით უნდა ვწეროთ  
წეროების ბედისწერა?  
შემოდგომა შემოგვხედავს,  
გაუძელი ავდარს, რთველო!  
შევევედროთ ქართველის დედას,  
მარიამის საქართველოს,  
რომ სილაში ვარდის დარდიც  
უფლის ნებას გამობმაა,  
დღესაც, ხვალაც, მარად მაღლით,  
ჩვენში მარიამობაა.  
შურით ნულარ ვისვრით მზერას,  
წერო ისევ წეროს ებმის,  
გავეცალოთ გაიძვერას  
და ვიახლოთ წეროები.

2011 წ.





**პალერიან ვიკუა**

**ორღესული უკვე აიღესა**

*„რაითა ყოველთა ენათა ღმერთმა  
ამხილოს ამით ენითა“...*

*იოანე-ზოსიმე*

სიონის მთას გარიჟრაჟი მოსავს,  
ველოდები, ცხებულო, შენს მოსვლას...  
ჟამი დგება, ერი იტყვის მართალს,  
აქ ვიხილავთ მარიამ და მართას...

ჯვარი კვლავაც გადმოჰყურებს მცხეთას,  
ქართველის გული ძველებურად ფეთქავს,  
სვეტიცხოვლის დედოზარი რეკავს,  
ცისარტყელა გადეკვრება ზეცას...

„ესე ენა იესოსთვის სწამებს“,  
ვინერ გულზე იოანეს „ქებას“...  
ველი იმ დროს, იმ სანუკვარ წამებს,  
ველი, როგორც წმინდა ზიარებას...

ამ ენას კი „დღესამომდე“ სძინავს,  
მოვა ჟამი – ცოდვილთ განიკითხავს...  
თეთრ ტაიფზე მჯდარი

*„სჯის და ებრძვის“*

სიკვდილსა და სიკვდილითვე თრგუნავს...

აკისრია „რკინის კვერთხით მწყემსვა“,  
მითაჟამით აქვს ურვა და კვნესა,  
„ორღესული უკვე აიღესა“,  
ასე ბრძანა უფალმა და მწყემსმა...

სიონის მთას გარიჟრაჟი მოსავს,  
ველოდები, ცხებულო, შენს მოსვლას...  
ჟამი დგება, ერი იტყვის მართალს,  
აქ ვიხილავთ მარიამ და მართას...

**აპოკალიფსი**

*„ნეტარ არიან მორწმუნენი“.*

*სახარება*

ამხედრებულა თვით სატანა  
მეძავ ურჩხულზე,  
ციხეს გალავანს უმაგრებენ  
კალატოზები,\*



როცა დემონი ეშაფოტთან  
უკრავს დუღუკზე,  
დავლურს უვლიან აფსუა და  
ალან-ოსები...

განიკითხება ბოროტება, –  
ლაღადებს ერი,  
ამ ლაღადისზე მრევლს დასცინის  
მეფისტოფელი,  
ჩვენთან სიონში ლუციფერი  
მონათლეს როცა,  
გაოცდებოდა ვერაგობით  
ბალთაზარ კოსა.

ფარისევლები ნამუსს ჰყიდიან  
მტრის ნასუფრალზე,  
ოცდაათ ვერცხლად კვლავ აკრავენ  
მაცხოვარს ჯვარზე,  
დაღს არ დაიკრავს გეორგია  
შუბლზე და მკლავზე,  
გმირი ლუხუმი შემოდგება  
ლაშარის მთაზე...

უბერავს როცა ოთხივე მხრივ  
ძლიერი ქარი,  
თურმე დაიძრა, წამოვიდა  
ქრისტეს ლაშქარი,

მათ მოუძღვება თეთრი რაშით  
წმინდა მხედარი,  
იმ დღეს მოელის მოთმინებით  
ყველა ნეტარი...

\*კალატოზები – აქ: ქვისმთლელოთა საძმო.

**მელექსე ხარ კარის როცა**

პატრონს ხოტბა უნდა უძღვნა,  
მელექსე ხარ კარის როცა,  
ღმერთმა პირი აღარ მოგცა,  
ნისქვილზე წყალს გისხამს დროცა...

ოცდაათი ვერცხლის შოვნა  
აღარ გიჭირს კუჭის მონას...  
არ განუხებს სიტყვის წონა  
და კაცობის აღარ ქონა...

ნასუფრალით თავს რომ ირჩენ,  
პატრონს უნდა ამოდგომა,  
გიჯობს ძვლების აღარ ქონას  
სირაქლემის პოზით დგომა...

პატრონს ხოტბა უნდა უძღვნა,  
მელექსე ხარ კარის როცა,  
ღმერთმა პირი აღარ მოგცა,  
ნისქვილზე წყალს გისხამს დროცა...

**„ავაზამ ძუძუ ანოვა ბახუსს“**

იებს, ნარცისებს და ყოჩივარდებს  
დავკრეფ აპრილში და შენ მოგიძღვნი,  
ნუგეში ნუთუ გამხდარა ძვირი,  
ასე იოლად რად დაგავინყდი?..

ინათებს კვლავაც აღმოსავლეთით,  
დაცვარავს ვარდებს დილის ცრემლები...  
ალაღს თუ კვებავს მადლი იმედით,  
რაა სიკეთე ამაზე მეტი?..

„ავაზამ ძუძუ ანოვა ბახუსს“,  
ცრემლით ვასველებ ანმყოს და წარსულს,  
ხან ვჭირისუფლობ მე ქოსა გახუს...  
ემხვარს დავსტირი, რაინდს მარტოსულს...

ლანდებთან ლაციცს თუ გადავურჩი,  
ინათებს კვლავაც აღმოსავლეთით...  
ალაღს ანოვებს ძუძუს იმედი...  
რა არის მადლი ამაზე მეტი?..

**ისარივით გულში მივლის**

გალმა, კოლხის ნასახლარზე,  
შემზარავად ჭოტი კივის...  
მე გამოლმა ეს კივილი  
ისარივით გულში მივლის...

არ ამღერებს კოლხი ჩონგურს,  
როცა სტკივა დრანდას, სოხუმს...  
მირჩევნია ყოფას ძალღურს,  
გადავიდე გალმა ენგურს...

მე სიმდიდრე რაღად მინდა,  
ან თუ რამე მაბადია,  
თვალს მივლულავ, – მისკენ მიხმობს  
ზვამბაიას არაბია...

მერე ვებრძვით მღვრიე ტალღებს,  
ხან მივთელავთ ეკალბარდებს,  
ხან ცრემლებით მივასველებ  
სიყმანვილის ნატერფალებს...

გალმა, კოლხის ნასახლარზე,  
შემზარავად ჭოტი კივის...  
მე გამოლმა ეს კივილი  
ისარივით გულში მივლის...

**გოლგოთის მგზავრი**

*„მაშინ პილატემ, რომელსაც სურდა  
ხალხის დაკმაყოფილება, გაუთავისუფლა  
მათ ბარაბა, ხოლო იესო გამოლოცვის შემდეგ  
გადასცა, რათა ჯვარცმულიყო...  
სახარებიდან*

ხარხარებს ხალხი,  
არის ხორხოცი...  
ყრმას დაჰფლეთია  
ბეჭებზე ხორცი...

გზა იწელება,

მძიმეა ჯვარი...  
წელში მოხრილა  
გოლგოთის მგზავრი...

ეკლის გვირგვინით  
წინ ელის ჯვარცმა,  
იუდამ ვერცხლზე  
მოყვასი გასცა...  
ასცდა ბარაბა  
პილატეს მსჯავრსა...  
უგუნურება  
ახარებს ხალხსა...

„ალარ უწყიან,  
იქმიან რასა“...  
ცრემლი მოაწვა  
გოლგოთის მგზავრსა...

კრძალვით შეაღებს  
საუფლოს კარსა,  
სადაც სწონიან  
ცოდვას და მადლსა...

### მდუმარებს დრანდა

კოხტას გორაზე შემდგარა ცოტნე,  
თვალს მოადვენებს დაღლილ ქვეყანას,  
მამულის ხვედრის და ბედის მცოდნეს,  
გულს ეფინება კოლხური ნანა...

მტრებს ერკინება, ბორგავს ენგური,  
ფეთქავს ჯერ კიდევ კოლხეთის გული...  
რა საიდუმლოს იტევს ტეხური?  
ოდიშის პირმშო მისი ერთგული...

ჩაფიქრებულა, მდუმარებს დრანდა,  
ილორს გაჰყურებს წმინდა ალერტი,  
წილხვედრ მიწაზე კოლხი რომ გაჩნდა,  
რაა კურთხევა ამაზე მეტი?!

კოხტას გორაზე შემდგარა ცოტნე,  
თვალს მიადვენებს დაღლილ ქვეყანას,  
მამულის ხვედრის და ბედის მცოდნეს,  
გულს ეფინება კოლხური ნანა.

### ჩემო სტუმარო

„კარგო სტუმარო,  
დაუფინყარო,  
შესვი, გაამოს  
ეს წმინდა წყარო.

აკ. ნერეთელი

ჩემო სტუმარო,  
მორცხვად ნუ ხარო!..  
მსურს გადღეგრძელო,  
ყანწი დავცალო...

გითხრა სალხინო,  
რომ მოგალხინო,  
შენც გაიხარო,  
მეც გამახარო...

ფეხბედნიერო,  
ღვთისაგან ხარო,  
მოლხენის წყარო,  
სუფრის მზე ხარო...

### ეს თუ ოცი პროცენტია

დრანდა, მოქვი და ილორი,  
დედის ძუძუ, ცალი მკერდი,  
ეს თუ ოცი პროცენტია,  
სხვა რაღაა უფრო მეტი?!

სათანჯო თუ ლურჯი რინა,  
ბაგრატის მთა და ბესლეთი,  
ეს თუ ოცი პროცენტია,  
სხვა რაღაა უფრო მეტი?!

ენგურგალმა საქართველო,  
ბიჭვინთა და აფშილეთი,  
ეს თუ ოცი პროცენტია,  
სხვა რაღაა უფრო მეტი?!

ქრისტეს გზაზე უარი ვთქვით,  
კერპს თაყვანი ვეცით მეტი,  
ბარაბას გზას ვინც ადგია,  
რაღად უნდა აფხაზეთი?!

იქ ჩვენ სიმონ კანანელი  
გვყავს მეოხად, როგორც ღმერთი,  
ეს თუ ოცი პროცენტია,  
სხვა რაღაა უფრო მეტი?!

გაბრწყინების მომლოდინე,  
მაცხოვარო, გელის ერი,  
მახარობლად გამოგზავნე  
გაბრიელი, წმინდა ბერი...

### მაცხოვარო, გელის ერი

ჯვარცმის მერე, აღდგომისთვის,  
ემზადება საქართველო,  
რომ ენამა მაცხოვრისთვის,  
შენ მფარველობ, ღვთისმშობელო...

გაბრწყინების მომლოდინე,  
მაცხოვარო, გელის ერი,  
მახარობლად გამოგზავნე  
გაბრიელი, წმინდა ბერი...

ენამა და იმარტვილა,  
არ დაუკრა ეშმაკს კვერი,  
პასუხს აგებს მწვალებელი,  
დღე დადგება ბედნიერი...

ლაზარე რომ აღადგინა,  
ქრისტემ უთხრა: „გაიარე,  
უფლის ნებით, საქართველოვ,  
აღსდექი და კვლავ იარე...

### ბრბო და ბარაბა

იღვრება სისხლი,  
თან იუდას ისმის ხარხარი...  
შემოვკრათ ზარი,  
გზას გვინათებს მაცხოვრის ჯვარი...

ფარისევლები თვალში ისევ  
ნაცარს გვაყრიან...  
აქვთ ვაი-ვიში, მასკარადი,  
დავიდარაბა...

პილატე კვლავაც ხელებს იბანს  
ბილნი ღიმილით,  
წუთისოფლად კი ერთად ვლიან  
ბრბო და ბარაბა...

ჯვარცმაზე მეტი  
არ არსებობს ჭეშმარიტება...  
გვნამდეს, სიკვდილი  
სიკვდილითვე დაითრგუნება...



## გაზეთ „აღდგომის“ გამოცემის 25 წელი

1992 წლის 6 იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად მოსულმა სისხლიანმა ხუნტამ იერიში მიიტანა ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებებზე. უპირველეს ყოვლისა, მან საზოგადოებაში ჯერ კიდევ ფეხმოუმაგრებელ პლურალისტურ სიტყვას შეუტია, პირველ რიგში, მისი სამიზნე მასმედია გახდა.

ასეთ ვითარებაში აფხაზეთში, სადაც თავმოყრილი იყო დევნილი ხელისუფლები-სა და მისი მომხრეების უდიდესი ნაწილი, დღის წესრიგში დადგა საკითხი თავისუფალი გაზეთის გამოცემისა. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია, ზურაბ კვარაცხელია, რამაზ კუპრავა, სერგი საჯაია, გიორგი სიჭინავა, ვალერი ქობალია, ნანა და ნონა ქობალიები.

გაზეთის რეგისტრირებას წინ აღუდგა აფხაზეთის ხელისუფლება, მით უმეტეს, ამას მოითხოვდა თბილისური რეჟიმი. მიუხედავად ამისა, გაზეთ „აღდგომის“ პირველი ნომერი რეგისტრაციის გარეშე გამოვიდა 1992 წლის 24 აპრილს, აღდგომის ღამეს. მისი პირველი მკითხველები იყვნენ სოხუმის საკათედრო ტაძარში მოშიშ-შილეთა საპროტესტო აქციის მონაწილეები და მრევლი. გაზეთს რედაქტრობდა: გიორგი სიჭინავა.

გაზეთს თან დაჰყვა მუდმივი დევნა და ბრძოლა გადარჩენისათვის. აფხაზეთში გაჩაღებული ომის შემდეგ გაზეთი მაინც აიკრძალა, ამჯერად თვით ქართველების მიერ, კერძოდ, სოხუმის მაშინდელი სამხედრო კომენდანტის გ. გულუას ბრძანებით.

გაზეთის გამოცემა გაგრძელდა ქ. ზუგდიდში. მთელი საქართველოს მასშტაბით ძირითადად გაზეთი „აღდგომა“ იყო სისხლიანი რეჟიმის მხილების ერთადერთი საშუალება, სანამ მას გვერდში არ ამოუდგნენ სამეგრელოში გამოძავალი ეროვნული გაზეთები: „ნალენჯიხის ზარები“ და „ჭყონდიდელი“.

კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამხობის შემდეგ გაზეთ „აღდგომის“ გამოცემა შეწყდა და განახლდა საქართველოს დედაქალაქში 1995 წელს ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, კერძოდ, აფხაზეთში გატარებული რეგისტრაცია თბილისში არ მიიღეს, თითქოს აფხაზეთი საქართველოში არ ყოფილიყო. ეს ფაქტიც კმარა იმისთვის, რომ აფხაზეთში გაჩაღებული ომი კრემლის მიერ იყო დაგეგმილი და აფხაზი და ქართველი მარიონეტების ხელით განხორციელდა. თბილისშიც გაზეთი მუდმივად იდევნებოდა და არაერთხელ განუცდია რბევა და აწიოკება.

გაზეთ „აღდგომის“ ეგიდით შემდგომში ბევრი რეგიონული გაზეთი გამოდიოდა.

„აღდგომის“ 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამომცემლობა „მიჯნას“ გადანყვეტილი აქვს სპეციალური კრებულის გამოცემა და მივმართავთ გაზეთის ყურნალისტებს, მკითხველებს, მოგვანოდონ წერილები, დოკუმენტური და სხვა მასალები მისამართზე: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქუჩა 25, ბინა №1;

E-mile: universal505@ymail.com; გამომცემლობა „უნივერსალი“.

*ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია*

## თავისუფლებისთვის შეუვალი და უკომპრომისო მეზობელი



მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზეთში ანზორ გვარამია დაიბადა 1938 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ გინძენერში. 1961 წელს დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა სტუდენტობის დროიდან, მისი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ „დროშაში“ 1957 წელს.

ბატონ ანზორ გვარამიასთან გაცნობა მოხდა არაორდინარულ პირობებში...

1992 წლის 6 იანვარს კრემ-

ლიდან მართული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობის, მეტეხის ხიდთან, ალაიანთან და ბევრ სხვა ადგილას ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა დახვრეტების საპასუხოდ, მთელ საქართველოში პირველად, შობა დღეს სოხუმში დაიწყო საყოველთაო გამოსვლა სამხედრო-კრიმინალური ხუნტისა და მისი სულისჩამდგმელი მოლაღატე პარტოკრატის წინააღმდეგ. ეს გამოსვლა პერმანენტულ მიტინგებში გადაიზარდა და გაგრძელდა მანამ, სანამ ამ სულგაყიდულებმა აფხაზეთის მარიონეტულ ხელისუფლებასთან დუეტში ომი არ გააჩაღეს და სინამდვილეში არ დაიწყო რუსული ინტერვენცია.

იმ გამოსვლებით დაიწყო ორგანიზებული მოძრაობა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. სამეგრელოს მრავალგზის აოხრების შემდეგ ამ მოძრაობის მთელი სიმძიმე აფხაზეთს დაანვა, ის გახდა საქართველოს ყველა კუთხიდან დევნილთა და რეპრესირებულთა თავშესაფარი.

ამ საყოველთაო მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ბატონი ანზორ გვარამია იყო.

ერთ-ერთი მიტინგის საინფორმაციო ნაწილის დამთავრების შემდეგ ბატონი ანზორი ჩემთან მოვიდა. მაშინ მას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი, როგორც გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ თანამშრომელსა და აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს. მან მკლავი გამიყარა დიდი ბოდიშების გარეშე და „ჩერნომორეცის“ მოედნიდან პირდაპირ რესტორან „ამრაში“ წამიყვანა. მას უკვე ყველაფერი სცოდნოდა ჩემ შესახებ და მთხოვა, რომ დაუმორჩილებლობის მოძრაობის შტაბის სხდომები ჩაეტარებინათ ჩემს სახლში, ქალაქგარეთ, სოფელ იაშთხვაში, რა ზედაც უყოყმანოდ დავთანხმდი.

აქედან მოყოლებული ემიგრაციაში მის წასვლამდე ჩვენი თანამშრომლობა არ გაწყვეტილა, ვინაიდან შტაბის პირველსავე სხდომაზე გადაწყდა, რომ გამოგვეცა გაზეთი

---

---

„აღდგომა“, რომლის დამფუძნებელთა საბჭოს წევრიც იყო ბატონი ანზორი. მაშინდელ აფხაზეთში ქართული გაზეთის გამოცემა ურთულეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული და ამ საქმეს დიდი შრომა და ენერგია შევალა; რა თქმა უნდა, აქაც გამორჩეული იყო ბატონი ანზორი. მართალია, ოთხი ნომერი არაღლეგალურად, რეგისტრაციის გარეშე გამოვეცით, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გასტანდა, ვიდრე ბატონი ანზორის მეშვეობით ამ საკითხის მოგვარებაში არ ჩაერთო ბატონი ზვიად გამსახურდია და არ აიძულეს აფხაზეთის ხელისუფლება, მოეხდინა გაზეთის რეგისტრირება. სამწუხაროდ, სულ რამდენიმე თვეში დაიწყო ომი და გაზეთის გამოცემა სოხუმის კომენდანტად მოვლენილმა ქართველმა გულუამ აკრძალა.

ამის შემდეგ ბატონი ანზორ გვარამია ზუგდიდში მოქმედი დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრია. გაზეთ „აღდგომის“ გამოცემაც ზუგდიდში გაგრძელდა. ბატონი ანზორი წარმართავდა დაუმორჩილებლობის კომიტეტისა თუ კანონიერი ხელისუფლების სხვა დოკუმენტების გაზეთში გამოქვეყნების საკითხს.

ამ პერიოდში ანზორ გვარამია სრულიად მონყვეტილი იყო ოჯახს; მისი სოხუმში ჩასვლაც სიკვდილის ტოლფასი იყო, ამიტომ, შეიძლება ითქვას, მშობლიურ სამეგრელოშიც დევნილის პირობებში იყო – იქ, სადაც დაიბადა და საიდანაც ერთხელ გზას გაუდგა თბილისისაკენ სასწავლებლად, მსგავსად ქვემოთ დაბეჭდილი მოთხრობის გმირისა.

ბატონი ანზორი მუდამ შეუვალი და უკომპრომისო იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყანას, კანონიერ ხელისუფლებას, ერს ტყვია ესროლეს. იგი ამ ბრძოლის ავანგარდში იდგა სიცოცხლის ბოლომდე თავისი დაუდგრომელი სულით, პოლიტიკური საქმიანობით და, რაც მთავარია, თავისი კალმით. ის იყო უღალატო მეგობარი, სხვათა გასაჭირის გულთან მიმტანი, სიტყვის პატრონი, კაცური კაცი.

ანზორ გვარამია მიმდინარე წლის იანვარში გარდაიცვალა ქ. თბილისში.

*მურმან ზაქარაია*

ანზორ გვარამია

სტუმრები

ისინი ისხდნენ აივანზე. აივნიდან მოჩანდა ვერცხლისფერი მდინარე, რომელიც მოშორებით მოედინებოდა, მაგრამ წყლის ჩუმი შხუილი მაინც ისმოდა.

- რა სიჩუმეა! - ჩაილაპარაკა ერთმა ქალიშვილმა.

- ასეთი ლამაზი ღამე მხოლოდ კინოში მინახავს, - თქვა მეორემ.

- ნოდარ, აქ თუ უჩვენებენ ახალ სურათებს? - იკითხა ქალიშვილმა. მას ნანა ერქვა.

თხელი კაბა ეცვა და სიბნელეში სასიამოვნოდ მოჩანდა მისი თეთრი სახე და მკლავები.

- უჩვენებენ, როგორ არა, - უპასუხა ნოდარმა, იგი ქვის კიბეზე იჯდა.

ქალიშვილები ისევ საუბრობდნენ და კისკისებდნენ.

აივნის კუთხეში მოხუცი იჯდა. იგი უსმენდა ქალაქელი სტუმრების, ნელისა და ნანას კისკისს.

- ნანა, ბარდოს ახალ კინოში იღებენ, იცი?

- ამბობენ, იტალიელებიც იღებენო.

ნოდარი ისევ დუმდა, გასცქეროდა ბნელ მინდორს და თეთრ სახლებს. მოხუცს თეთრი სახლების დანახვაზე აგონდებოდა მთვარის შუქით განათებული ღამეები, როცა გლეხები ჩალას ქრიდნენ მოკაუჭებული ნამგლებით, მერე ბალახებს გრეხდნენ და იმით კონებად კრავდნენ ჩალის ღეროებს.

- ყოველთვის ასე შხუის მდინარე?

- გუშინ არ შხუოდა. რატომ არ შხუოდა გუშინ?

მოხუცი მოელოდა, რომ ნოდარი უპასუხებდა გოგოებს, მაგრამ ნოდარს ხმა არ ამოუღია. მოხუცს უნდოდა აეხსნა სტუმრებისათვის, რომ მდინარის შხუილი მხოლოდ მაშინ მოისმის რიყიდან, როცა წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი, მაშინ მთიდან აღმოსავლეთის ქარი უბერავს, ქარი ხეობაში ხმაურობს და წყალიც ჩქარა მოედინება. ეს ძველი ტყისმჭრელებისაგან გაუგონია. მართლაც ეგრე იყო: როცა რიყიდან მდინარის შხუილი მოისმოდა, მეორე, მესამე დღეს წვიმდა ხოლმე. ნოდარმაც იცოდა ეს, ყველა

იქაურმა გლეხმაც კარგად იცოდა, როდის განვიმდებოდა დასახლებაში.

მაღე ნოდარი და ქალიშვილები თეთრ ლოგინებში ჩანვნი და დაიძინეს. მოხუცი ისევ აივნის კუთხესთან იჯდა, გასცქეროდა ბნელ სივრცეს, ჩიბუხს წევდა და სიჭაბუკეზე ფიქრობდა. აგონდებოდა ის წლები, როცა ენგურზე მეტივედ მუშაობდა. მაშინ ახალგაზრდა იყო, ღონიერი და ჯანიანი. ღამით ტყეში, პატარა კარავში, ფიცრებზე მაზარა ჰქონდა დაფენილი და ისე ეძინა. მეორე დღით მაზარას ოთხად დაკეცავდა, ბანრით შეკრავდა, ზურგზე მოიკიდებდა, ტივზე დაჯდებოდა და ორთაყვირებს მოუსვამდა. ორთაყვირებთან ბრძოლის გამო ძლიერი კუნთოვანი მკლავები და მკვრივი მკერდი ჰქონდა... როცა ტივზე იჯდა, ხშირად მოდიოდა კოკისპირული წვიმა. ზამთარში კი მშრალად თოვდა.

მოხუცი ნელ-ნელა აბოლებდა ჩიბუხს, თან ყველაზე უფრო ერთი სვანი ტყისმჭრელის გახსენება ახარებდა. ის ტყისმჭრელი დიდი გოლიათი ვინმე იყო. ერთხელ მასთან მოუხდა ჩხუბი და უცბად მიწაზე გააკრა. მერე სვანის ფეხზე ადგომას დაუცადა. როცა სვანი ადგა, ურტყა და ურტყა. თვითონ ტანმორჩილი იყო, არავინ იფიქრებდა, რომ იმ ახმახს გალახავდა.

მოხუცმა გვიან დაიძინა, აივნის იატაკზე დაწვა, თხელ ლეიბზე. მეორე დღით კი ადრე ადგა.

როცა ქალიშვილების ოთახში შეიხედა, უნებურად შეჩერდა. მან დაინახა თეთრი მკლავები. მას ბევრი ქალი უნახავს, მაგრამ ეგეთი თეთრი მკლავები არც ერთს არ ჰქონია.

შუადღისას მოხუცი ისევ აივანზე იჯდა. ქალაქელი სტუმრები ლელვზე ასულიყვნენ. ძალიან ცხელოდა.

ნოდარი ლელვის ძირას იჯდა, დიდი ქვაზე. ქალიშვილები კი ტოტებზე ისხდნენ და ლელვს შეექცეოდნენ. მოხუცი უყურებდა, ფოთლებს შორის გამოპარული მზე როგორ ათინათებდა მათ სახეებს და ეჩვენებოდა,



რომ ქალიშვილებს თითქოს რაღაც სითხე ჰქონდათ წასმული შიშველ მხრებსა და მკლავებზე. მოხუცი გასცქეროდა ლელვის ხეს და ნოდარზე ფიქრობდა. მას სხვა შვილიც ჰყავდა, მაგრამ ომი დაიწყო და მოხუცმა გააცილა თავისი ვაჟკაცი. იმ დღის შემდეგ მოხუცი ხშირად კითხულობდა გაზეთებს... და ძალზე გვიან მიხვდა თავის თავზე დატრიალებულ უბედურებას.

აივნიდან ისევ გახედა ქალიშვილებს მოხუცმა. იგი ხედავდა მათ მხრებს და მკლავებს. შიშველი მხრების დანახვაზე მოხუცს მოაგონდა თეთრად განათებული რესტორანი „რინა“. ერთხელ მეტივეები და ტყისმჭრელები საქეიფოდ წავიდნენ. ოფიციატებს გრძელი მაგიდა გააშლევინეს. ერთ მხარეზე მეტივეები დასხდნენ, მეორე მხარეს – ტყისმჭრელები.

მოხუცი მაშინ მეტივე იყო და ძალიან ბევრს სვამდა. სწორედ იმ საღამოს შენიშნა მან რესტორნის კუთხეში, მაგიდასთან, ორი ქერათმიანი ქალი. ფეხები ერთმანეთზე ჰქონდათ გადადებული და მაგიდის ქვემოდან მოჩანდა მათი თეთრი, სასიამოვნო წვივები. მეტივე ქალების დანახვაზე უმალ აივსო სურვილით, მაშინ მას ისეთი ასაკი ჰქონდა, რომ ქალის სილამაზეზე მეტად შიშველ წვივებს გრძნობდა.

ნოდარი წყნარად იჯდა. ეს არ მოსწონდა მოხუცს. იგი უყურებდა შვილის განიერ ბეჭებს, ძლიერ ხელებს და ჯიუტად გაფარჩხულ ფეხებს. ნოდარის გვერდით ლელვის ქერქები ცვიოდა და მინაზე ტყაპანი გაჰქონდა. როცა ნოდარმა მალლა აიხედა, მოხუცმა შენიშნა, როგორ განითლდა იგი.

ქალიშვილები ისევ უდარდელად ისხდნენ ლელვის ტოტებზე. მოხუცი თავს ვერ იკავებდა და ხშირად ზვერაავდა მათ. იგი ხედავდა შიშველ ფეხებს და მკლავებს. მოხუცს ახალგაზრდობაში ტუტუც მეტივეს ეძახდნენ პორტში მომუშავე მსუქანი ქალები. მეტივემ მაშინაც ასეთი დაჟინებული მზერა იცოდა.

- ნოდარ! – ჩამოსძახა ერთმა ქალიშვილმა.
  - რა იყო?
  - ისევ მანდ ზიხარ?
  - ჰო, აქ, დიდ ქვაზე.
  - რატომ ზიხარ, ნოდარ, დიდ ქვაზე?
- ამოდი და შენც ტოტზე ჩამოჯექი.
- აქაც კარგად ვზივარ.

- მაინც რაზე ფიქრობ, ნოდარ? – გაისმა ისევ ნელის ხმა.
- ისე...
- ნანამ რა თქვა, იცი, შენზე?
- რაო, რა თქვა?
- ნოდარი ჩუმი ბიჭიაო.
- ჰმ...
- ნოდარ!
- რა?
- ნანას ეშინია.
- რისი ეშინია?
- ხიდან ჩამოვარდნის.
- ოჰო! – გაეცინა ნოდარს.
- ნოდარ, ნანა რომ ჩამოვარდეს, შენ რას იზამ?
- მე?...  
მოხუცს მოეჩვენა, რომ ნოდარს ლაპარაკი უჭირდა.
- ჰო, რას იზამ, რომ ჩამოვარდეს?
- მე? მე...
- მე გეტყვი, რას იზამ...
- რას, რას ვიზამ?
- ადგები და ხელებს გაშლი.
- მერე?
- მერე ხელებზე დაგეცემა გაფითრებული და სუნთქვაშეკრული ნანა.
- მერე?
- მერე... მერე... მერე... შენ თვითონ იცი...
- მოხუცმა წყენა იგრძნო გულში.
- მტრისას ლელვიდან ჩამოვარდნა, მაგაზე მწარე არაფერია, იცით? – თქვა ნოდარმა.
- გოგოებმა გადაიკისკისეს. მოხუცი თავისთვის იჯდა, ისევ სივრცეს გაჰყურებდა და დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ის აზრი, რომ სიცხეში ჰაერი ლიფსიტებით სავსე, გამჭვირვალე წყალს ჰგავდა. მოხუცი სიჭაბუკიდანვე შეეჩვია იმ აზრს, რომ ცხელი ჰაერის სივრცეში ნელი რხევა მართლაც საოცრად წააგავს ლიფსიტების ცურვას კამკამა წყალში. მას არავისთვის უკითხავს, მართლა ასე იყო თუ არა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მარტო მოხუცს ეჩვენებოდა ასე.
- ნოდარ! – გაისმა ისევ ნელის ხმა.
- ჰო!
- ნოდარ, იცი, ბარდოს იღებენ ახალ სურათში.
- გადასარევად ლამაზია ბარდო, – თქვა მეორემ.
- გამიგია... – თქვა ნოდარმა.

- რა კარგი ტუჩები აქვს, იცი?..  
- წვრილი, ძალიან წვრილი წელი და გრძელი წამწამები.

- ქართული სურათი არ გამოვა მალე? – იკითხა ნოდარმა.

- ოო, შენც ერთი..

რატომ არ იცის? – ფიქრობდა მოხუცი, – ნოდარმა რატომ არ იცის ეგ, ბარდოა თუ ვიღაც ეშმაკი? მოხუცი ხშირად კითხულობდა ახალ გაზეთებს, მაგრამ ბარდო მაინც არ გაეგონა. ახლა თავისთვის იჯდა აივანზე და უყურებდა, როგორ ჰგავდა ცხელი ჰაერის ტალღისებური რხევა ლიფსიტებით სავსე წყალს.

მოხუცი მარანში ჩავიდა. იქ სანახლისა და ქვევრების სუნი ტრიალებდა. როცა ქვევრებს ამორეცხავდა ხოლმე, ყოველთვის მძაფრი სუნი დგებოდა მარანში. ეს იყო შარშანდელი ღვინის სუნი და იგი ძალიან ატკობდა მოხუცს.

მარნიდან რომ გამოვიდა, ნოდარი ლელვის ტოტზე იჯდა. – ალბათ ქალიშვილებისთვის ლელვს კრეფს, – გაიფიქრა მოხუცმა. ქალიშვილებმა დაკრეფილი ლელვი ჩანთაში ჩაყარეს, ზედ სუფთა ქალაღი დააფარეს. მეორე ჩანთა ვაშლებით და მსხლებით გაავსეს და იმასაც სუფთა ქალაღი დააფარეს. ახლა ნოდარმა სიმინდის ტაროები მოიტანა. ქალიშვილებმა ჭყინტი ტაროები ჩემოდანში ჩააწყვეს.

მოხუცი რატომღაც დაბნეული და აფორიაქებული იყო. უნდოდა თვითონაც დაეკრიფა ხილი და ქალიშვილებისთვის მიერთმია, მაგრამ ნოდარი არ აცლიდა. მოხუცი შორიდან უცქერდა ნოდარს და ქალიშვილებს.

ქალიშვილები სალამოს მატარებელს გაჰყვნენ.

სამი დღის შემდეგ მოხუცი სახლის კიბეზე იდგა გაშეშებული და განცვიფრებული. ნოდარი ფეხსაცმელებს, პიჯაკს და შარშანდელ პალტოს წმენდდა. მერე ჩემოდანში ჩაალაგა, ნიგნები და რვეულებიც თან მიაყოლა. ეს იყო

კონსპექტები, რომელსაც სკოლის დამთავრების შემდეგ წერდა ნოდარი. ატესტატი, რალაც ცნობები და სხვა საბუთები ქალაღში შეახვია და ისიც ჩემოდანში ჩადო. მერე ღვედები გამოიტანა ოთახიდან და ერთი ხელი ლოგინი შეკრა.

მოხუცს არაფერი უთქვამს ნოდარისთვის. მას ახლა ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

მერე ლიანდაგებზე მატარებელმა ჩაირახრახა. სალამოს მოხუცი აივნის კუთხეში იჯდა. ბნელოდა და გრილოდა.

სიბნელეში თვალსაჩინოდ მოჩანდნენ თეთრი სახლების კონტურები, ხეები და ბოძებზე გაჭიმული მაგარი მავთულები. ეს მავთულები, – გაიხსენა მოხუცმა, – როცა ქარია, გაუთავებლად ზუზუნებს. სიბნელე აწვა სახურავებს, ქვაფენილს, პატარა დასახლების თავისებურ სუნთქვას და ხმაურს. ეს ხმაური მეტად უმნიშვნელო და სუსტი იყო. ძლივს აღწევდა მოხუცის ყურამდე.

მოხუცი გრძობდა გრილ ღამეს და დუმილს. დუმილიც თითქოს თავისებურად ხმაურობდა, ის ჰგავდა წყლის ჩხრიალს და შორიდან მომავალი წვიმის შიშინს.

მოხუცს დარდი აწვა გულზე, თუმცა დარდს არასოდეს შეუშინებია იგი. დარდმა ერთხელ მოსინჯა, მაგრამ ჩაავლო თავისი ბრჭყალები. ეს იყო მაშინ, როცა მას წაართვეს... ამის შემდეგ მოხუცისათვის ტკბილი და მწარე თითქმის სულერთი იყო და მხოლოდ წარსულის მოგონებით ცხოვრობდა. მას ერთხელ წაართვეს და მერე რამდენიც უნდა წაერთმიათ, არაფრად აგდებდა.

მოხუცი ჩიბუხს წევდა და გასცქეროდა, როგორ კვეთდნენ ბნელ ჰორიზონტს შავად მოლაპლაპე ლიანდაგები.

მატარებლები მიქროდნენ და გამაყრუებელ გუგუნს ტოვებდნენ სივრცეში. მოხუცი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მატარებლებს ბედნიერი მგზავრები მიჰყავდათ ქალაქში. თვითონ კი იჯდა მარტო და ჩიბუხს აბოლებდა.

## ირაკლი კალანდია

სერგი დანელია ვაჟა-ფშაველას  
მსოფლმხედველობის შესახებ

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ფილოსოფიის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი პრობლემების თვალსაჩინო მკვლევრის პროფ. სერგი დანელიას მცირე მოცულობის, მაგრამ ძალზე გახმაურებული, ღრმაშინაარსიანი ნაშრომი „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ პირველად 1927 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ნაშრომი ზოგიერთი ორთოგრაფიული და კორექტურული შესწორებებით მეორედ გამოიცა 1998 წელს (გამ. „ქრონოგრაფი“). მეორე გამოცემას თან ერთვის რ. ბურჭულაძის ვრცელი წერილი, რომელშიც საფუძვლიანად, დეტალურად და არგუმენტირებულად არის განხილული როგორც ნაშრომის ძირითადი იდეა და ავტორის ანგარიშგასაწიფი დებულებები, ასევე ის პოლემიკა, რომელიც გაიმართა ამ ნაშრომის ირგვლივ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე (1983 წ. №3, 7.). მკითხველს საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა ამ მასალებს და ცნობილია, რომ როგორც ნაშრომმა, ისე ამ პოლემიკამ გულგრილი არ დატოვა სპეციალისტთა ფართო წრეც, ვინაიდან ს. დანელიას ეს გამოკვლევა, თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი გამორჩეული და საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფილოსოფიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომთა შორის.

2008 წელს, ს. დანელიას დაბადებიდან 120 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტმა ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია და ცალკე სამეცნიერო სტატიების კრებულად გამოსცა სახელგანთქმული მეცნიერის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ასევე მესამედ გამოიცა ს. დანელიას ეს ცნობილი ნაშრომი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი სიმწვავე და აქტუალურობა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვა-

ჟა-ფშაველა თანამედროვეთაგან (როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ლიტერატურაში) მკვეთრად გამოირჩევა თავისი შემოქმედების შინაარსითაც და გამოსახვის ფორმითაც.

ს. დანელიას ნაშრომი „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, ვაჟას პოეზიის, მისი მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ ანალიზთან ერთად, მიზნად ისახავს პოეტური შემოქმედებისა და ისტორიული ყოფიერების (ისტორიის) საზრისის გარკვევასაც. აღნიშნული ნაშრომი, საერთო აღიარებით, ერთობ თავისებურია და საკითხთა დაყენების თვალსაზრისით ძალზე ორიგინალური ხასიათისაა. ავტორი ცდილობს, გაარკვიოს, როგორ ასახავს პოეტის მსოფლმხედველობა ეროვნულ განვითარებას, როგორია მისი დამოკიდებულება საკუთარი ერისადმი, როდის შეიძლება ერი იყოს ისტორიული და რა ნიშნების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ისტორიულობის მასშტაბებზე. რამდენად შეძლო ქართველმა ერმა, განეხორციელებინა თავისი ყოფიერების საზრისი იმ ქარტიხილიან პირობებში, რომელიც მან ისტორიულად გამოიარა; რა საზრისი აქვს ერის ყოფიერებას და რას ნიშნავს, როგორ უნდა გვესმოდეს ისტორიის საზრისის ცნება – აი, ეს მსოფლმხედველობრივი ხასიათის კითხვები, რომლებზეც პასუხს იძლევა ს. დანელია ვაჟას შემოქმედების ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში ს. დანელია ემყარება თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, მსოფლმხედველობა შეიძლება ატარებდეს ეროვნულ ხასიათს და არა მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლმხედველობის მატარებელი, როგორც წესი, ამა თუ იმ ერს ეკუთვნის, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ მსოფლმხედველობაში ყოველთვის მოცემულია ერის ყოფიერების ასახვა და პოზიცია, დამოკიდებულება ამ ყოფიერებისადმი. ს. დანელიას მიაჩნია, რომ იმ გარემოებას, რომ ვაჟა-ფშაველას სპეციალური გამოკვლევები ფილო-

სოფიაში, ფილოსოფიური ნაწარმოებები არ ჰქონდა, ხელი არ შეუშლია მისი ნააზრევის ფილოსოფიურობისთვის. ამ მიმართებით, ს. დანელია სავსებით მართებულად მიიჩნევს, რომ ფილოსოფიურ განხილვა-ანალიზს ექვემდებარება ხელოვნების ყოველი დარგი და, მათ შორის, ცხადია, პოეზიაც, რამდენადაც მასში შეიძლება ფილოსოფია იყოს მოცემული. სწორედ ამის ბრწყინვალე ნიმუში და დადასტურებაა ვაჟას შემოქმედება. ნაშრომში ს. დანელია მოითხოვს, რომ ვიმოქმედოთ მეტად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპის შესაბამისად, კერძოდ, ამა თუ იმ მოაზროვნის შემოქმედება განხილულ უნდა იქნეს არა იმ გზით, რომ ის შევიყვანოთ რომელიმე უცხოური მიმდინარეობის მწკრივში (მით უმეტეს, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება არც მისი თანამედროვე ქართული ლიტერატურის რომელიმე მიმდინარეობას ეკუთვნის და არც მსოფლიოს რომელსაღმე სხვა მწერალს მოგვაგონებს), არამედ იმ აზრით, რომ საკუთარ ღირებულებათა, თვითონ ამ მოაზროვნის ქმნილებათა შინაგანი სამყაროს ნვდომით გაიცეს პასუხი კითხვაზე – რა ღირებულებებია ამა თუ იმ ავტორის ნააზრევში და როგორი ხასიათისაა მათში ასახული და გადმოცემული საკუთარი ყოფიერება.

ს. დანელია კრიტიკულად ეკიდება კონსტანტინე კაპანელისა და კიტა აბაშიძის შეხედულებებს, რომ ვაჟა-ფშაველა მივიჩნიოთ სიმბოლისტად. ის ვრცლად მსჯელობს იმაზე, თუ რა არის სიმბოლიზმი, და მოითხოვს, რომ „მწერალი უნდა მისი შემოქმედების ფაქტებისაგან გავიგოთ და არა გარედან მოტანილი უცხო იარლიკებისაგან...“ ვაჟა-ფშაველა, ს. დანელიას აზრით, ქართული ეროვნული სულის მატარებელი და გამომხატველია და, ამდენად, ის ქართული ფილოსოფიის წარმომადგენლადაც უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, ვაჟას შემოქმედება გამოხატავს ბუნების იმ პირველდანიყებითი, გულუბრყვილო, შეურყვნილი ცნობიერებით ჭვრეტას, რომელიც ძველი ბერძნებისათვის იყო დამახასიათებელი. ვაჟა არის ბუნების გამსულიერებელი, მისი შინაგანი მესაიდუმლე და მისი დიალექტიკის ამსახველი. ვაჟასთან, მის შემოქმედებაში წინააღმდეგობა, ცვალებადობა,

მოძრაობა, განვითარების უსასრულობა, ისევე როგორც სამყაროს მარადიულობა, – ყოველივე ეს უშუალოდ ბუნებაშია ამოკითხული. ადამიანური გრძნობები მიენერება ბუნებას და სიცოცხლე არის აბსოლუტური არა მხოლოდ ცოცხალი არსებებისთვის, არამედ მთებისა და მთელი არაორგანული ბუნებისთვისაც.

ს. დანელია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაჟა არ იფარგლება არსებული სამყაროს დახასიათებით. ის ასევე სვამს კითხვას ამ სამყაროს არსებობის საზრისის შესახებ. მას სურს, გაიგოს აზრი მსოფლიოსი, მიზანი მისი არსებობისა, გასამართლებელი საბუთი იმ დაუსრულებელი ტანჯვა-ვაებისა, რომელიც დაუსრულებელ სიხარულთან ერთად ჩაქსოვილია ბუნების მარადიულ ყოფნაში, – აღნიშნავს ს. დანელია. ყოფიერების საზრისის ძიებისას ვაჟა მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს საზრისად მშვენიერება და სილამაზე უნდა გამოვაცხადოთ. ეს საზრისი თვით სამყაროშია, ბუნებაშია და მისითაა. ამით ვაჟა მომხრეა, ყოფიერების საზრისი მის გარეთ კი არა, მასშივე ვეძებოთ. ს. დანელიას აზრით, ვაჟასთვის საზრისი, როგორც ყოფიერების მიზანი, ყოფიერებასთან ერთად არის და, ამდენად, იგი საზრისს არსებობის ყოველ მომენტში პოულობს. ამ თვალსაზრისით, ვაჟას მსოფლმხედველობა (ს. დანელიას ტერმინოლოგიით – „მსოფლგაგება“, „მსოფლგანცდა“) ოპტიმისტურია. ს. დანელია უარყოფს და არ იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, არის ცდები, ვაჟას მსოფლმხედველობა სიმბოლიზმს და, აქედან გამომდინარე, პესიმიზმსა და მისტიციზმს დაუახლოონ. ვაჟას შემოქმედებაში, მის მსოფლმხედველობაში არის ის დაუშრეტელი ნყარო სიცოცხლის სიყვარულისა, რომელიც ვერ ამონურა ქართველი ხალხის რამდენიმე ათასი წლის ტანჯვამ. ასეთი მსოფლგანცდის გარეშე ქართველი ხალხი ბევრჯერ იქნებოდა დედამიწის ზურგიდან აღგვილი. ვაჟას მსოფლგანცდაში ქართველური განცდის უღრმესი ფენაა მოცემული, – აღნიშნავს ს. დანელია.

ნაშრომში ს. დანელია სათანადო ადგილს უთმობს წარმართულ პოლითეისტურ და ქრისტიანულ მონოთეისტურ სარწმუნოე-

ბათა ბრძოლის ანალიზს. მისი აზრით, ვაჟა ქრისტიანულ სამყაროში ცხოვრობს და ქრისტიანია, მაგრამ თავისი აზროვნებით იგი წარმართია. ამით ვაჟა, ერთი მხრივ, დაყენებულია წინასოკრატული აზროვნების დონეზე, მეორე მხრივ კი, აღიარებულია ვაჟას ინდივიდუალობა, განუმეორებადობა. ს. დანელია მიიჩნევს, რომ წარმართობის ტენდენციებით გაჟღენთილია ისეთ დიდ შემოქმედთა ნააზრევი, როგორებიც იყვნენ გოეთე, შოპენჰაუერი, ნიცშე, ლ. ტოლსტოი. ამ ცნობილ ადამიანთა გალერეაში ვაჟას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ს. დანელია გამოთქვამს თავის მრწამსს და პოზიციას ქართული კულტურის მიმართ, რაც შემდეგი სიტყვებითაა გამოხატული: „ქსენოფანე იყო პირველი ქრისტიანი წარმართულ ქვეყანაში, ვაჟა კი არის უკანასკნელი (?) წარმართი ქრისტიანულ კაცობრიობაში, რომელიც გვერდში უდგას გოეთეს, შოპენჰაუერს, ნიცშეს, ლ. ტოლსტოის“. უნდა აღინიშნოს, რომ „წარმართობაში“ ს. დანელია თავისებურ აზრს დებს: ის თვლის, რომ ვაჟას, როგორც წარმართის, გენიოსობის საფუძველი არის ის, რომ იგი დარჩა იმ პირველყოფილი, პირველქმნილი, გულუბრყვილო რეალიზმის ფარგლებში, რომელსაც ჯერ არ განუცდია ანალიტიკური აზროვნების ძალა (რასაც ძველ საბერძნეთში მოგვიანებით ჰქონდა ადგილი).

ერთ-ერთი მთავარი და მტკივნეული საკითხი, რომელსაც ამ ნაშრომში ეხება ს. დანელია, ესაა ისტორიის ყოფიერების, ერის ისტორიის საზრისის საკითხი. ავტორის აზრით, ადამიანმა ადამიანურ სამყაროში, ერმა კი კულტურასა და ცივილიზაციის სფეროში უნდა განახორციელოს თავისი ყოფიერება და მისი საზრისი. რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ქართველი ერი? ქართველ ერს მრავალი მსხვერპლის გაღების ფასად, ქარტახილებისა და ძნელბედობის ჟამის მიუხედავად, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, არ დაუკარგავს თვითმყოფადობა და ეროვნული გრძნობა და ამით განახორციელა არა მარტო მინიმალური საზრისი – არსებობის შენარჩუნება, არამედ საზრისის უმაღლესი კატეგორიებიც, კერძოდ თავისუფალი ყოფიერება და ჰუმანურობა. თავისუფლებისთვის ბრძო-

ლის მთელი ისტორიის მანძილზე მშვიდობიანი პერიოდის ძალზე მცირე მონაკვეთების არსებობის პირობებში ქართველმა ერმა შექმნა და შეინარჩუნა თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, რომელიც საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი ღირსეული შემადგენელი ელემენტია. ზემოაღნიშნულის (და არა მარტო ამის გამო) გათვალისწინებით, ერთგვარ გადაჭარბებად უნდა ჩაითვალოს ს. დანელიას, მართალია, გულისტკივილიანი, მაგრამ მაინც მიუღებელი შეხედულება, რომ თითქოს ჩვენ „ისტორიის შესავალ კარებს ვერ გავცდით“ და „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, ნამონყებული და კვლავ დანგრეული შენობაა“. ასევე გადაჭარბება უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას წარმოდგენა წარმართად. არის სხვა საკამათო საკითხებიც, მაგრამ ეს სულაც არ იძლეოდა იმ ზღვარსგადასული გამოსვლების საფუძველს ამ ნაშრომისა და მისი ავტორის მისამართით, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე, მით უმეტეს, რომ მსგავსი გამოკვლევებისთვის საკამათო და ზოგჯერ მიუღებელი აზრებიც ბუნებრივია. ზემოაღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა როგორც ამავე შრომის სხვა ადგილები, აქ გამოთქმული სხვა მოსაზრებები, ასევე ს. დანელიას დანარჩენ შრომებში მოცემული ძირითადი იდეები და შეხედულებები, რომლებიც ჩვენი ეროვნული სულისა და ისტორიული ცხოვრების ღრმა განჭვრეტასა და გააზრებას ემყარება და დასკვნებიც სხვაგვარია.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემონათქვამი ნათლად მეტყველებს, თუ დღესაც რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მიერ თითქმის საუკუნის წინ გენიოსი ქართველი პოეტის შემოქმედებაზე საქმის ცოდნით, სიყვარულითა და გულისტკივილით დაწერილ ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები, რომლებშიც ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედების ფილოსოფიურ-ლიტერატურული ანალიზის მეშვეობით ჩვენს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, საერთოდ, ქართველი ერის ისტორიის საზრისზე, მის მტკივნეულ და საჭირობოროტო პრობლემებზეა მსჯელობა.

## ადამიანი, ვითარება შუაგულ ზღვაზე მოსული თოვლი

საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში ბოლო რამდენიმე ათწლეული, საუკეთესო შემთხვევაში, „ვერსიფიკაციულ ძიებათა“ დროდ იქცა. ეს დრო საეჭვოდ გაიწვია და მკითხველსაც ეჭვი შეეპარა ამ ძიებათა სიჯანსაღეში. მას თითქოს გულიც კი გაუცივდა ქართული პოეზიის მიმართ. საგამომცემლო საქმეებში დამკვიდრებულმა განუკითხაობამაც თავისი დალი დაასვა ლიტერატურულ გემოვნებას და მკითხველი ნიჰილიზმამდე მიიყვანა. ტოტალურმა საბაზრო ეკონომიკამ ვაჭრული სულისკვეთება მოიტანა და პოეზია თითქოს წარსულად, სამუზეუმო ექსპონატად იქცა.

ასეთ პირობებში ჩემთვის და ჩემი მცირე სამეგობროსთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო პატარა პოეტურ კრებულთან შეხვედრა. კრებულის ავტორია ზურაბ ხასაია, ხოლო წიგნის სათაური ერთობ დამაინტრიგებელია: „შუაგულ ზღვაზე მოსული თოვლი“ (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015).

კრებულის ავტორი ჩვენთვის უცნობი არ ყოფილა. კარგა ხანია, თვალს ვადევნებთ მის უაღრესად საინტერესო ფილოსოფიურ წერილებს. ამ წერილებში მე და ჩემს მეგობრებს ყოველთვის მოგვწონდა აზრის სიღრმე და სიცოცხლე ერთდროულად. ისინი, მიმზიდველი სტილის წყალობით, ადვილად პოულობენ გზას მკითხველისკენ. ასეთი წერილები ალვიძებს მკითხველის აზრს და ინვესტარის სურვილს. თანდათან აღმოვაჩინეთ, რომ ეს მიმზიდველი სტილი უბრალო მიზეზით აიხსნება – ავტორი პოეტია!

წინამდებარე წერილის მიზანიც იმის თქმაა, რომ ზურაბ ხასაია პოეტია, თან კარგი პოეტი. ხოლო ის ფაქტი, რომ ის ნაკლებადაა ცნობილი, სხვა რამეზე მეტყველებს: ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე მდგომარეობაშია. ლიტერატურული კრიტიკა აღარ არსებობს, ხოლო თვით ზურაბ

ხასაია მოკრძალებული პიროვნებაა და საკუთარი პერსონის გარშემო ხმაურის შექმნას არ კადრულობს.

ამ პოეტის შესახებ, ზოგადად, ის უნდა ითქვას, რომ ის არავითარ „ვერსიფიკაციულ ძიებებს“ არ გვთავაზობს და, საერთოდ, არაფერს არ „ცდილობს“. მას აქვს ღრმა განცდები და მშვენივრად გამოხატავს მათ. გამოხატვის დროს იგი „კლასიკის“ ერთგული ჩანს. მხატვრული სახის ჩამოქნა და სიტყვის ოსტატობა მისი ხელობაა, ოღონდ ამ დროს იგი სრულიად თავისუფალია თვითმიზნური „ტრიუკებისგან“, ამიტომ მის ლექსებში ვერ აღმოაჩენ თუნდაც მცირეოდენ ყალბ ნოტას. აქ მეფობს გულწრფელობა და პატიოსნება: კაცი წერს მხოლოდ იმაზე, რასაც განიცდის და რაც იცის, ხოლო გამოხატავს ისე, რომ მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება.

ზურაბ ხასაია მელანქოლიური ტემპერამენტის კაცი ჩანს. სევდა მისი თხრობის განუყოფელი ნაწილია. ამით იგი ქართველ პოეტთა შორის ყველაზე მეტად ალბათ ტერენტი გრანელს ჰგავს, მაგრამ მისი სევდა, გრანელისეულისგან განსხვავებით, არასოდეს არაა დეპრესიული და დამთრგუნველი; ის მხოლოდ დაგაფიქრებს იმ მიუწვდომელ საიდუმლოებაზე, რაშიც მეტ-ნაკლებად გახვეულია ყველა ადამიანის ცხოვრება. შევნიშნე: პოეტი არასოდეს არ ცდილობს, ამოხსნას ეს საიდუმლო. მისი მიზანი საიდუმლოების მხოლოდ განცდაა, ხოლო ეს განცდა იმდენად მართალია, რომ მკითხველს ადვილად გადაეღება.

ადამიანის გაჩენის საიდუმლოების ფუნდამენტური განცდა კარგად ჩანს კრებულის პირველსავე ლექსში „დაბადება“. თავის დაბადებას პოეტი განიცდის უსასრულო სამყაროში მომხდარ სრულიად საიდუმლო, მიუწვდომელ ფაქტად და კოსმიურ ტკივილად. ეს ბუნდოვანება არ გაღიზიანებს, ხოლო ფანტაზიებს

უთუოდ წამოშლის. გრძნობ, რომ საიდუმლო-  
ებასთან კავშირი თავისებურად გამაღლებს და  
მტკივნეულ სიამოვნებას განიჭებს:

„მე დავიბადე გაზაფხულის რძიან ღამეში  
და ვარსკვლავებმა გადასძახეს ერთმანეთს  
რაღაც;

რაღაც ეტკინა დედამინას, ზეცას,  
გაზაფხულს,  
ქვეყნიერებას ის ტკივილი ანუხებს ახლაც.  
იდგა მაისი, არყოფნიდან როცა დავეშვი,  
ამწვანდებოდა ნიავექარიც, თოლიაც,  
ტალღაც...“

მე დავიბადე გაზაფხულის ზღვიან ღამეში  
და ვარსკვლავებმა გადასძახეს ერთმანეთს  
რაღაც“...

ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ: ზურაბ  
ხასაიასეული სევდა კი არ გთრგუნავს, არამედ  
გზრდის, გამაღლებს. ამიტომაც პოეტმა წარ-  
მატებული სახე შემოგვთავაზა – „შავგვრემანი  
ლექსი“. მისი ლექსი „შავი“ კი არაა, არამედ –  
შავგვრემანი. „შავი“ ქართულში დამთრგუნვე-  
ლი სიტყვაა, მაგრამ „შავგვრემანი“, პირიქით,  
– ენერგიული და მიმზიდველი.

კრებულის თითქმის ყველა ლექსი გან-  
ხილვის ღირსია, მაგრამ ჩემი გამოხმაურება  
ამხელა მიზანს არ ისახავს. ის მხოლოდ ზო-  
გადი შთაბეჭდილების გამოთქმის სურვილია  
და ამიტომ – ფრაგმენტული. ყურადღებას  
იპყრობს ჩვენი პოეტის აშკარა სიმპათიები  
აღმოსავლეთის, აზიის მიმართ. მე მაშინვე  
გამახსენდა გრიგოლ რობაქიძის და კონსტან-  
ტინე გამსახურდიას სპარსული და ინდური  
მოტივები. ზურაბ ხასაიას „ორიენტალიზმიც“  
ამავე ჭრილში აღიქმება. მას აღმოსავლეთი,  
როგორც ჩანს, ესმის გრძნობიერების წიაღად,  
სადაც ბუნება, მფშვინავი სტიქიები „ტექნი-  
კაზე“ მაღლა დგას და, შესაბამისად, სიტყვა  
ცნებაზე, „კონცეპტზე“ მეტია. „აზია“ ბუნე-  
ბის სიმძლავრის, მიწიერების და მათრობელა  
გრძნობების პოეტური სინონიმია.

აქ ზურაბ ხასაია გრანელს სრულიად შორ-  
დება და უფრო რობაქიძის, გამსახურდიასა და  
ლეონიძის სივრცეებს უახლოვდება. ლექსებში  
„აზიელი ქალი“, „კარმენ“, „ამორძალი“ ისმის  
მინის გუგუნის და ედინება სისხლსავსე მიწიე-  
რი ცხოვრება. მაგრამ ზურაბ ხასაიას სივრცე

მუდამ უცვლელია – მინისა და ზეცის, დემო-  
ნისა და ანგელოსის განუწყვეტელი ჭიდილი  
და შეხლა-შემოხლა. „სისხლსავსე მიწიერება“  
მძლავრი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი მხარეა  
ცხოვრებისა. მას თავისი საზღვარი და დასას-  
რული აქვს და ზღვის „ოპტიმისტურ“ მოქცე-  
ვას მისივე „პესიმისტური“ მიქცევა მოსდევს.  
ამიტომ ლექსის „აზიელი ქალი“ დასასრულს  
რობაქიძისეული პათოსი გზას უთმობს გრა-  
ნელისეულ „დაღლილობას“. ეს არ აღიქმება  
პესიმიზმად. მკითხველი გრძნობს, რომ ეს  
სიცოცხლის ტალღების ბუნებრივი მონაც-  
ვლეობა და სრული სიმართლეა.

მთლიანად მოვიყვან ამ ლექსს, რადგან  
მასში კარგად ჩანს პოეტის აზროვნების უც-  
ვლელი სტილი:

„მიყვარს აზია – მინის გული,  
მზით შეტეხილი,  
შრიალეებს ქალი – ზარატუშტრას  
ტურფა ხეხილი,  
ზანტი დემონი, სპარსის მთვარე  
და ირაჰმანდა,  
ჰაფეზმა შეთხზა და აზიის მზეს მიაშანთა.  
მზერა სავსე აქვს გაზაფხულით,  
თითქოს უწყინარს,  
მაგრამ რქიან გველს იაკინთის  
თვალი უბრწყინავს!  
ტანზე ეღვრება მზე და ღვინო,  
ლანდი და მითი,  
ლაჟვარდის წყალი, ზღვის ფირუზი  
და ქრიზოლითი.  
მიყვარს აზია... მაგრამ ჩემი  
წლები გაფრინდა...  
ცხოვრებით დაღლა, taedium vitae  
ლათინთა.  
დავეხეტები, ტკბილი ცრემლი  
წყლულეებს ამთელეებს,  
ვიგონებ ყრმობას და ყურს ვუგდებ  
ზღვის ჟრუანტელებს“.

მახსოვს, ეს ლექსი პოეტის მეგობრებს ფი-  
ლოსოფიის ინსტიტუტში ეკიდათ, დირექციის  
ფოიეში.

ბრწყინვალე ლექსია „ვეფხვი“. ვეფხვის-  
ტყაოსნის ქვეყანაში პოეტი ვეფხვის სახეს  
ვერასოდეს შეეღვება. ჩვენი პოეტი მრავალ  
ლექსში ტკბება ვეფხვის, ლომის და ავაზის

სახეებით. ვეფხვი „ლეგენდებიდან ახტება“ და საქართველოს მთა-გორებში გამოისიერნებს. საინტერესოდ შეუნიშნავს პოეტს მისი სიარულის მსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ რიტმთან, მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობასთან; რომ ვეფხვი ერთდროულად ფერთა ყვავილობაცაა და თავზარდამცემი მეხთატეხაც, თავისუფლებაც და სისხლისღვრაც. პოეტს გულუბრყვილო სიზუსტით აუტაცია ვეფხვის რუსთველური იდეა. ლექსში „იჩქერია“ ისევ გამოჩნდება ვეფხვი, ამჯერად უკვე მრავლობითი სახით, და მონანილეობს დიდ იმპერიასთან კავკასიის ომში.

დაუვიწყარია ეს „იჩქერიის ვეფხვები“. თვით კავკასიონი „აჯანყებულ ვეფხვის კამარას“ დამგვანებია. კლდეებს „დახვრეტილი მხეცის ხავილი“ დაღავს. ჯოხარ დუდაც „ამხტარი ვეფხვია“, „კავკასიის მზით დამდულრული“; ქაფიანი თერგიც „ვეფხვის რძიანია“. თურმე ეს ვეფხვები ვეფხისტყაოსან საქართველოს წარმოადგენენ ამ ომში! „კლდეებს რომ ხრავენ, ვეფხვებია შოთაის ლექსის!“ ლექსის ნამდვილი კრემენდოა ფინალი:

„თავისუფლება ვეფხვობაა,  
სისხლის ჩქერია,  
დაჭრილ ვეფხვებით მოქარგული  
ჩქეფს იჩქერია!“

დამეთანხმებით: ეს ლექსი ვეფხვის ნამდვილი საგალობელია და, ამ აზრ-გაგებით, დიდი ქართული პოეზიის ნაწილია.

სხვა ლექსში ვეფხვის „დეიდაშვილი“ – ავაზა მოგვევლინება პოეტის შთაგონების წყაროდ. ის პოეტის შფოთიანი სიზმარია, საიდანაც „დაიმონ“-ით ატეხილი ლექსები მოედინება. თურმე გალაკტიონ ტაბიძე ნამდვილ პოეტად მხოლოდ იმ მოლექსეს თვლიდა, ვისაც „დაიმონ უზის სულში“. ჩემი ღრმა რწმენით, ზურაბ ხასაია ნამდვილად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს. მას „დაიმონ“ უზის სულში და ვეფხვების სიყვარულიც ამან დამართა.

აზიურ-აღმოსავლური სისხლით ამაცობს პოეტი ლექსში „ამორძალი“. აქ ზემოხსენებული მინიერება ჯანსაღ სისხლად და ჯიშინი ქალის სილამაზედ გვევლინება. შეუძლებელია, არ აჰყვე ლექსის „ჰერაკლიტურ“ დინამიკას. ლექსი გაჟღერებულია ხორციელი სიყვარულის „სპარსული“ ბანგით. დაუვიწყარია „ოქროს

სატევარით გამოსალადრავი“ ყელი ჯეირნისა, „კლდეზე ულაცებით გადახეული“ ამორძალები, „აღვინებული გარიჟრაჟი“. უხვად და ბარაქიანად იფრქვევა სახე: „გიგავს სიზმარი ფასკუნჯის ფრთას, სპარსულ ხალიჩას“; „ცეცხლის მწოველი, ამბოხებულ ვეფხვების რძალი, ცხენის ფლოქვებით გასრესილი ხარ ამორძალი!“

ქართველი ქალის მოძრაობათა სიმდიდრე და ენერგია დულს და გადმოდულს სონატაში „კარმენ“. ეს ლექსი მძლავრი მინიერი ეროსის საგალობელია. ქალის ცეკვაში ხდება სიცოცხლის საიდუმლოებისა და ერთგვარი ჯადოს უნაკლო მოფენა, ჯოჯოხეთის მოქარგვა. მე არ ვიცი სხვა ლექსი, სადაც ქალის ცეკვა, მისი უძლეველი დინამიკა ასე იყოს ატაცებული:

„როგორ დნებოდი, მზის სისხლით ნაბან  
მუსიკით ხურდი.

თითქოს ცეკვის დროს აირია კარმენის კაბა და დაგესია ბარბაროსულ ლამეთა გუნდი. ინვის კარავი ხურუშით ურცხვით, ცეკვავს კარმენი კაბათა ფურცვლით – დედალი ვეფხვი, მზერა ტირანი, შაირის ცეცხლზე ამწვარი ტანი. შუქებში მალვა, მასკა, ბურუსი, ლანდების გიჟი, სარკის მუსუსი. ბნელ ლამეებში ვეფხვებთან მწოლი, მზით შერეკილი, სიკვდილის ცოლი. ბორგვენ ლომები და საზღვრებს ხრავენ, ცას ჩამობერტყავს ტანის თახთახი, ვარსკვლავიანი აზღვავდა ლამე, ხლეჩს ბრონეულებს ტანჯვათა დალი. ცხოვრების ლამე ვარდისფერი

სანდალოზია,  
სწუხს ვარსკვლავებით დახუნძლული  
ანდალუზია.  
ზეცა – რიჟრაჟის ღვინოებით  
მთვრალი მარმარი...  
და ჩემს ნანგრევებს ეფერება  
ქალი ნარნარი“.

პირველყოფილი ცეკვის დიდი მითოსია აქ მოთხრობილი, ხოლო ამ თხრობის მთელი ფასი ისაა, რომ მასში ჩანს სიცოცხლის საიდუმლოება და სიკვდილთან მისი უცნაური გადაბმულობა.

ამ განწყობის ლექსებს აგვირგვინებს ციკლი „აღმოსავლეთი“. ერთმანეთს ცვლის ჰინ-



დოსტანის, ჩინეთის, მონღოლური ტაიფუნის, შუა აზიის, სპარსეთის მითოსური სახეები. რომელი ერთი უნდა გამოვტოვოთ აქ?

„შრილებს განგი –  
ქვეყნიერების რძიანი დედა,  
თავის გარშემო თხზავს ნუთისოფელს.  
გრძელდება ქროლა სიზმარიანი.  
წამოიშრათა მზისკენ გველი  
ჰიპნოზის სვეტად  
და ლოტოსებთან დრო გაქვავდა.  
ამ მზიან დილით ლოცულობს სპილო –  
სიკეთის ზოდი...“

რა ლამაზია ქვეყნიერება,  
წყლის სარკეებში არეკლილი!  
უსპეტაკესმა ფრინველმა  
წყლის სიზმარეთი გადაჰკვეთა,  
ნეტარებისგან გაჰქრა ბუდა  
და ყველგან ბრწყინავს  
ჰაერივით უხილავი...“

საოცრად ზუსტი ჩანს ფილოსოფოს ლაოდის სურათი. წყაროს წყალივით დაწმენდილ და მძლავრი ფილოსოფიური ენერგიით დატენილ სახეებში უნაკლოდაა გადმოცემული უცნაური ჩინელი ბრძენის ურთულესი მოძღვრების დედააზრი. ლაო-ძის მიუწვდომელ მისტერიას ცვლის მონღოლური ტაიფუნი. ეს პირწმინდად აზიური ლაშქრობა, სტიქიური უბედურების სადარი, ლექსში ესთეტიურ სანახაობადაა წარმოდგენილი. სხვათა შორის, ადრე ამავე გემოვნებით დახატეს ეს სურათი ლეონიძემ და ნიშნიანიძემ. ეს ლექსი თამამად შეიძლება დავაყენოთ მათი ლექსების გვერდით. აჰა ისიც:

„მზეში მოგორავს მონღოლური ტაიფუნი,  
სიკვდილების უხვად მთესველი.  
მზეს აბნელებენ კალიები.  
შორს კი სპარსული გუმბათები ზეცით  
ტკბებიან  
და მცხეთის თავზე საფირონის ლურჯი  
ტბებია.  
ლეღავს ჰაფეზი, ალერსისგან ზედიზედ  
მკვდომი,  
და ხალიჩაზე თვლემს სპარსეთი – კასპიის  
ლომი.  
ცხენის შარდს ხვრეპენ მონღოლები,  
მომამლერებენ მონამლულ ისრებს.“

მოსწვიმს ისრები დაძაგრულ ტაიფუნს  
და მოთქრიალებს კოკისპირული  
სიკვდილი.

ხვალ მაშრიყეთის ჩანგი,  
ბულბულებით დანისლული,  
მონღოლურ ყვრიმალს მიენარცხება“.

ხოლო აქლემის სახე გვაგონებს რობაქიძის და ათმათოვის სამყაროებს. პოეტს სახიფათო ოცნება აუსრულებია – დაეხატა აქლემის სახე ისე, რომ ეს ორი დიდოსტატი არ გაემეორებინა. ეს მის გამარჯვებად მიმაჩნია.

საოცარია „უკვდავი ქვიშის“ მეტაფიზიკა: ქვიშა – ქვეყნიერების სუბსტანცია! ნათქვამია კიდევ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“!

„გინახავთ ქვიშაში ქარის დაბადება,  
არაფრისგან მუსიკის აღმოცენება?  
ასე იწყებოდა სამყაროს შექმნა,  
რუსთველის ტანშიც ასე იძრა  
შაირი ვეფხვის!“

ამ სიტყვებში რამდენი რამაა ქების ღირსი. ხასაიამ შესძლო და ქართულ პოეზიაში შემოიტანა ქვიშის სახე. რამდენადაც ვიცი, არავის განუმარტავს ქართულ ლექსში ქვიშა და მასზე დამდგარი ქარი ასე ესთეტიურად და ორიგინალურად. შეიძლება გაგახსენდეს, რომ არაფრისგან სამყაროს შექმნის დოგმა ქვიშაში უდაბნოში შეიქმნა სწორედ. უდაბნოს ამ უსიამოვნო სტიქიურ მოვლენაში პოეტმა შესაქმის დიადი მისტერია დალანდა. თურმე ვეფხისტყაოსანი „ვეფხვის შაირია“ და ის დაბადებულა, როგორც უდაბნოს ქვიშაში – ქარი! ხოლო ეს დიდი შაირი თურმე რუსთველის „ტანში“ იძრა და არა, ვთქვათ, სულში ან თავში.

აი, ეს მიმაჩნია პოეზიად! როცა იმანუელ კანტი პოეზიას „გენიალურ თვითნებობად“ აცხადებდა, სწორედ ასეთ სახეებს და აზროვნებას გულისხმობდა. ხანდახან თვითნებობა კანონზომიერებას აღემატება! ეს კანტის ესთეტიური კონცეფციის მეთაური აზრი და შემოქმედების უპირველესი საიდუმლოების გაცხადებაა.

პოეტის აზრთა მიწიერ და ეროტულ ნაკადს „ზედ მიესხმის“ და აკეთილშობილებს

გრანელისეული „ციური ნაკადი“. ეს ყველაზე კარგად ჩანს „თოვლის სონატაში“. ეს სონატა მხატვრული სახეების ნამდვილი ცვენაა. პოეტური თვითნებობანი აქაც ზუსტად აღწევს მიზანს:

„თოვს, ასე ნაზად მიგონებ ალბათ,  
ქვეყანა იქცა უწმინდეს ბამბად.  
სუნთქავს გრანელი – ფანტელა ქალი,  
ხელით შემოაქვს გულის კანკალი.  
შუალამისას ზეცა ბრწყინდება,  
გრიგალი ფიფქე დაქორწინდება.  
გული კი კვდება ნელა და ნელა,  
მარადისობას ბურღავს თხუნელა.  
იფეთქებს ლექსი ფანტელის ტოლა,  
გრძელდება ყოფნა – სარკეში წოლა“.

სონატის მომდევნო ნაწილში გამოჩნდება ნაცნობი კოლიზია: თურმე ფიფქები „ქათათა სახრჩობელებია“. თოვში მძაფრდება განცდა მარტოობისა, ყველა და ყველაფერი დავინწყებაში ეფლობა და იმარხება. ამიტომ თვალუწვდენელი სითეთრე რალაცნაირად „საზარელია“:

„ეს რა საზარლად გადათეთრდა  
წუთისოფელი!  
თითქოს შეჰკვივლა მზეთუნახავმა  
სამუდამო მარტოობისგან“.

ასე თუ შეხედე, ლამაზი ფიფქების ცვენა ანგელოსების დაცემას ედრება:

„თითქოს ზედიზედ ეცემიან ანგელოსები  
და სადღაც გამქრალ დედამინას  
შეშფოთებული დაეძებს ჩიტი...  
წამით ყოველი თვინიერდება  
არარაობის ღბილ ბალიშებში,  
თოვს უგზო-უკვლოდ“.

დამეთანხმებით: სახეების მთელი კასკადია! თან საოცარი ისაა, რომ ეს არ აღიქმება, უბრალოდ, სურათად. ეს საკუთარ თავზე, კერძოდ საკუთარ მარტოობაზე, საუბარს უფრო ჰგავს.

სარკეში ფიფქის დაბადება! – არაჩვეულებრივი სახე! სულისა და გრძნობის სინმინდე უმაღლეს სამანებს აღწევს, ერთი შეხედვით, სულ სხვა საგანზე დაწერილ პატარა ლექსში:

„მე არ მეღირსა ღვთისმშობლის კალთა,  
ნათელი გაშლა ალუჩის მკლავთა;  
იბადებოდა სარკეში ფიფქი,  
მოგონებათა სილურჯე მკლავდა.“

შვლის გულისცემა მესმოდა ჩქარი,  
წყალს რო მიჰქონდა ფოთოლი მჭკნარი...  
იანვრის დილა, ზამბახის დილა,  
სინმინდისაგან ტიროდი, ნარი!“

აქ მიწიერი ეროსისგან აღარაფერი დარჩა. ქალისადმი დამოკიდებულება წმინდად „პლატონურია“.

განა შეიძლება უკეთესად დაიხატოს თოვა?! აჰა, ნიმუში ინებეთ:

„კვენესის ფანტელი, კვენესა ჩუმია,  
არარაობის ხავერდში ვნებები;  
შეირხა ზეცა – ძველი მუმია,  
მილიონობით დასცვივდა წლები.  
თოვს, სარკეებში გარდავიცვალე,  
მარტოობისგან შეეკვივლებ მალე.  
დღე მიიმალა მიწიან-ციან,  
ანგელოსები ჩემს ტანჯვას ცრიან...“

სონატის მეოთხე ნაწილში თოვლით მოგვრილი სინმინდის განცდა მოულოდნელი ფინალით გვირგვინდება. სინმინდე ქალწულის სახეს იღებს და მისი წარმავლობა გულს გიკლავს. მზე აქ უკვე სასტიკ წარმართულ ღვთაებად გამოიყურება, რომელმაც უხეშად უნდა გადაკვეთოს სინმინდე. მზის ასეთი აღქმა პოეზიაში არ შემხვედრია. ქართველი პოეტი თითქოს უარყოფს მზეს, მაგრამ მკითხველი არ ღიზიანდება და ეთანხმება მას:

„ცმანვილურ სევდით,  
სიზმარეულ ცვარ-ნამის მცვრევით  
როგორ გვიყვარდა აქ რონინი,  
ზღვის დაისები...  
ცათა მინებზე მოწანწკარებს  
თენების ცრემლი,  
სპეტაკო თოვლო, მენანები –  
მზით დაისვრები!“

ეს ლეონიძის საწინააღმდეგო პოლუსია! პოეტი, ალექსანდრ ბლოკის დარად, ადიდება „მარად ქალწულს“ და მზით გაჩახჩახებული ქვეყნიერება ფეხებში ებლანდება, ვითარცა ნაყალბევი რამ.

სრულიად ორიგინალურია სონატის დასკვნითი ნაწილი. ეროსი ისევ გამოჩნდება, მაგრამ ის პლატონითაა მოვარაყებული. ეს შეხვედრა ორი ღვთაებისა „ავანტურული დიალექტიკის“ ბენვის ხიდზე გადის – სინმინდე და სილბილე თავად უხმობს მიწიერ ეროსს და მკრეხელური თანაყოფის მოლოდინი თრთის:

„ისე ლბილი ხარ, რომ ხმალთან წვები!  
ცისფერ სარკესთან დაცვივდა წლები...“  
მაგრამ მიწიერი ქალი „ჰქრება ლბილ ბა-  
ლიშებში“ და სუფევს წმინდა, პლატონური  
ეროსი.

მსგავს „ავანტურულ დიალექტიკას“ სხვა  
ლექსშიც წავაწყდებით:

„ბულბულის ცრემლით დამტკბარო ვარდო,  
დაინყო შენი გალაჟვარდება;  
მზე – ზღვისპირეთის ხუჭუჭა ზანგი  
შენს ღამეებში გადავარდება.  
მზემ ამოგიშროს იქნება ვნებით  
მელანქოლიის მტანჯველი ზღვები...  
მზე შენი ზანგი საყვარელია –  
გავარვარებულ რკინასთან წვები!“

ეს თავისებური „პლატონელობა“ ზურაბ  
ხასაიას სატრფიალო ლირიკის საცნობი ნი-  
შანია. აქ ქალი სულიერი ამაღლების საბაბია,  
ამიტომ მიუწვდომლობის ტკივილი ლანდად  
დასდევს ტრფობას. „პლატონელობა“ აქ თავს  
იჩენს სარკის ბატონობით, რაც ერთგვარ პა-  
რანოიულ სიზმარს ედრება: „რა ღამაზია  
ქვეყნიერება, წყლის სარკეებში არეკლილი“,  
„გრძელდება ყოფნა – სარკეში ნოლა“, „თოვს,  
სარკეებში გარდავიცვალე, მარტოობისგან  
შეგვივლებ მალე“, „ზეცა უყვარდათ, სარკე  
უყვარდათ ნიავისაგან დავარცხნილ ალვებს“,  
„არსად არ იყო ქვეყნიერება, მხოლოდ წყლი-  
დან ირეკლებოდა“, „სისპეტაკისგან მივეყინე  
კავკასის ზეთავს, სარკეებიდან მზის ობოლი  
ცრემლები წვეთავს“, „სარკეში ტკბება მზე  
ოქროსფერ მოგონებებით“, „ვინც უსპეტაკეს  
სარკეებში მიცურავს მკვდარი“ და სხვა.

ასევე ხშირია ლექსებში სიტყვა „ლანდი“. ეს  
მონაშობს პოეტის პლატონურ სულისკვეთებას:  
ქვეყნიერება ლანდია! სწორედ აქედან იბადე-  
ბა სინმინდის იდეალი, რაც პოეტს სევდიანი  
მარტოობისკენ ეწევა.

სიყვარულის პლატონური სინმინდე სველ  
სარკესავით კრიალებს ლექსში „უსიყვარუ-  
ლოდ რა ეშველება?“. ეს სიყვარულის ნამ-  
დვილი მეტაფიზიკაა. სიყვარულის სინმინდეს  
აქ ადასტურებს დედის საფლავის გამოჩენა  
ქალისადმი ტრფობაში:

„მინის სიმძიმე გაჰქრა სრულიად,  
მიყვარს ყოველი, აქ – მინა, იქ – ცა;

რა საოცარი გაზაფხულია,  
დედის საფლავიც ყვავილად იქცა!“

ამ წმინდა ქრისტიანული სულისკვეთების  
დაგვირგვინებაა ლექსის ფინალი. აღსრულე-  
ბულია სიყვარულის მთავარი მიზანი: მტერი  
არ არსებობს, ეშმაკი საბრალოა და მას თანა-  
ვუგრძნობთ:

„თითქოს მარიამს იესო ეშვას,  
ისეთი სუფევს ირგვლივ მშვენება;  
ოჰ, სიძულვილში დამარხულ ეშმას  
უსიყვარულოდ რა ეშველება?!“

ესაა სიყვარულის უზუსტესი და უზენაესი  
გაგება, რასაც იოანე მოციქული (I იოანე 4,  
7-21), მოგვიანებით კი პავლე მოციქული ას-  
წავლიდა (I კორინთელთა 13, 4-13).

წიგნში ძალუმად ფეთქავს მისტიური იდეა,  
რაც ამ ლექსების წყალობით ერთობ ახლობე-  
ლი ხდება მკითხველისთვის. ეს, უპირველეს  
ყოვლისა, რეინკარნაციის აღმოსავლური  
დოგმაა: ადამიანს სულიერი შემეცნებისას  
ეუფლება განცდა, თითქოს მეორდება ოდეს-  
ღაც ნანახი სურათი, და იპყრობს მარადიული  
ტანჯვის შიში. ეს განცდა ზომიერად და და-  
მაჯერებლად გაკრთება ლექსებში: „ზღვის  
ლეგენდა“, „ზღვა“, „ამაო თვითმკვლელობა“,  
„თვითმკვლელობა“...

ეს წარმართული იდეა, ხსენებულ პლატო-  
ნელობასთან ერთად, ქმნის მსოფლგანცდას,  
რასაც, შოპენჰაუერთან და ნიცშესთან თან-  
ხმობით, შეიძლება „დიადი აღმოსავლური  
პესიმიზმი“ ვუწოდოთ. მას არაფერი აქვს  
საერთო წვრილმან პესიმიზმთან. იგი გამომ-  
დინარეობს მხოლოდ „უკანასკნელ საგანთა“  
შემეცნებიდან და პიროვნული თვითსრულყო-  
ფის გზაა. მისი შინაარსი ასეთია: ქვეყნიერება  
მიუწვდომელ საიდუმლოებაშია ჩაფლული და  
მისი აზრი არავის ესმის. ადამიანმა ეს უნდა  
შეიმეცნოს და განუდგეს მის ამაო მდინარებას.  
ასეთ ვითარებაში მთელი ქვეყნიერება და მას-  
ში ადამიანის ცხოვრება პოეტს წარმოუდგება,  
ვითარცა „შუაგულ ზღვაზე მოსული თოვლი“!

ესაა აზრი, რაც გამიჩნდა ამ წიგნის კითხვი-  
სას და ფრაგმენტულად გადმოვეცი. დარწმუ-  
ნებული ვარ: ლიტერატურული კრიტიკა, თუ  
ასეთი არსებობს, ამ წიგნს უფრო ვრცლად და  
ფუნდამენტურად განიხილავს.

# ვირტუალური ალიენციის თავისებურებანი<sup>1</sup>

ევროპული კულტურის კრიზისის საკითხის წამოწევა, რისადმიც მიძღვნილია პროფესორ კახა ქეცბაიას ეს საყურადღებო წერილი, მე ვიტყვოდი, ესეი, ახალი არ არის, როგორც ამას უთითებს თვითონ ავტორი. კულტურის ამ კრიზისის უმთავრეს გამოხატულებად, შპენგლერის „ევროპის დაისისა“ და სხვა ევროპელ მოღვაწეთა შემოქმედების მითითებით, მიჩნეულია დემოკრატიის კრიზისი. მაშასადამე, ჩვენ სინამდვილეში საქმე გვაქვს პოლიტიკური პროცესის შედეგთან. ამ დროს საკითხი ასე დგება: დემოკრატია თუ კიდევ სხვა რამ?

თვით დემოკრატიის კრიზისულობაც არახალია, თორემ პლატონი და არისტოტელე ეჭვით არ შეხედავდნენ მას; და რადგანაც ამ 2 500 წლის წინათაც ღრღნიდა საზოგადოების გონებას ეს საკითხი, მაშინ გამოდის, რომ დემოკრატიის კრიზისის პრობლემა იმ დროსაც მდგარა. თუკი ეს ასეა, ეს „კრიზისულობა“ გადაუღალახავი არ ყოფილა.

ჯერ კიდევ ელინურ „ოქროს ხანაში“, როცა სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ათენში, მონათმფლობელური დემოკრატიის პირობებში და მის შემდეგაც, აპოგეას აღწევს, დემოკრატიული მმართველობის ამ სიკეთეთა კვალდაკვალ აქტიურდებიან მის არსში მოცემული კრიზისული უჯრედები. სოციალური თუ კულტურულ-სულიერი აღმავლობის შედეგად ათენელთა უდიდესი ნაწილი არა მარტო განთავისუფლდა მიწაზე თუ სხვა სამეურნეო სფეროში მძიმე შრომისგან, არამედ თვით საოჯახო საქმეებისგანაც კი, რაც ხელს უწყობდა პარაზიტული ფსიქოლოგიის თანდათან ჩამოყალიბებას, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვებოდა უსაქმურობა, უდარდელობა, ლტოლვა ფუფუნებისადმი, უპასუხისმგებლობა; ეს, საბოლოო ჯამში, გადაიზრდებოდა ფსევდოკულტურასა და სხვა მანკიერებებში. მაშასადამე, ეს კრიზისი დემოკრატიის სხეულში ჩაბუდებული ავადმყოფური უჯრედები ყოფილა, მაგრამ, როგორც ბიბლიაში ლაზარეს სნეულებაზეა ნათქვამი, „სნეულება ესე არ არს სასიკვდინე, არამედ დიდებისთვის ღმერთისა, რათა იდიდოს ძე ღმერთისაჲ მისგან“.

ჩემი აზრით, დემოკრატიის კრიზისი ასევე „სასიკვდინე“ იმიტომ არაა, რომ ის იმისთვისაა შექმნილი, რათა ადიდოს ხალხი და როცა მას სნეულება შეიპყრობს, ამას პირველი თვითონვე შეიგრძნობს და თვითგანკურნების იმუნიტეტს აამუშავებს.

ეს მომენტი ჩვენი ახალფეხადგმული თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ საკითხში გარკვევა ჩვენი რეალური ცხოვრებიდან გამომდინარე, რათა ავიცრათ ჩვენი დასნეულებული სხეული და გამოვიმუშაოთ დამცავი იმუნიტეტი საკუთრივ დემოკრატიის თვალსაწიერიდან.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე რეალური დისკუსიის გამართვა ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარების თვალთახედვიდან უპრიანი იქნებოდა. ამიტომაც, კახა ქეცბაიას ამ წერილით ჩვენი ყურნალი შემდეგი ნომრიდან ადგილს დაუთმობს დისკუსიას ჩვენი ევროპული მომავლის საკითხზე კონკრეტული წინადადებების დაყენების თვალსაზრისით.

*მურმან ზაქარაია*

ევროპული კულტურის კრიზისის მაცნეთა შორის ერთ-ერთი პირველი გენიალური რუსო იყო. კრიზისული პერიოდის მოახლოებას ამცნობდნენ კაცობრიობას ბალზაკი და ჰიუგო, რომლებმაც პირველებმა დაინახეს ფეოდალური ეპოქის

კრუნჩხვა და კაპიტალისტური, ბაზარზე ორიენტირებული საზოგადოებრივი წყობის მოახლოება. ჰაქსლმა და ორუელმა კი ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისი და ტოტალიტარიზმის ზეობა იწინასწარმეტყველეს. ამ პროცესის მაცნე ფრიდრიხ

<sup>1</sup> ალიენცია სიგიჟეს ნიშნავს.

ნიცშეა. ნიცშესთან „ღმერთის სიკვდილი“ „ადამიანის სიკვდილსაც“ ნიშნავდა, მაგრამ „დამცრობილ და დამდაბლებულ“, ფუ-ფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ კაცობრიობას ნიცშესათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელობა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“ (ბოდრიარი). თუკი XX საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, XXI საუკუნისათვის ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი უთუოდ „ადამიანისა და საზოგადოების სიკვდილი“ იქნება. შექმნილ რეალობას კარგად ესადაგება ნიცშეს მიერ აზროვნების სისტემური წესის ურყოფა და მის ნაცვლად ფრაგმენტაციული დისკურსი, აფორისტული მაქსიმებითა და სენტენციებით ოპერირება, ღირებულებათა რადიკალური გადაფასება და ონტოლოგიური ნიჰილიზმი, აბსოლუტური შეჭმარიტების უარყოფა და რაციონალური აზროვნების („კანონმდებელი გონების“) ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაციული გონებით“) ჩანაცვლება. ნიცშეს ამგვარი მსოფლმხედველობიდან არც ისე შორი მანძილია დერიდას დეკონსტრუქციამდე და ბოდრიარის „სოციალურობის გაქრობის თეორიამდე“.

ევროპული კულტურის მწუხრისა და დეგრადაციის კიდევ ერთ-ერთი მაცნე ოსვალდ შპენგლერია თავისი „ევროპის დაისით“. ევროპული კულტურა, სულიერება, განათლება და, რაც მთავარია, დემოკრატია კრიზისშია, – ასეთია ის დასკვნა, რომლის გამოტანის საშუალებას შპენგლერის ხსენებული წიგნი იძლევა.

ნიცშესთან და შპენგლერთან ერთან ჰაიდეგერმა შექმნა ხელსაყრელი ინტელექტუალური გარემო პოსტმოდერნული აზროვნებისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჰაიდეგერის მიერ ტრადიციული რაციონალობის კრიტიკა, რომლის მიხედვით, თანამედროვე აზროვნება ინსტრუმენტული და პრაგმატული გახდა. ჰაიდეგერის თქმით, ამგვარი გონე-

ბის უმაღლესი ფორმა ტექნიკაა, რომელიც ჰუმანიზმისათვის ადგილს არ ტოვებს. „ჰუმანიზმის ჰორიზონტზე ბარბაროსობა ჩნდება“. ეს ის „ბარბაროსობაა“, რომელიც პოსტმოდერნიზმის – ინფორმაციულ-ვირტუალური ეპოქის დადგომას მოასწავებდა.

დრომ აჩვენა, რომ ვირტუალური საზოგადოებაც კრიზისშია. ამ კრიზისის შესახებ თამამად საუბრობს ფრედერიკ ბეგბედერი. მის მიხედვით, ინფორმაციულ-ვირტუალური საზოგადოება რეკლამის, მედიისა და ბიზნესის მეშვეობით თანდათან დეგრადირდება. ინფორმაციული საზოგადოების სიმახინჯე იმაში მდგომარეობს, რომ ვირტუალური სამყაროს მბრძანებლები რეკლამის მწარმოებლები და მედიაიმფლობლები ხდებიან. ისინი ყველგან არიან. მათს მზერას ვერავინ დაემალება. ამით ისინი ხელს უშლიან ფიქრსა და აზროვნებას. იმისათვის, რომ ადამიანის სულში მომხვეჭელობის სურვილი ჩასახოს, რეკლამა ისეთ ხერხებს იყენებს, როგორებიცაა შური და სიხარბე. დღეს რეკლამის მწარმოებლები განსაზღვრავენ, რა არის ჭეშმარიტება, მშვენიერება და სიკეთე.

ვირტუალურ რეალობაში ადამიანისა და საზოგადოების კრიზისულ მდგომარეობას ეხებიან თანამედროვე სოციოლოგები: ენტონი გიდენსი და ზიგმუნტ ბაუმანი. ინფორმაციული საზოგადოების დეგრადაციას ისინი ადამიანისა და საზოგადოების იდენტობის კრიზისში ხედავენ. მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები და რეკლამა ყოველდღიური სენსაციების თავზე მოხვევით „დროთა კავშირს“ არღვევენ. ადამიანს აიძულებენ, წარსული დაივიწყოს და მომავალზე არ იფიქროს. ინფორმაციული საზოგადოების ადამიანი ვირტუალურ, ნარკოტიკულ, ეიფორულ ნირვანაშია ჩაძირული. იგი ტელევიზორის ეკრანს, კომპიუტერის მონიტორს, ვიდეოთამაშებს ან საკუთარ მობილურ ტელეფონს არის მიჯაჭვული. ამიერიდან ადამიანი არ მონაწილეობს იმაში, რასაც აკეთებს, და ემოციურად სხვა განზომილებაში ცხოვრობს. ეს სხვა განზომილება ვირტუალური

რეალობაა, სადაც ყველაფერი ნებადართულია. ამ რეალობაში ღმერთის ადგილი გართობას უკავია. შემთხვევითობა, ეპიზოდურობა და დისკრეტულობა, რომლებიც ვირტუალური სამყაროს მახასიათებლებია, ადამიანმა რეალურ სამყაროში სხვებთან პიროვნულ ურთიერთობებშიც გადაიტანა. ამგვარად, ვირტუალური რეალობა ადამიანს ახალ იდენტობას უყალიბებს, უფრო სწორად, იდენტობის დეკონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. ინფორმაციული საზოგადოება იდენტობის პლურალიზმით ხასიათდება. ადამიანები იდენტობას ტანსაცმელივით იცვლიან. ამ ვითარების აღსანიშნავად ბაუმანმა „მეორადი მოხმარების“ ცნება შემოიტანა. ოდესღაც მოდერნის მატერიალური გამოვლინება ფოტოქალაქი იყო, რომლის მეშვეობით საოჯახო ალბომის გაყვითლებულ გვერდებზე მყარი იდენტობები იყო აღბეჭდილი. ინფორმაციულ საზოგადოებაში პოსტმოდერნის გამოვლინებას ვიდეოკასეტა წარმოადგენს, რომელიც რაიმეს მუდმივ შენახვაზე არ არის გათვლილი. ვირტუალურ რეალობაში მუდმივი და მარადიული მხოლოდ ტრანსფორმაციის იდეაა. დავაკვირდეთ თუნდაც მოდერნისა და პოსტმოდერნის არქიტექტურას. პოსტმოდერნულ არქიტექტურაში პლასტმასის პრიმატი აშკარაა.

თავის მხრივ, იდენტობა ადამიანის თვითცნობიერების გარკვეულ პრობლემას ასახავს, რამდენადაც იდენტობა ახსენდება მაშინ, როდესაც საკუთარ თვითობაში არ არის დარწმუნებული: მან არ იცის, თუ როგორ დაარწმუნოს გარშემო მყოფნი იმაში, რომ მას საზოგადოებაში რაღაც ადგილი მართებულად უკავია. ამ აზრით, იდენტობა იმის კრიტიკული პროექციაა, რასაც ინდივიდი მოითხოვს. თუმცა ინფორმაციულმა რევოლუციამ შეცვალა პერსპექტივა: ადამიანისათვის აქტუალური გახდა არა ჯგუფთან, საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან იდენტიფიცირება, არამედ საზოგადოებრივი კავშირებიდან თავის დაღწევა. ამით ადამიანმა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან ხელეები დაიბანა.

არისტოტელეს კი მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული ადამიანი ან ცხოველია, ან ღვთაება. ვირტუალური ალიენციის კიდევ ერთ-ერთი თავისებურება სოციალურობის დასასრულია, რაზეც ბოდრიარი საუბრობდა.

ბოდრიარის მიხედვით, კლასიკური გაგებით სოციალური სინამდვილე უკვე აღარ არსებობს. ამას ბოდრიარის ენაზე „სოციალურის სიკვდილი“ ჰქვია. ამიერიდან სახეზეა ე. წ. ჰიპერსაზოგადოება (ამგვარი საზოგადოება ბოდრიარმა აღწერა თავის მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეიში „ამერიკა“). ის მასა, რომელიც პოსტანამედროვე საზოგადოებას ქმნის, სოციალურობას, სოციალურ ბუნებას მოკლებულია, ანუ რაიმე სახის სოციოლოგიურ რეალობას არ წარმოადგენს. სოციალურ რეალობას ვირტუალური ჰიპერსაზოგადოება ჩაენაცვლა, რომელიც სოციალურის ახალ განზომილებას წარმოადგენს. ბოდრიარის აზრით, მას კონკრეტული განსაზღვრულობა არ გააჩნია, გარკვეულობის არქონაა მისი გარკვეულობა. საზოგადოების ამ ახალი ტიპის – პოსტსაზოგადოების ანალიზმა ბოდრიარი მისდა უნებლიეთ სოციოლოგიის ახალი ტიპის – პოსტსოციოლოგიის იდეამდე მიიყვანა. ამიტომ ბოდრიარის სამიზნედ იქცა მომხმარებლური საზოგადოება თავისი რეკლამით, ყოველდღიურობით, ტოტალური თავისუფლებითა და სიმულაციებით. სოციალურობის გაქრობით იდენტობის დეკონსტრუქცია მოხდა.

ინფორმაციულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ცხოვრებისეული სტრატეგიების კვლევამ ბაუმანი პოსტკლასიკური ეპოქის ოთხი ანთროპოლოგიური ტიპის გამოყოფამდე მიიყვანა. ესენია: მანანნალა, მოხეტიალე – ფლანერი, მოთამაშე და ტურისტი. თითოეული მათგანი პოსტმოდერნამდეც კარგად იყო ცნობილი. მაშინ ისინი მარგინალები იყვნენ ტრადიციულ ან მოდერნისტულ საზოგადოებაში. მათ მიმართ საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი. ინფორმაციულ-ვირტუალურ ეპოქაში კი მსგავსი ანთროპოლოგიური

სტრატეგიები საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იმყოფება და ცხოვრების სტილს წარმოადგენს. აქედან ჩანს, რომ იდენტობასთან ერთად ადამიანი მთელ თავის სოციალურ ბუნებას კარგავს და მაშინ, საერთოდ, გაუგებარი ხდება მისი როლი საზოგადოებაში.

პოსტთანამედროვე პოეტებსა და მხატვრებს თანამედროვე ქალაქის სიმბოლოდ მოხეტილ აუტსაიდერი მიაჩნიათ. ეს ანთროპოლოგიური ტიპი იმიტაციის დიდოსტატია. ფლანერი ანაქრონიზმებით სავსე ნოსტალგიური ფიგურაა, რომელიც ურბანულ ტრანსფორმაციებს ზედმიწევნით ზუსტად აირეკლავს. ქცევის ეპიზოდურობა, მოვლენათა და მოქმედებათა წყება წარსულისა და შედეგების გარეშეა, სადაც ადამიანები გამვლელებად არიან წარმოდგენილნი, ერთმანეთთან შეხვედრები კი შემთხვევითობებს წარმოადგენენ. ადამიანი მეორე ადამიანისთვის აღარ არსებობს, როგორც კი თვალს მიეფარება. მოხეტილ შეიძლება იმ რეჟისორს შევადაროთ, რომელსაც ხელში სხვა ადამიანთა ცხოვრება უჭირავს, ოღონდ ისე, რომ მისთვის სულერთია მათი ბედ-იღბალი. მისთვის სხვა რამეა მთავარი. იგი რეალობით თამაშობს. მისი პრინციპია თითქოს ცხოვრება. იგი ფიქტიურია, თითქოს არსებობს (ედგარ პო – „ბრბოს ადამიანი“, თომას დე ქუინსი – „ურბანული მოხეტილ“). ბოდლერის განმარტებით: „ფლანერი არის ფიგურა, რომელიც შორსაა სახლიდან, მაგრამ ყველგან ისე გრძნობს თავს, როგორც სახლში, უმზერს სამყაროს, სამყაროს ცენტრშია და ამავე დროს ხელიდან უსხლტება, ემალება მას“. ბაუმანის აზრით, ფლანერი იდენტობიდან გაქცევის, მისგან თავის დაღწევის სიმბოლოა. ეს მის გარეგნობას და ჩაცმადახურვასაც ეტყობა.

თუკი ფლანერის ადგილი ურბანული გარემოა, მანანალას კონკრეტული საცხოვრებელი არ გააჩნია. მისი გადაადგილების მარშრუტი გაურკვეველია. თავს მიწისქვეშა გასასვლელებს, მეტროს ამოსასვლელებსა და სხვა მსგავს ადგილებს

აფარებს. სადაც უნდა მივიდეს, ყველგან უცხოა. ამ შემთხვევაში ცხოვრების ძირითადი სტრატეგია უადგილობა, საკუთარი ადგილის არქონა და მანანალია, რასაც თავისი ხიბლი აქვს. ინფორმაციულ ეპოქაში თვით სამყარო ხდება მანანალა. როგორც წესი, მანანალები მეგაპოლისებს ეტანებიან, რადგან იქ უფრო ადვილია დროებითი სამუშაოს შოვნა.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში შედარებით მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობს ტურისტი – საკმაოდ უზრუნველყოფილი ადამიანი, რომელიც მიზანმიმართულად და სისტემატურად თავგადასავლებს, ახალ შთაბეჭდილებებს ეძებს და ეგზოტიკურ ატმოსფეროში ჩაძირვას მიეღწევის. იგი თავისი მისწრაფებების სარეალიზაციოდ ყოველდღიურ მძიმე შრომასაც არ თაკილობს. ტურისტული სამყარო პოსტეთიკურ კრიტერიუმებზეა აგებული. ამ შემთხვევაში თავგადასავალი შეკვეთილი და ანაზღაურებულია. ტურისტი გამვლელია. ის უბრალო დამთვალიერებელია და მეტი არაფერი. შესაბამისად, იგი ზედაპირზე ტივტივებს. ზედაპირულობა და ეფემერული რეალობის ზედაპირზე ტივტივი ინფორმაციულ-ვირტუალური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, ამიტომ ადამიანები ერთმანეთისადმი ტურისტულად არიან განწყობილნი. ეს განწყობა ეხება მათს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა მსგავს საქმიანობას.

პრინციპულად სხვა ცხოვრებისეული სტრატეგიით გამოირჩევა მოთამაშე. იგი რისკისა და აზარტის სამყაროს მოქალაქეა. თამაშის მიზანი მოგებაა, ამიტომ მისთვის უცხოა თანაგრძნობა, მონყალეობა და ურთიერთდახმარება. თამაში რალაციტ ბრძოლას ჰგავს. თამაშმა სინდისი არ იცის. მას წესები არ გააჩნია. კარგავს რა საკუთარ სოციალურ თვისებებს, ინფორმაციული საზოგადოების ადამიანი „პურის და სანახაობის“ მომხმარებელი ხდება. საბოლოოდ, მთელი საზოგადოება ერთვება თამაშში და იგი ცხოვრების წესი ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმაციუ-

ლი ეპოქის ცენტრალური ფიგურა „Homo Consummatus“ – მომხმარებელი ადამიანი ხდება. მედია და რეკლამა ადამიანის მომხმარებლური სულისკვეთების გაღვიძლებას ემსახურება. მომხმარებლური სულისკვეთების ადამიანს სხვა ადამიანი არ აინტერესებს. მისთვის ადამიანი ისეთივე კონკრეტული საგანია, როგორც სხვა დანარჩენი. ამ ტიპის ადამიანმა, კარგა ხანია, რაც ზურგი აქცია ცოცხალ სამყაროს და ხელოვნურ რეალობაში გადავარდა. ასეთ ადამიანს ფსიქოლოგები „მონოცერებრალურ“ ერთგანზომილებიანს უწოდებენ. დღეს ეს განზომილება ვირტუალურია. მონოცერებრალურ სუბიექტს ნარცისიზმის გარკვეული ფორმა ახასიათებს, რომლის დროსაც ყოველი მისი სწრაფვა წარმატების მიღწევაზეა მიმართული. ასე იქმნება ვითომდა წარმატებული და ამბიციური ადამიანის სახე. ამით წარმატების იდეის დევალვაცია ხდება. წარმატების მწვერვალი ეკრანზე მოხვედრა და ვარსკვლავად გახდომაა. იდენტობის დეკონსტრუქციამ, ნარცისიზმისა და მოხმარების კულტმა ახალი სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი – ინდივიდუალიზებული უკლასო საზოგადოება შექმნა.

ვირტუალური ალიენციის კიდევ ერთ-ერთი გამოვლინება ე. წ. „მომხმარებლური სიგიჟე“ და „რომანტიკა“, რომელიც დღეს უკვე რეალობაა. Konsumurausch-ის თავისებურებანი კარგად ჩანს საშობაო შოპინგებში. „საშობაო სიგიჟე“ თითქმის ყველა ქვეყანაში ერთნაირად ვლინდება: საშობაო ფასდაკლებები, ფართოდ რეკლამირებული საშობაო გაყიდვები და სხვა მისთანანი სავაჭრო ცენტრებში ნამდვილ კომერციულ ბუმს ქმნიან, რაც მომხმარებლურ ეპოქაში რელიგიური დღესასწაულების დამახასიათებელი ნიშანი ხდება, თუმცა დღესასწაული მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: იგი მთელი რიგი მითოლოგიებით ხასიათდება, რომელთაგან ერთ-ერთი სურვილების ასრულებას უკავშირდება. ერთიანობას, მთლიანობას და თავისთავადობას მოკლებული სოციუმი იქმნის ყალბ

ილუზიას ოქროს ხანის დადგომის შესახებ, რაც ცნობიერების სიღრმეში დაფლული არქეტიპების აქტუალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

პოტენციურად არაფრით არ განსაზღვრული „ინტერტექსტუალური“ ვირტუალური კულტურის პირობებში რაიმე სახის იდენტობაზე საუბარი შეუძლებელია. იდენტობა აქ გაგებულია, როგორც უმართებულო იგივეობისა და „ცნობიერების მისტიფიკაციის“ შედეგი. პოსტმოდერნულ ეპოქას არ შეუძლია, რომ საკრალურსა და პროფანულს, ტაძარსა და სავაჭრო ცენტრს, მარხვასა და კარნავალს, სადღესასწაულო წირვასა და სადღესასწაულო შოპინგს შორის არსებულ ოტოლოგიურ სხვაობას შეეგუოს. კარნავალი მარხვის ნიღბით, საშობაო წირვის ნაცვლად შოპინგი და მრავალი მისთანა პოსტთანამედროვე დესაკრალიზებული ეპოქის ნიშანი გახდა, რომელშიც ჭეშმარიტებაზე, მიზეზზე ან მიზანზე საუბარი არაპოლიტიკორექტულად და საეჭვოდაა მიჩნეული. კარნავალურობა საოცრად სწორად გამოხატავს იმ სოციო-კულტურული სიტუაციის არსს, რომელიც სპექტაკლის სახით ხორციელდება. ამის მიხედვით, წმინდანი ჩანაცვლებულია პროფანით, გმირი – ტაკიმასხარათი, სერიოზული მეცნიერი – ექსპერტი. შედეგად მოგებაზე, გართობაზე, ძალადობასა და სექსზე ორიენტირებულ სარეკლამო ესთეტიკას ვიღებთ, რაც პოსტმოდერნის ესთეტიკის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს.

პოსტმოდერნული ვირტუალური ეპოქა აქტიურად ავრცელებს ამნეზიის ყოველგვარ შესაძლებელ ტექნიკას, რომელიც დიდნილად „ანტიმეხსიერების“ სტრატეგიაზეა აგებული. ანტიმეხსიერების ფართოდ რეკლამირებული ფიგურები ტრადიციის იმიტაციით ეტალონურ სიმულაკრად გვევლინებიან და საკუთარს გარდა სხვა წარსულს არ ცნობენ. მისი კულტურული კონტექსტი პირდაპირ კავშირშია მაკდონალდსთან, ჰოლივუდთან და დისნეილენდთან. ამ სახის პერსპექტივაში პრინციპული განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას



შორის გამეკრალია.

პოსტმოდერნმა ადამიანთა ცნობიერებაში კულტურული პარადიგმების ცვლილებები და ტრანსფორმირება გამოიწვია. პოსტთანამედროვე ადამიანმა არა მხოლოდ უარი თქვა ქეშმარიტებაზე, არამედ ბუნდოვანი და გაუგებარი გახდა მისი სტატუსი; მან დიადი და ამალღებული მორალური და რელიგიური, ეგზისტენციალური მიზნებისადმი ინტერესი დაკარგა. კულტურა – მასკულტურად, შინაარსიანი და საზრისიანი ცხოვრება ცარიელ, ეფემერულ და ვირტუალურ რეალობად გადაიქცა, რომელმაც ადამიანი ნამდვილ სინამდვილეს მოსწყვიტა. საზოგადოება „სპექტაკლის საზოგადოება“ გახდა, რომელიც რეკლამისა და მედიის ტოტალურ ძალაუფლებაზე დამყარებული. რეალური პოლიტიკა პოლიტექნოლოგიებმა, ხოლო საზოგადოების ისტორიული განვითარება „შოუ-ხელისუფლებამ“ შეცვალა; ამ ტიპის საზოგადოებაში ყველაფერი, სექსუალური ცხოვრებით დაწყებული ფეხბურთითა და პოლიტიკით დამთავრებული, თეატრალიზებულია. ამიერიდან პოლიტიკა აღარ არის ადამიანის სერიოზული საქმიანობა. იგი ძალზე ხმაურიანი სანახაობა და ემოციური განტვირთვის ადგილია, ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც კარგ შოუსა და სანახაობას მოიფიქრებს და განახორციელებს, ამიტომაც თანამედროვე პოლიტიკური ბატალიები უმედეგოდ მთავრდება. გართობაზე ორიენტირებული კარნავალური პოლიტიკა რევოლუციური გარდაქმნებისაგან შორს დგას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა ტრანსპოლიტიკად, საზოგადოება კი ტრანსსაზოგადოებად გადაიქცევა. ამიერიდან ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრება ზეხელოვნურობის სტადიაში იმყოფება.

ლიოტარის მიხედვით, პოსტმოდერნი ინტელექტუალთა სასაფლაოა, რადგანაც ის ცვლის ინტელექტუალთა მდგომარეობას საზოგადოებაში. ტრადიციული საზოგადოების ინტელექტუალთა ფენა პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გამოუსადეგარი

ხდება (ე. ნ. „ჩარეცხილები“). პოსტმოდერნმა მათ ყველაფერი წაართვა და ისტორიის სანაგვეზე მოისროლა. შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ე. ნ. ექსპერტმა დაიკავა. სერიოზული მწერლობა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა და აბუჩად იქნა აგდებული. ინდივიდი, პიროვნება ზომბმა ჩაანაცვლა, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესაბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი. განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების (სიტუაციური მოქმედების შესაბამისი) ფორმირებაზეა ორიენტირებული. ტრადიციულ საზოგადოებაში ინტელექტუალებს წამყვანი პოზიციები ეკავათ კულტურის, ხელოვნების, განათლების, პოლიტიკისა და თუნდაც იდეოლოგიის სფეროში. პოსტთანამედროვე საზოგადოებამ მთლიანად წაართვა მათ ეს ადრინდელი პრივილეგიები. თუკი მათ ადრე ადამიანები „ბასტილიის ასაღებად“ მიჰყავდათ, ახლა უკვე ამისათვის აღარ სცალიათ, რადგან საკუთარი კარიერისათვის ზრუნვით არიან დაკავებულნი და ამისათვის ათასგვარ კონკურსებში უწევთ მონაწილეობის მიღება. ამიერიდან ისინი მმართველი და კანონმდებელი ელიტარული გონების პრეტენდენტები კი არა, კონკრეტული ფუნქციის (პრაგმატული და ეგპოსტური) შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი. ინტელექტუალი, რომელსაც ადრე „მართებული საქმის“ სჯეროდა, დღეს კომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ლიოტარის თქმით, შემოქმედის ადგილი უნიჭო, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულმა ადამიანებმა დაიკავეს. სამწუხაროა, მაგრამ მოდერნისტული ეპოქის ინტელექტუალები პოსტმოდერნულმა რეალობამ კარგა ხანია საფლავს მიაბარა (იხ. ლიოტარის „ინტელექტუალის საფლავი“). აი კიდევ ერთი ნათელი დადასტურება პოსტმოდერნული ალიენციისა.

პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ცხოვრების კვარცხლბეკზე „კაცუნა“ (ნიცშეს ტერმინია) დგას, რომელიც კლა-

სიკურ „ინტელექტუალურ კომპლექსებს“ აბსოლუტურად მოკლებულია და მხოლოდ მისი თანამედროვე განათლებისა და ცივილიზაციის მონაპოვრით ცხოვრობს. მან ზედმინევნიტ იცის ცხოვრებით ტკბობა და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ იშოვოს ფული. მისი ცოდნის არსენალი ბიზნესგეგმის შედგენით, კომპიუტერის (ბოდრიარის მიხედვით, „ადამიანური გონების ხელოვნური პროთეზის“) ცოდნითა და პირადი კარიერული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით (რომელიც უზნეო მოქმედებებსაც მოიცავს) ამოიწურება. ერთი სიტყვით, ის მეგაპოლისის ცივილიზაციის კაცია, რომელსაც ჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო ცუდად ხდის. ამ „კაცუნასთვის“ ღმერთი, ჭეშმარიტება, სამშობლო და სხვა მსგავსი მაღალი მორალური იდეალები არაფრისმთქმელი სიტყვებია. მას გვერდს „უმშვენებს“ ზომბი – დაპროგრამებული არსება („მანქანური“), უისტორიო, ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული, რომელიც იმ მოწყობილობას ჰგავს, რომელიც სხვა მოწყობილობაზეა მიერთებული და მის გარეშე მოქმედება და ფუნქციონირება არ შეუძლია.

პოსტანამედროვე საზოგადოების ადამიანი მოკლებულია ყოველგვარ ასკეტიზმს. ის მხოლოდ ერთი დღისთვის ცხოვრობს. იგი, ფაქტობრივად, არ ფიქრობს ხვალისდედელ დღეზე, ხოლო შორეული მომავლის ცნება მისთვის სრულიად უცხოა. მისი ცხოვრების მთავარი სტიმული პროფესიული და ფინანსური წარმატებაა, რომელსაც უნდა მიაღწიოს არა ცხოვრების ბოლოს, არამედ ამწუთას, ახლა და აქ, რაც შეიძლება მალე. ამ ამოცანის შესასრულებლად მისთვის ცხოვრების ნებისმიერი წესი, სტილი და სტრატეგიაა მისაღები, თუნდაც ყველაზე ამორალურიც კი. თუკი მოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყოდა: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, პოსტმოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყვის: „ვდგავარ იქ, სადაც მინდა და როგორც მინდა“, ამიტომ მას, კლასიკური გაგებით, მყარი, ერთხელ და სამუდამოდ

მოცემული საყრდენი არა აქვს. მისთვის არ არსებობს ისეთი ცნებები, როგორებიცაა მემარჯვენე, მემარცხენე ან ცენტრისტი, შესაბამისად, არც მსგავსი იდეოლოგიები. იგი ე. წ. „სოფტ-იდეოლოგიის“ მომხრეა, რომელშიც მშვიდობიანად თანაარსებობენ ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ადრე ერთმანეთთან შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი იყო (ამის გამოხატულება შეიძლება იყოს ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ე. წ. „კოჰაბიტაცია“). მსგავსი ვითარება რაღაც ნეოფატალიზმის მსგავს მითოსს ქმნის, რომელშიც ადამიანი უმწეოდ გამოიყურება.

პოსტანამედროვე საზოგადოებაში დაკარგულია ინტერესი ყოველგვარი მიზნებისადმი. აქ არ არსებობენ დიადი მიზნები, იმიტომ რომ ზოგადად მიზანი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. პოლ რიკიორის თქმით, დღეს შესამჩნევია „მიზნების ატროფია და საშუალებების ჰიპერტროფია“, რაც ამ მიზნებითა და იდეალებით იმედგაცრუებამ გამოიწვია. მათ ვერ შეასრულეს თავიანთი პირობა. ვერც ერთმა მოდერნისტულმა იდეამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ ადამიანებს მომავლის იმედი გაუქრათ. იგი თითქოს ვილაცამ მოიპარა.

ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი ისტორიულობით ხასიათდება. ის ისტორიულ დროში არსებობს. დროის ამგვარი აღქმა პოსტანამედროვეობაში უარყოფილია. მან ამოწურა თავისი თავი. ამიერიდან ადამიანი სივრცითს აზროვნებაზეა ორიენტირებული, რადგანაც რეალობა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ჰიპერრეალობას წარმოადგენს, რომელშიც დროის ტრადიციული გაგება გამოუსადეგარია.

საზოგადოების პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაცია მტკივნეულად აისახება კულტურაზე. ამ შემთხვევაში კულტურული მენისტრიმის რადიკალურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, პოსტანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს მასკულტურა, ხოლო მასში – მოდა და რეკლამა. შექმნილ

ახალ რეალობაში მოდა იმ როლსა და ფუნქციას ასრულებს, რასაც მოდერნისტულ საზოგადოებაში მითოსი, რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება ასრულებდნენ. ის მოიცავს და აკანონებს ყოველივეს, რადგანაც ყოველივე, რასაც იგი არ შეხება, მიუღებლად ითვლება, არსებობის უფლება არა აქვს და კულტურის ელემენტად არ აღიქმება. ეს მეცნიერულ თეორიებსაც შეეხება. დღეს ყურადსაღები მხოლოდ მოდური მეცნიერული თეორიებია, რომელთა ღირებულება არა შინაგანი ღირსება და ჭეშმარიტების ნვდომა, არამედ გარეგნული ეფექტები, ფრაზებით ჟონგლიორობა, ყალბი ერუდიცია და მიმზიდველობაა. აქედან მომდინარეობს მეცნიერებისადმი უნდობლობა, ნიჰილისტური და ცინიკური დამოკიდებულება. ამ რაკურსით, პოსტმოდერნი სოფიზმის ახალ ფორმას წარმოადგენს (ნეოსოფიზმი).

რაც შეეხება მოდას, უნდა გვახსოვდეს, რომ ის ძალზე ჭირვეული ფენომენია, რომლის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. მისი არამყარი, ეფემერული და მოუხელთებელი ბუნების შედეგად პოსტთანამედროვე საზოგადოების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი ხდება. ამგვარი საზოგადოება სიცარიელისა და ეფემერულობის იმპერიას წარმოადგენს (ჟ. ლიოვეცი). პოსტთანამედროვე საზოგადოებაში თითქმის ყველაფერი თეატრალიზებულია. ნებისმიერი სახის მოვლენა, პრაქტიკულად, ეფემერული სპექტაკლისა და მოდური შოუს ნაწილებია მხოლოდ.

აქვე აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ

პოსტმოდერნისტულ ტრანსფორმაციას განიცდიან ისეთი მყარი და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი, ეთიკის სფერო და რელიგია. ოჯახური ცხოვრების სფეროში ამის მაგალითებია ე. წ. „ერთჯერადი ოჯახების გაჩენა“, „თავისუფალი სექსუალური ცხოვრების“ პროპაგანდა, გენდერული და ფემინისტური დებატები, სქესთან დაკავშირებული თემატიკის გააქტიურება და მრავალი სხვა; რელიგიის სფეროში – ადამიანისა და საზოგადოების დესაკრალიზაცია, რელიგიური ცხოვრების ვირტუალიზაცია, პროფანაცია, რასაც შედეგად მოჰყვება ტრადიციული რელიგიური ცხოვრებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და ა. შ. ეს ყოველივე, რელიგიური გაგებით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არც ისე შორსაა აპოკალიფსი.

ეთიკის სფეროში პოსტმოდერნიზმის შემთხვევაში სახეზეა მორალური რელატივიზმი, ნიჰილიზმი და ღირებულებათა დევალვაცია, რასაც შედეგად ჭეშმარიტებასა და მცდარობას, სიკეთესა და ბოროტებას, რწმენასა და ურწმუნობას შორის განსხვავების უარყოფა მოჰყვება. ამაზე მეტად ადამიანისა და საზოგადოების დაცემა და გადაგვარება ძნელი წარმოსადგენია. ამ ყოველივეს შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს კაცობრიობა ხარაკირს იკეთებს, თავს იკლავს. ზნეობრივ პლანში კაცობრიობის სუიციდი სახეზეა. ახლა ჯერი მის ფიზიკურ არსებობაზეა. რით დასრულდება ყოველივე ეს, ამას ალბათ დრო გვიჩვენებს.



# პოეზიის მისციკოტი ჭჭრეცა სოლის სითოტრეში

*„არაფერი არ არსებობს, და თუ არსებობს, – შეუმეცნებელია, და თუ შემეცნებადია, შეუძლებელია გადმოცემულ იქნეს სხვათა მიერ“.*

გორგია

*„ადამიანები ისე ცხოვრობენ, თითქოს საკუთარი გაგება ჰქონდეთ“.*

ჰერაკლიტე

## 1. სიტყვა და პოეზია

პოეზია ზეცით მონადენია, მარად და ყველგან, ყველაფერში განფენილი ზეშთაგონებული სულიერება. მისი თავურსანყისი მდუმარების დამრღვევ პირველშერხევაში, პირველსიტყვაშია მისტიცირებული.

პოეზია იყო თვით იმ სიტყვაში, რომელიც იყო ღმერთთან და სიტყვა რომ იყო ღმერთი. მისით შექმნა ყოველივე; მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც შექმნილია; მასში იყო სიცოცხლე და ის იყო ადამიანთა ნათელი – ნათელი, რომელიც ბნელში ანათებს და ბნელმა რომ ვერ მოიცვა (იოანე 1,1-5). ამ არვისგაგონილ სიტყვას თან ახლდა პოეზია.

როცა უსახოსა და უდაბურზე, სადაც წყლებს ზემოთ სული ღვთისა იძვროდა, გაისმა ღვთის სიტყვა: იყოს ნათელი! – ამ პირველ სიტყვაშია პოეზიის „წყაროსთვალი“.

მაშასადამე, პოეზიის თავურსანყისი სიტყვაშია, რომელსაც მოჰყავს ნათელი; ეს ნათელი პოეზიაა და პოეზია თვითონაა ნათელი.

ყოველივე მას, რაც მოხდა ნათლის დადგომის შემდეგ, თან ახლავს ამ „სიტყვის“ ენერგია და პოეზიის ნათელი; ის ყოველივეშია, რაც აკურთხა ღმერთმა და წმინდაყო.

ეს ენერგია „სიტყვის ნათელისა“ თან ჩაჰყავს მიწის მტვრისაგან გამოსახულ კაცს, როცა მის ნესტოებს ღმერთმა შთაბერა სული. შესაბამისად, ედემიდან გამოდევნილ ადამს – ადამიანს თან მოჰყავს ამ „ნათელის – პოეზიის“ შემეცნების უნარი. მიწისგან ტანჯვითა და ოფლისდენით საზრდოს მომპოვებელი ეს არსი არანაკლებ ტანჯვითა და წვით ეძიებს

ამ ნათელს პოეზიისა ყოველივეში, რაც მის ირგვლივაა და რასაც მისი გონება შეწვდება, რათა მისგან ჩამოქნას ხელოვნება – ახალი სამყარო.

პოეზიის ნათლიდან ხელოვნების დაბადება ძიებითა და თვითგვემითაა შესაძლებელი. ამ გზაზე ძიებისა, პირველი, რასაც უნდა შეეტოქოს პოეტური ხელოვნების შემოქმედი, ეს ისევე სიტყვაა, საიდანაც უნდა შევიგრძნოთ სასიცოცხლო ენერგია და განვჭვრიტოთ ღვთიური შესაქმნისის სიდიადე. ეს ურთულესი პროცესია და ვინც შეეცდება ამის რეალიზებას, ოდენ მიწიერი საზომებით ვერც სიტყვას დაიმორჩილებს და ვერც მისი რეალობის არსში ჩაწვდება. აქ ცოდნა საკმარისი არაა. აქ უფრო სხვა, უფრო ინტუიციურია მოსახელთებელი, რათა ჩაგვწვდეთ სიტყვის არა ოდენ არსობრივ და სემანტიკურ საზრისს, არამედ მის მეტაფიზიკას, იმას, რაც მასში ანათებს და კოსმოსურ სულთან კავშირშია.

ჰუმბოლდტის თქმით, სიტყვა არ მოიცავს თავის თავში რაიმე დასრულებულს, სუბსტანციურს და არ წარმოადგენს გარსს დასრულებული ცნებისას, არამედ გვიბიძგებს იმისკენ, რათა შევქმნათ ეს ცნება საკუთარი შესაძლებლობებით. აი ის, რაც გვიბიძგებს პოეტური აზრქმნადობისკენ; ესაა ის, რაც ანათებს სიტყვაში და წარმართავს ჩვენს გონებას; ის თავისთავად არსებულია. ამ თავისთავად არსებულ ნათელს პოეზიისას, რომელიც სიტყვიდან სიტყვაში ეძლევა პოეტს, გვინდა შევეხოთ თორნიკე ქავშბაიას შემოქმედებაში, რომელიც, ზაურ მოლაშხიას დაკვირვებით, განეკუთვნება ინტელექტუალურ პოეზიას.

## 2. კოსმოსური ხილვების პოეზია

ზეციით მონადენი პირველპოეზიის სუნ-თქვა გვესმის თორნიკე ქავშბაიას პოეტურ ქმნილებებში. კოსმოსური სულიერებიდან დაუპატიჟებლად მოსულ ხმათა ჟღერაში შევიგრძნობთ პოეტური სიტყვის ნათელს. ამ მისტიკურ ნათელში იბადება პოეტის სულიერი განცდები სიტყვებად, რომლებიც მოწყვეტილია მიწიერ ამოებაზე კვენსას, როგორც თვითონ იტყვის: „ტორფისფერ ცხოვრებას“. ის კოსმოსური ხილვების პოეტია. მის სულთან ახლოსაა ის ხმაჟღერადობა, რომელიც ზეციდან მოდის და სიტყვებად იქცევიან. პოეტის გონებაში სიტყვები, რომლებიც ვარსკვლავებივით არასდროს ბერდებიან, პოეზიაში ანგელოზებივით ისე მოგვევლინებიან, რომ შენ არც კი იცი, – საიდან მოდიან; მხოლოდ მათ მიერ მოტანილი კოსმოსური შარიშური თუ მიახვედრებს შემოქმედების პროცესში ჩართულ გონებას, რომ რაღაც ახალი შემოდის მის ცნობიერებაში.

თორნიკე ქავშბაიას პოეზია იბადება ამ კოსმოსიდან მონადენ ხმათა შარიშურში, რომელიც კაკუნით ალებს მისი გონების კარს და აღძრავს მისტიკურ მგრძნობელობას, რასაც „...თან მოსდევს ახალი სულიერი კოსმოსის მშობიარობის ტკივილები“ (კ. გამსახურდია). ამ კოსმოსური კაკუნით გაღვიძებული მისი გონების პოეტური მიკროსამყარო თვითონვე ერთვება კოსმოსური ცხოვრების წიაღში და იწყება პროცესი, „არაპირდაპირი თქმა აზრისა“ (წმინდა ავგუსტინე), გოეთეთი კი – „იმის გამოთქმა, რაც არსებითად მარად გამოუთქმელი რჩება“.

თ. ქავშბაიას პოეზიის გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვნად მეჩვენება გასული საუკუნის ოციანი წლების მიჯნაზე, ჩვენსავით ევროპასა და აზიას, სინამდვილეში ევროპულ თავისუფლებასა და რუსულ ძალადობასა და პოლიტიკურ უკუელტურობას შორის არჩევანის მაძიებელთა, განსაკუთრებით, შემდეგ ცისფერყანწელებად წოდებული ჯგუფის იდეა პოეზიის ბუნებაზე.

სანდრო ცირეკიძე, თავის ესეიში „პოეზიის ნაპირები“ წუხს, რომ ყოველთვის ჩაგრავ-

დნენ პოეზიას, „პოეტის სახელს კი სცვეთდნენ ათასნაირად“. პოეზიას ურევენ ლექსთა წყობაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და პუბლიცისტიკაშიაც. „პოეზია – ენერგიაა, ქმედობაა, გადალახვა საზღვრების. **პოეზია მაშინვეა, როდესაც ათვისება იღებს მისწურხასიათს და მისი თქმა ფერებით და ხმებით არაა სავალდებულო**“. ის აგრძელებს: პოეზია არ ეტყევა ლიტერატურაში. ის უფრო მაღალია (96 ესსე, გვ. 148/9). მამასადამე, პოეტის განცდა მაღალ მგრძნობელობაში იქცევა ნამდვილ პოეზიად. ვინაიდან, გოეთესვე თქმით: „ცნობიერებაში ადამიანი დიდხანს ვერ დაჰყოფს; მან დროდადრო არაცნობიერს უნდა შეაფაროს თავი, რადგან იქ ცოცხლობს მისი ფესვი“, ამიტომ „ნათლის პოეზიის“ წვდომა ოდენ ცნობიერი, „ხელოვნური“ შემოქმედებით შეუძლებელია. „ხელოვნური ნაწარმოები შეიძლება იყოს თავისთავადი, მარტოოდენ ფორმა... იგი შეიძლება შედევი იყოს ოსტატობით, მაგრამ მეცხრე ცის გადაღმა არ გადაგვახედებს“. ასე მგონია, ეს მიდგომა პოეზიისადმი სრულად მიესადაგება თ. ქავშბაიას ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებას.

## 3. იდეური პოეზიის მიღმა

მე, როგორც თორნიკე ქავშბაიას პირველი ლექსთა კრებულების: „კაკუნი ღამით“ (1998 წ.) და „სახსოვრად დღევანდელ დღეს“ (1999 წ.) გამომცემელი, ვხედავდი, თუ როგორ ძლევდა ის თავისი განსაკუთრებული სტილის, უფრო, ჩვენში მკაცრად შემოსაზღვრული და ჩაკირული იდეოლოგიური „ნორმებისა და მეტრებისადმი“ „დაუმორჩილებლობის“ გამო მისი პოეზიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას. იმთავიდანვე მეჩვენებოდა, რომ მის ლექსებში იყო რაღაც ისეთი, რაც უჩვეულოდ ჩანდა ჩვენი გამომზრდელი საბჭოური პოეზიის პრიზმიდან. გუმანით ვგრძნობდი, რომ ამ ლექსებში რაღაც ისეთია, რასაც ერთი თვალის გადავლებით ვერ ჩანვდება სქემატიზებული და იდეოლოგიზებული შემეცნება. ამ თითქოს ინსტინქტურმა შეგრძნებამ მიბიძგა ნახევრად არალეგალურ, მუდამ დევნასა და შევიწროებაში მყოფ

გამოცემაში გამომეცა ეს კრებულები და მიმელო საკმაო „დოზა“ ირონიისა სიახლისადმი სკეპტიკურად განწყობილთა მხრიდან. მაგრამ ამ ლექსებში, უფრო სიტყვებსა და სიტყვათქმაში, „ჩაბუდებული“ რალაც განსაკუთრებული, მეცხრე ციდან გადმოსული სულიერება მშვენივრად აკეთებდა თავის საქმეს და კვალიფიციურ მკითხველთ აიძულებდა უფრო სიღრმისეულად მისდგომოდნენ ამ მართლაცდა ორიგინალურ შემოქმედებას (ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ ჩვენს პოსტსაბჭოურ სინამდვილეში).

მთავარი ის იყო, რომ ყველა აღიარებდა, რომ მასში ნატამალიც კი არ იყო „ქართული პოეტური გენიის“ დამანგრეველი, მატერიალისტური რეალიზმისა და სოციალური ყოფითი „ნაგავისა“, რომელშიც უფრო გალექსილი პუბლიცისტიკაა, ვიდრე პოეზია. გრ. რობაქიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, რომელშიც „რწმენა დადაგულია ლენინის ქეძაფის სიტყვით“ და დღემდე ასე ძალუმად ცხოვრობს და მოქმედებს ხალხის ალაგას გამეფებულ მასაში, „რომელშიც პიროვნება, ეს უღვთიურესი მოვლენა, სრულად ითქვიფება. არავითარი სახე აქ არაა და მამასადამე არავითარი სახიერი“ (გრ. რობაქიძე). ამდენად, მის პოეზიაში არაფერია „თავისთავად პოეზიის“ მიღმიერი; მათი სანყისი „კოსმიურ სულთანაა“ წილნაყარი და მას არ გაჰკარებია, ყოველ შემთხვევაში, მასში ფესვები ვერ გაუდგამს საბჭოური იდეური პოეზიის ავადმყოფობას, რომელიც მოურჩენელ ჭირად შემორჩენოდა პოსტსაბჭოურ ხელოვნებას ზოგადად.

მიუხედავად იმისა, რომ ჰორიზონტზეც არ ჩანდა და არ ჩანს ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისი კრიტიკა, ყველა თავისას მიაჭენებდა. ამ არეულობებსა და გაუგებრობებში თავისი სავალი იპოვა თ. ქავშაიას შემოქმედებამ; დღეს უკვე ძალუმი ინტერესი შეიმჩნევა მისი მისტიკური პოეზიის მიმართ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ პოეტი უკვე ექვსი პოეტური კრებულის ავტორია. ზემოთ დასახელებული ორის გარდა გამომცემლობა „ეგრისში“ მისი მენეჯერის ზაურ მოლაშხიას რედაქტორობით დაიბეჭდა ლექსთა კრებულები: „ზამთარი – დიდი ფრინველის სეე-

და“ (2002), „კოლხეთის ტრაგედია“ (2006), „ზღვის სამფეროვანი მობრუნება“ (2006), რაც დაგვირგვინდა „რჩეულით“ (2007).

მისი შემოქმედებისადმი სერიოზული ინტერესი, პირველ რიგში, გამოიჩინეს თვითონ პოეტებმა, სახელდობრ მათ, რომელთა შემოქმედებაც არასდროს ჩამდგარა იდეოლოგიის სამსახურში და თავისი სიტყვა ეთქმოდათ ქართულ პოეზიაში – ჩვენმა სახელოვანმა პოეტებმა: ზაურ მოლაშხიამ, გიორგი სიჭინავამ, მურმან ჯგუბურიამ, ჯემალ შონიამ.

განსაკუთრებით საყურადღებოა დიდებული პოეტის და ლიტერატურული მოღვაწის მურმან ჯგუბურიას სერიოზული და დამაფიქრებელი კრიტიკული სიტყვა (ნარკვევი) „თორნიკე ქავშაიას ნიგნის არშიებზე მინანერი“, რომელიც „რჩეულს“ წინასიტყვად აქვს წამძღვარებული.

#### 4. ვეცადოთ ჭეშმარიტების წვდომას

ზემოთაც ითქვა და კიდევ გავიმეორებთ, რომ ზეცით მონადენი პირველპოეზიის სუნთქვა გვესმის თორნიკე ქავშაიას პოეტურ ქმნილებებში. ალბათ ამიტომ იტყვის მასზე მისი „რჩეულის“ წინასიტყვაობის ავტორი მურმან ჯგუბურია, „თორნიკე ქავშაია რთული პოეტიანო“, და დასძენს: „...ვხვდები რაზეა საუბარი, მაგრამ ვერ გამომითქვამს“. თუმცა სწორედ ამაშია მისი პოეზიის ხიბლი, თუ გნებავთ, მისი ლექსის დაუფარავი, მაგრამ მაინც საიდუმლოდ დარჩენილი სულიერი არსი.

რაც დაფარული, ე.ი. შენახული, გადანახული, გასაიდუმლოებული არ არის, ის არ შეიძლება საიდუმლო იყოს; მაგრამ ადამიანს აქვს კი შესაძლებლობა ყოველ დაუფარავში შეძლოს წვდომა? – რა თქმა უნდა, არა.

ამ სამყაროში „მიკარგულ ადამიანს“ ცნობიერების ხიდან ცდუნებით მოწყვეტილი ნაყოფი (ქართულ ცნობიერებაში – ვაშლი) ვერ ეყო იმისათვის, რომ ჩასწვდომოდა საიდუმლოებებს, შეემეცნო კეთილი და ბოროტი. იმაზე კი, რომ ადამიანს არ ეგემა უკვდავების ხიდან, უფალმა იზრუნა სამოთხიდან ადამის გამოძევების შემდეგ: „განდევნა ადამი, ედემს კი აღმოსავლეთით ქერუბიმები და

ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დაუყენა, რათა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი დაეცვათ“, და მოწყობა ის მარადიულობას, სრულად შემეცნების უნარს. ეს ჭეშმარიტი მოცემულობა ათქმევინებს პოეტის კვალდაკვალ წინასიტყვაობის ავტორს: რამდენი რამე არ ვიცით, არ ვიცით და არც გვეცოდინება, რადგან არაფერია ამ ცხოვრებაში მარტივი. მაგრამ ჭეშმარიტება ხომ სწორედ სიმარტივეშია, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, თ. ქავშბაიას პოეზიის „სირთულე“ მისივე სიმარტივეშია, ვინაიდან მისი პოეზია „თავისთავად პოეზიიდან“ მომდინარეობს. მასში ნაკლებადაა ხელოვნება, როგორც ხელოვნურობა, რაც გულისხმობს პოეტურ გამონაგონთა სისტემატიზებას. პოეტი კი „მტერია“ ყოველგვარი სისტემურობისა პოეზიაში.

მისი პოეტიკის ენგადი პირველსიტყვის ნათელშია. მას არ სჭირდება შუამავალი პოეზიის კოსმოსურ სულთან. ის კი, რაც ზეცით მონაბერია და უშუალოდ ეძლევა პოეტს, მარტივია თავის არსში, მაგრამ მასში წვდომაა რთული; ამაზე იტყვის: „არ იცი, არ ნიშნავს, ვერ გაიგებ...“

ჩემი გააზრებით, აქ მინიშნებაა იმაზე, რომ „მე“ ვერ წვდება ჭეშმარიტების არსებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვეცადოთ მის გაგებას. ამ მცდელობას შეაღწევა ადამიანმა თავისი სული და გონი, ის კი ავინყდება, რომ სიცოცხლისა და შემეცნების ხის კარიბჭესთან ცერბერი დარაჯობს და ცეცხლოვანი მახვილი ტრიალებს, ამიტომ გვირჩევს პოეტი, „უკეთესია, არ ვიცოდეთო“.

მ. ჯგუბურია შენიშნავს: იცის პოეტმა, რომ აქ მხოლოდ „საპყრობილეა დედამიწის ვრცელი ბოსელი“, მაგრამ არა მგონია ამით იფარგლებოდეს მისი კოსმოსიდან მართული გონების წარმოსახვა. ის უფრო იმას გვეუბნება: ჯობია, მოვეშვათ ღვთის არსებობა-არარსებობის ამაო და მაცდურ მცდელობას; მთავარია, გნამდეს მისი არსება. „რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 3, 15) და როგორც იოანე ნათლისმცემელი გვმოდღვრავს: „ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს. ხოლო ურჩი ძისა ვერ იხი-

ლავს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე“ (იოანე 3, 36). აი, ესაა, ის, რაც არ ვიცით, მაგრამ გავიგებთ რწმენით. ის კი, რაც უკეთესია არ ვიცოდეთ, ისაა, რასაც არა რწმენით, არამედ „გველის რჩევით“ – ჩვენივე მოგონილი იდეით გვინდა ჩავწვდეთ. ამაშივე უნდა ვივარაუდოთ პასუხი მ. ჯგუბურისა მიერ ძალზე გონივრულად გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ „ეს წიგნი თითქოსდა იმიტომ დაიწერა, რომ ხშირ-ხშირად გაიმეოროს მკითხველმა: არ ვიცი, არ მესმის, ვერ გავიგე და მისთანანი“.

ამ პოეზიაში, რომელიც პირდაპირ კოსმოსური კაკუნით ეძლევა პოეტს და ზედმეტი ძალდატანების გარეშე გადმოგვეცემა მკითხველთ, პირველ რიგში, უნდა შევიგრძნოთ პოეზიის კოსმოსური პირველსურნელება.

ამდენად, კოსმოსურ კაკუნში იბადება პოეტისეული ახალი სინამდვილე, ძნელად გამოსაცნობი, დაუფარავი, მაგრამ საიდუმლო, რადგან ის დაშორებულია „ფაქტების, რიცხვების, მოვლენების ემპირიულ სინამდვილეს“ (ნ. კაკაბაძე).

მაშასადამე, პოეტის შემოქმედება ამ ზეციურ პოეზიასთან მისტიკური კავშირით საზრდოობს, რომელიც მას ეძლევა კაკუნით... ღამით... ამას თვითონ გვეუბნება პოეტი ლექსში: „კაკუნი ღამით“. ცუნამებად ეძალება მას ეს კოსმოსური ხილვები და ფრთებს შემოკრავს „ფიქრის მამალი“. ეს არაა მუზის იდუმალი შეხმიანება, ეს უფრო სხვაა... პოეტსა და „პირველნათელის“ პოეზიას შორის უშუალო კავშირში ადგილი არ რჩება წარმართული მუზისთვის. მუზა ხელოვანთათვის პოეტური სამყაროსკენ გონების წარმართვის, გეზის მაჩვენებელი ქალღმერთია. პოეტთან კი ღამის კაკუნი თვითონაა ძახილი „პოეზიის ნათლისა“. ყოველი კაკუნი სიტყვებად გარდაიქმნება და ყოველი სიტყვა სრულფასოვნად მოიცავს ამ პირველპოეზიის ნათელს. მას ნაკლებად ეკარება ხელოვნების შალაშინი და თავისთავად გაურბის ფორმას, სტილს, რითმას, ამ მშვენიერ ქალიშვილს, როგორც გრ. რობაქიძე იტყოდა, და ა. შ. აქ „ფიქრის მამლის“ ნათელის მაუწყებელი ხმაგაბმითი ყვილი და ყიჟინა აღვიძებს აზროვნებას უშუალოდ,

რომელიც თვითონაა მხატვარიც, ხატიც და მას არ სჭირდება „მხატვრულ აზროვნებად“ გარდასახვა. მ. ჯგუბურიას მიერ შემჩნეული და ბრწყინვალედ გამოთქმული მოსაზრება: „თორნიკე ქავშაია სიტყვას აცნობს სიტყვას...“ ამ კონტექსტშია გასაგები.

სიტყვების მიერ ერთმანეთის „გაცნობა“ კაკუნის კაკუნზე მიბმით ხდება. ამიტომ მის შემოქმედებაში წინა პლანზეა პოეზიისთვის უმთავრესი ის, რაც ინტუიციურად, ჩვენი შემეცნების მიღმიდან, გოეთესთან როგორც ვნახეთ, არაცნობიერიდან მოდის. მამასადამე, ეს „გაცნობა“ არ ხდება იმისთვის, რომ შეიქმნას „ახალი პოეზია“ გულისა და ხორცის სალხენად, არამედ კაკუნით მოსულ სიტყვათა პოეტიკამ უნდა შეგვაგრძნობინოს პირველარსობის უშუალოება მისტიკით, რომ რასაც უნდა შეეხოს ჩვენი გონება და წარმოსახვა, – ყოველ საგანს, თვით ემპირიულ ბუნებას, ყოველ სიტყვას თან ახლავს თავისი პოეზია. პოეტს, როგორც ითქვა, ეს პირველქმნილი „სიტყვა – პოეზიაა, რომ ეძლევა კაკუნით ღამით“.

ლექსში „კაკუნი ღამით“ პოეტი სრულად გადმოგვცემს ამ გაბმული, თანმიმდევრული კაკუნის შეგრძნებას. მის გონებას ჩაესმის „კაკუნი ღამით“ და გონის უნებური მოკრძალებული რეაქციით ის „საზღვრავს მონოტონს“ ყოველდღიურობისას და რაღაც შეუცნობელის მოლოდინში ისმება კითხვა: „რა უნდათ ჩემგან?!“ და იღვიძებს გულისხმა, რომელიც არასდროს ძველდება: „რა უნდა გულისხმაში ტერმინს სიძველე“...

ამ კითხვებს პასუხი უნდა და ისევ ისმის „კაკუნი ღამით“ – რიგით მეორე, რის შედეგად გაღვიძებული გულისხმიდან „მახსოვრობა დგება კაცივით“ და გონება „იარას წენავს“ და წვდება ადამიანთა ყრმობის ბობოქარ აისს, რომელიც ბებერ მუხებთან მდგარი ბავშვია: „ბებერ მუხებთან ბაღი იდგა, დუმდა, მერე თქვა: სანთელი გულში შემოვო...“ ბავშვი ადამია, სანთელი – ღვთის სიტყვით შექმნილი ნათელის სიმბოლო. ევას შექმნილთა და ცნობადობის ხის ნაყოფის გასინჯვით ადამიანში შემოდის სხვა, ცნობადობის ნათელი, მაგრამ რის ფასად? – შეცოდების. ამიტომ აღმოხდება კაკუნით გაღვიძებულ

მახსოვრობას: „ღმერთო, შეგცოდე!“

მამასადამე, მღუმარე ბავშვი ადამია, ჯერაც უცოდველი ყრმა, ღვთის კრავი.

„კაკუნი ღამით“... – მესამე – უკვე იძლევა შეგრძნებას. ეს უკვე მინაზე დაშვებული გონებაა, ადამიანური, მგრძნობელობა – „შეგრძნობა ოპერეტიული“, ეს მინის შეგრძნებაა, ცხოვრების შეგრძნება, მითოსით გაჟღენთილი დიონისური მგრძნობელობაა ცოდვილი ადამიანისა, რომელიც დედამინის ხავერდოვან ველ-მინდვრებს, სივრცეებს ნაულებს შეცოდების კომმარებს. „ნაულებს სივრცეს ველ-ხავერდის საყვარელ კომმარებს“. კომმარი და საყვარელი?! აქ კომმარი – ცოდვით დაცემაა, ედემის ბაღში დატრიალებული ტრაგედია. მაგრამ ის საყვარელია, რადგან მისით ეზიარა ადამიანი ცნობადობას; ამიტომ მინაზე მოვლენილი ადამიანი მხოლოდ მგრძნობელობით, მითოსური სულიერებით ებრძვის ამ მინიერის სატანჯველს, ღვთით განჩინებულს. მისი შემამსუბუქებელია „შეგრძნობა ოპერეტიული“ – სიმღერებით, ცეკვებით, პოეტური ტექსტებით შეჯერებული დიონისური მისტიკები.

პოეტი იდუმალებაში არ ხვევს ღამის ამ კაკუნს, ის აშკარად და ალაღად აცხადებს, „კაკუნი ღამით!... გონში მირეკავსო“ და ამით გვაძლევს გასაღებს მთელი თავისი შემოქმედებისას, რომ მის გონებას წარმართავს კოსმოსური პირველპოეზიის სულიერება და იქიდან მოფენილი მგრძნობელობით იბადება „ახალი პოეზია“ მითოსური სულით, რომლითაც პოეტი კოსმოსურ მისტიკას უკავშირებს მინიერ სამყაროს. ეს კავშირი ყოვლის შესაქმესთან არის ამ განსახილველი ლექსის პროლოგის მთავარი საგანი. მასში აკუმულირებულია მთელი ადამიანური წარმოდგენები სამყაროზე, ამოსავალი, რა თქმა უნდა, წმინდა წიგნებია, მაგრამ ამჯერად მასზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

მოკლედ, ასეთია პოეტისეული კავშირი კოსმოსურთან. ეს – პოეზია სულდგმულობს ასტრალით. მას იქ ეგულება სულიერი ძმები, ამიტომ შესძახებს: „ძმებო ასტრალით!“ მათში გამორჩეულად უყვარს იუპიტერი: „სიყვარული იუპიტერის“ მოსდება სულს, ალბათ ამიტომაც ქცეულა სატურნის შვილობილად:



„ო, მე სატურნის შვილობილმა თავგანწირვის დღე ამოვცურე...“ კოსმოსურთან მისი კავშირი ბუნებრივია, ვინაიდან ის თვითონაა მისი ნაწილი. მიუხედავად ამისა, აქ ის ცოცხალ ბუნებაშია, სადაც „იღლება ფერი“ და იაზრებს „მდელოთა სიზმარს“. ეს კოსმოსური პოეზიის მისტიკური სულია, პოეტს ღამით გონში რომ ურეკავს.

პოეტი განთიადის მოსვლით თავის ანგელოზთან ერთად უბრუნდება ამ ქვეყნიერებას, უფლისგან მოსჯილ კარცერს, როგორც ძმის – ბესიკისადმი მიძღვნილ ლექსში წერს:

„ო, შეავედრე ჩემი თავი უფალს, ძამიკო, რად მომისაჯა აღრეული სივრცის კარცერი...“ („ტომთა გოდება ცად ასულა ნათლის საძებრად“).

მის პოეზიაში თვალნათლივ იკვეთება, რომ ყოველი გზა გადარჩენისა და ხსნისა უფალთან მიდის, ის არა მარტო ძმას შესთხოვს მისთვის ილოცოს, არამედ თვითონაც ლოცულობს თავისი გენისთვის; ის მიმართავს თავის მფარველ ანგელოზს:

„ნუ სულერთობ, ჩემო ანგელოსო!

გადამარჩინე,

გადაარჩინე ძმაი ჩემი, ჩემი მოხუცი დედა და მამა...“ („კაკუნი ღამით“).

მაშასადამე, მისტიკური კაკუნი ღამით, პოეტს გონში რომ ურეკავს, მაინც მიწიერში – „ქვეყნიურ დღეში“ მიმდინარე პროცესებთან ასოციაციურ კავშირშია, სადაც „ემშას ცდუნებულისგან“ ჩამოტანილი ცოდვა გიზგიზებს და „ემშას სულით შრიალებს ბურქი“. ამდენად, ამ ლექსში პირველშერხევის, პირველსიტყვის და პირველპოეზიის სული ტრიალებს. ის მისტერიაა „დაბადებისა“, რომელიც კოსმოსურ ხილვებში ეძლევა პოეტს. აქ „დაბადება სამყაროსი“ ნათლიდან ტრაგედიაში გადადის, ამიტომაც: „ისევ იწვევენ ცუნამები შესცვალონ ელვა“.

## 5. ტრაგედია ცაში იბადება

ტრაგედიის ავტორისეულ ხედვაზე ყურადღებას ამახვილებს მ. ჯგუბურია. ის აღნიშნავს: „არ არსებობს ტრაგედია“, - წერს თორნიკე ქავშიბაია, და ამ აზრის გამგებია მეორე პოეტი“... წერილის ავტორის განმარ-

ტებით – „ანუ მკითხველი“. ის სვამს მთელ წყება კითხვებს, რომლებიც ლეგიტიმურია მკითხველის პოზიციიდან. ის კითხულობს: როგორ ჰგონია პოეტს?! „არ არსებობს ტრაგედია იმიტომ, რომ საერთოდ არ ვარსებობთ? თუ ჯერჯერობით არ ვარსებობთ? ეს ქრისტემდის იყო თუ ქრისტეს აქეთ? ეს კითხვებიც ჭეშმარიტად პოეტურია. ამიტომ პოეტის მიერ თქმული „ამ აზრის გამგებია მეორე პოეტი“ – უცილობლად საფუძვლიანი ყოფილა, თორემ რიგით მკითხველს ასეთი კითხვები ნაკლებად შეაწუხებდა. ეს კი, მე, განმარტებათა განმმარტებელს, იმაზე მიმანიშნებს, რომ თუ აქ არ არსებობს ტრაგედია თავისი ნამდვილი სახით, მაშინ ის უნდა ვეძიოთ სხვაგან, ალბათ იქ, საიდანაც კაკუნით იმართება პოეტის გონება და იბადება ამქვეყნიურ მგრძნობელობა.

ტრაგედიის სული ურთულესი ფენომენია, მისი დაბადება არამიწიერია. ის ზეცაში იბადება პოეზიის ნათლის შუქზე, იქ ყვავილობს, ჩვენ კი ამ მიწაზე მის გამოვლინებებს ვამჩნევთ, უფრო სწორად, მის ნაყოფს აქ იმკის ცოდვილი ადამის ძე. მაშასადამე, ნამდვილი ტრაგედია მაშინ დატრიალდა, როცა „მარადი ნათელის“ შუქით გაცისკროვნებული „სახება ღვთისა“ აცდუნა გველმა – ეშმამ, ლუციფერმა; შექმნილი შემქმნელს დაუპირისპირდა და სამარადისო ცოდვაში გახვია, რის გამოც ის ღმერთმა მიწას მიაჯაჭვა და მიუსაჯა „აღრეული სივრცის კარცერი...“ ის, რაც ამის შემდეგ ხდება მიწაზე, ტრაგედია, კი არაა, არამედ ჯოჯოხეთს შთაგდებული „ემშას წყურვილის“ დასაოკებელი. ეს ტრაგედიაა, „ცდუნებულს რომ ეძვირფასება“; ის „მოლაპლაპე ხმალია“, რომელიც გადებულია ხიდად, რათა „გადაიაროს კაენის ტანმა“, იმ ნამდვილი და ტრაგედიის პირველმა ნაყოფმა, რომელსაც დასასრული არ უჩანს. მაშასადამე, ტრაგედიის ფენომენის სული ზეცაშია, ისაა ნამდვილი ტრაგედია.

ამდენად, ტრაგედიის სული ზეციურია, ტანი – უსულო სხეული კი აქ, დედამიწაზეა, უსულო არ შეიძლება იყოს ნამდვილი ტრაგედია. ამიტომ „არ არსებობს ტრაგედია“... ჩვენში არსებული ის, რასაც ტრაგედია უწოდეს პოეტებმა, ცოდვისთვის გადახდი-

ლი ხარკია ლუციფერისთვის. ნამდვილად არსებული ტრაგედიის შემეცნება მხოლოდ ზეციურთან ზიარებულ ხელდასმულთა და პოეტთა ხვედრია. „ამ აზრის გამგებია... პოეტი“, ვისაც ძალუძს შეიგრძნოს ჩაუქრობელი ნათება მარადიული ჭეშმარიტებისა. ალბათ ასეთი წარმოდგენით იწერებოდა პირველი ტრაგედიებიც, მათი კავშირი ზეციურთან ყოველ სიტყვა-თქმაში იკვეთება. ევრიპიდე იტყვის: ცხოვრება გვამოდრავებს ჩვენ ზევით და ქვევით; ხოლო ანაქსაგორას თქმით, ადამიანის ცხოვრება იმადაა ფასეული და ღირებული, რომ „დააკვირდეს ცას, მასზე ვარსკვლავებს, მზესა და მთვარეს“. ამ დაკვირვების გარეშე ვერ შეიგრძნობ ტრაგედიის სულს.

**6. ცნობადსა და შეუცნობადს შორის განოლილი კანიონი**

თორნიკე ქავშაიას პოეზია მთლიანად ჩაძირულია ასტრალურ სულში. ის იშორებს ყოველგვარ ხელოვნურს და ისე გველაპარაკება მიწიერთ, როგორადაც გონებაში რეკვით ეძლევა ზეციური კანიონის პირას მდგარი „კარდინალის ყორნისფერი ფრაკით“. აქ მის ხილვას „ვარსკვლავეთი გამოუჩნდება ნათებად“ და გადმოვა „ზღაპარი ცხადში“, სადაც, ბოლოს და ბოლოს, „ღამე ხნიერი“ შეიცნეს თვალთ. ეს ხნიერი ღამე სხვაგან „პროტოღამეა“, სადაც იშვა ნათება. „შემდეგ კი ვედრებაში ათასეული დამშვენდა“... და მაღალი მთის ძირას დამშრალ წყაროსთან „დღე შეიცვალა, კიბეები გამოჩნდა ზეციით - ჰა, მაღლა! მაღლა!“ („კიბეები გამოჩნდა ზეციით“). ასეთი ზმანება სწორედ რომ მისტიკურ კანიონთან მდგომის წარმოსახვაშია შესაძლებელი. ამიტომ ვამბობთ: მისი პოეზია კოსმოსურია, დუმილის დამრღვევი სიტყვის პოეზიაა, რომელიც ცნობადსა და შეუცნობადს შორის არსებული უფსკრულის პირას იბადება. ის თვითონ გვამცნობს ამას: „ლურჯის ღრმა ცაზე მოძრაობს ძერა და აუხსნელ კანიონთან ვდგავარ“. ძალაუნებურად გიჩნდება ასოციაცია წიგნთა-წიგნში ნათქვამთან: „ბნელი იდო უფსკრულზე

და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“ („კანიონი“).

მოძრავი სხეული ლურჯის ღრმა ცაზეა და არა ლურჯი ცის სიღრმეში. ეს ორი სრულიად განსხვავებული არსის მატარებელი თქმანია. პირველი ღრმა კოსმოსია – მეცხრე ცაა, სადაც ფრენს პოეტის გონება მისტიკით. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში კი ხილული ცა და მისი სიღრმე გვატკბობს. მაგრამ პოეტს ნაკლებად აინტერესებს ცნობიერი, მას ქვეცნობიერი ეძახის: „მიუხვედრელმა დავიმლაშე გონის სითეთრეო“, იტყვის ის. რა თქმა უნდა, „მიუხვედრელი“ – ეს ქვეცნობიერია; „გონის სითეთრე“ კიდეც – ის ინტუიციური, რომელსაც არ ახლავს ცნობიერების ფერადოვნება. „აუხსნელი კანიონი“ კიდეც – ღმერთის ემანაციაა, „დუმილის უფსკრულიდან ამოტივტივებული ლოგოსის სიტყვის გაჩენის მისტერია“ (გ. გაჩეჩილაძე).

ინტუიცია აქ ყოვლის შუაგულშია, რომლის პრიზმიდან პოეტი მზერამიმართული გონიერების გრძედში სწვდება ბედნიერების სიმბოლოს – „დიდი მომავლის ვარდის“ მშვენიერებას და მიჰყვება მისი ინტუიციური მგრძნობელობა უსასრულო სივრცეში დროთა ფურცლებად ქცეულ სამყაროში ცხოვრების ხომალდებს, რომლებიც გაუტაცია სიამოვნების ძიებას:

„სივრცის ფურცელი ხომალდად გაიშლება,  
რომ მიგვიყვანოს სიამოვნების  
დარწევასთან?!“ („კანიონი“)

მაგრამ მისი გზა არ არის სიამოვნების გზა ამქვეყნიური, მისთვის ხომ მატერიალურში ჩაძირული, სიამოვნების მაძიებელთა ქვეყანა საპყრობილეა. „საპყრობილეა დედამიწის ვრცელი ბოსელი...“ (სხვათა შორის, ამ სტროფის დიდებულ განმარტებას გვაძლევს მ. ჯგუბურია, „რჩეული“ გვ. 9). თუმცა, რა განმარტება, ამ სიამოვნების მაძიებელ „გულგაგრილებულ გვამებზე“ პოეტი სარკაზმით იტყვის:

„ილაქლაქე, ჩემო მანესტროვ,  
შენი მეხოტბე ქალით  
ტაშის პარტყუნი მიიღე გულგაგრილებულ გვამებისგან...“ („მანესტრო“).

ამიტომ მოითხოვს ალბათ იმ ანგელოზის-

გან, რომ უთხრა, – „ნუ სულერთობ, ჩემო ან-გელოზო“, დატოვებას უფსკრულის პირას: „კანიონთან ორბის ნაფეხურზე მე დამტოვე“. ცნობადისა და შეუცნობადის მიჯნაზე დატოვება ღვთის ნებით ხდება, ეს რჩეულთა ხვედრია; დატოვებულს განსაკუთრებული მისია აკისრია. გავიხსენოთ იესოს მიერ პეტრესადმი თქმული იოანე მოციქულზე: „თუ მე მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა?“

პოეტი თვითონ ირჩევს, სად დარჩეს, ე.ი. კანიონის რომელ მხარეს: „კანიონთან ორბის ნაფეხურზე“. ორბის ნაფეხური მიწას ემჩნევა იქ, უფსკრულის პირას, სადაც სხვა სულიერს არ ძალუძს ფეხის მოკიდება. აქ იკვრება ლექსის სიუჟეტური წრე: ლურჯის ღრმა ცაზე ძერა მოძრაობს – სული კოსმოსური და მასთან ინტუიციური, ქვეცნობიერი სული პოეტისა; აქ კი ორბის ნაფეხურია გონიერი სამყარო.

პოეტი, მიუხედავად ინტუიციურ-ქვეცნობიერში ამ „კოსმოსურ სულთან“ მუდმივი შეხებისა, მისი ადგილი აქაა – ამ ორ სამყაროს შორის გონისმიერი მისტიკური კანიონის მიწიერ მხარეს, და იქიდან ეხმიანება არავისგან გაგონილი სიტყვიდან მომდინარე პოეზიის მარადიულ სულს, ის გამუდმებით მოუხმობს ამ წმინდა პოეზიას ციდან: „კანიონი! – ვიძახი, კა-ნი-ო-ო-ნი-ი!...“ ისმის პასუხი ხმანყევით, ზუსტად ისევე, როგორც კაკუნი ღამით, გონში რომ ურეკავს. მაშასადამე, პოეტისთვის ეს კავშირი კანიონის მიღმიური პოეზიის სულთან უწყვეტია, რომელიც ყოველდღე მეორდება და ფურცლავს პოეტის გონების არამიწიერ – ციურ მგრძობელობას და გაფაციცებით ხვდება გარიჟრაჟს; მას იპყრობს „გარიჟრაჟის გაფაციცება“. ეს არაა ჩვეულებრივი ყოველდღიურობა – ღამის ცვლა დღით. პოეტისთვის ყოველი გარიჟრაჟი იმ წმინდა ნათელის ქმნის ტოლია, რომელიც მოჰყვა ღვთის სიტყვას: „იყოს ნათელი!“ ამ ღვთის სიტყვით შექმნილი ნათელის წინა მდგომარეობას, გონმიუნვდომელს, რომლის განსაზღვრასაც შეაღია მთელი თავისი შემეცნებითი შესაძლებლობა კაცობრიობის უღიადესმა გონებამ, პოეტი

კალმის ერთი მოსმით უძებნის შესაფერის ტერმინს: „პროტოლამე“ და აყალიბებს „შესაქმისის“ ცნებას: „პროტოლამის შესანიშნაობა“, რომელიც „ლეგენდებს ფურცლავს და გადის!“ ლეგენდების ხელი აერთებს კანიონის პირას ორბის ნაფეხურთან დარჩენილ პოეტს „პროტოლამის შესანიშნაობასთან“ – ყოვლის გამანათებელ ნათელთან, სადაც არის პოეზიის ენგადი.

რის მიმართაც პოეტი იმარჯვებს ცნებას „პროტოლამე“, ლიტერატურასა თუ ფილოსოფიაში მიღებულია ცნება „დუმილი“ (ლათ. სილენტიუმი), მარადიული მდუმარება. გ. გაჩეჩილაძის განმარტებით, „დუმილი კაცობრიობის სულიერი ცხოვრებისა და კულტურის ფილოსოფიის უდიდესი ფაქტიცაა და სიმბოლოც“. ხოლო მისი, როგორც ცნების, ფესვები მითოსისა და მისტიკის უშორეს ნაპრალებშია განტოტვილი (გ. გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, გვ. 3). პოეტისეული პროტოლამის შესანიშნაობანიც ასევე მოდის ლეგენდებიდან და მისტიკიდან. ისაა, „ლეგენდებს (რომ) ფურცლავს და გადის!“ და „შემოდის კანიონის სიზმარში ეტლი“ – მისტერია ისტორიისა; ამ სულიერ განცდებს პოეტისას არ ჰყოფნის ნაპრალები, მისი „პროტოლამის შესანიშნაობა“ არა ოდენ კაცობრიობის, არამედ სამყაროს მომცველი ყოვლის სანყისია.

ზეშთა სიტყვისა და გონის ზღურბლთან მდებარე ეს მეტაფიზიკური კანიონი – საკრალური სული მისტიკისა – ბადებს სიზმარს: „პროტოლამის შესანიშნაობა ლეგენდებს ფურცლავს და გადის! შემოდის კანიონის სიზმარში ეტლით თუთხალია“. სიზმარი იმაზეა, თუ „პროტოლამის“ – ყოვლის სანყისიერ სუბტრაქტში (ქაოსში) პირველი შერხევით მოსული „შესანიშნაობა“ – სიტყვა მქმნელი სინათლისა – როგორ შობს მიწიერ გონებას – ლეგენდების სულს, ისაა, ლეგენდებს რომ ფურცლავს.

სიზმრიდან გადის ლეგენდები და ამქვეყნიური ცხოვრების ეტლით შემოდის თუთხალია: ქვეყნიერების მემატთანე – ისტორიის სული. ასე აერთიანებს პოეტი ზეშთა სიტყვის და გონების არსთან ლეგენდის სულს,

რომელთა მეშვეობითაც იშვა ისტორიის მისტიკური სული.

მაშასადამე, „მითი... რაც არასდროს ყოფილა და მუდამ არის“ (მირჩა ელიადე), რადგან ის იშვა ზეშთა სიტყვიდან, ამიტომ მისგან მომდინარე სული ისტორიისა აყალიბებს თვითონ ისტორიას: „... არა მარტო როგორც მოცემული ფაქტების ერთობლიობა, არამედ ისტორიაში მოცემული ფაქტები თავისთავად იმ ერის, იმ მისტიკური ორგანიზმის შემოქმედებაა, რომელი ერის ისტორიასაც ვეცნობით, ანუ ვისაც ეს ისტორია გარდახდება“ (ჟ. სირაძე). აი, რა სიღრმეში შევყავართ პოეტს. ეს მართლაცდა კოსმოსური კაკუნით თუა შესაძლებელი. აბა, როგორ ახერხებს პოეტი ზემოთ მოყვანილი ორი მშვენიერი განმარტების – ლეგენდისა და ისტორიის მისტიკური სულის, მათი ფილოსოფიის მოქცევას ერთ ტაეპში.

პოეტი სამყაროს „დაბადების“ და კაცობრიობის შექმნის ზოგადი სიმბოლური წარმოსახვით არ იფარგლება; ის ინტუიციის ძალით ყოველივე იმაში, რაც ესიზმრება კანიონს, ხედავს საკუთარი მოდგმის – „მისტიკური ორგანიზმის შემოქმედებას“.

პოეტი მიმართავს ისტორიის სულს: „– თუთხალია, რამ მოგიყვანა კანიონთან – მეზობელი კოლხეთის ქიპთან...“ ამ მეტაფიზიკურ კანიონთან, ზეცნობიერ-საკრალურთან, ქიპითაა მიბმული კოლხეთი; ის თვითონაა კანიონი, რომელსაც ესიზმრება ყოველივე ეს: სამყაროს შექმნა, ლეგენდები ისტორიის სულისა და თვითონ ისტორია კაცობრიობისა არის თუთხალია, რომელიც მიადგა კანიონს!

მაშასადამე, როგორც ითქვა, კოლხეთი თვითონაა კანიონი, რომელსაც ესიზმრება ყოველივე ეს. ის მისტიკური ორგანიზმია, რომლის ქვეცნობიერსა თუ ცნობიერში ბოროტების არსებობაა მისი ავბედიობის შედეგი, რის გამოც „ილლება ფერი“ ამ მისტერიებისა და დღეს რეალობად გვიჩანს, რომ ეს ცხოვრება – „საპყრობილეა დედამინის ვრცელი ბოსელი“ და „... დუნიაზე ეძებენ სხვა დღეს“, რადგან აქ მეორდება „კანის ყინი“. ამ „ბედის წარწერას“ ვერც კოლხეთი გაეცა:

საბრალო კოლხა! ტანს მაცვია  
 ამაზრზენობა,  
 საბრალო გენო! მე მივცურავ მდინარე-  
 ბაში,  
 ავი ბილიკი გაიარა ინსტინქტის მდგმურმა,  
 არარა ვიცი, გახეთქილი ვაშლი  
 დევს წლობით.  
 ჰე, წინაპარო, სავალალო ყვილი  
 გავსთქვი,  
 მოაბიჯებდა ნისლის დღეში ქერა  
 კორნეტი...

(„მოაბიჯებდა ნისლის დღეში ქერა კორნეტი“).

ეს ცისფერთვალეა, ქერა კორნეტი კოლხის სინონიმია, საპირისპიროდ ჰეროდოტეს ეგვიპტიდან წამოსული თმახუჭუჭა კოლხისა. ამ ექვსსტრიქონიან ლექსში პოეტს საკაცობრიო ისტორია აქვს გააზრებული, რომლის მონანილეა კოლხური ცივილიზაცია.

ამიტომ პოეტი გულდამწვარი გრძნობით ამცნობს ისტორიას: იქ „...სიავე პირფერობის თოკით ჩამომახრჩობს“... და აღმობდება სულის შემძვრელი ყიჟინა: თუთხალია! ა, თუ-თხა-ლია!...

**7. მარადიული თემები თორნიკე ქავშბაიას შემოქმედებაში**

ჩვენ მიერ ამ ნარკვევში მეტ-ნაკლებად სრულად განმარტებულ ამ ორ ლექსში: „კაკუნი ღამით“ და „კანიონი“ თუ სხვა ამონარიდებში საკმაოდ დამაჯერებლად იკვეთება თორნიკე ქავშბაიას პოეტური შემოქმედების ორი მძლავრი თავურსანყისი: „კოსმოსური პოეზიის“ მისტიკა და „ლეგენდის სული“, რომლებიც ერთიმეორისგან განუყოფელია და მთლიანობაში გვეძლევა. მას შევადარებდი ორსახოვან იანუსს, არა მარტო აქ გამოთქმული მოსაზრების გამო, არამედ იმიტომ რომ ის (პოეზია) სუნთქავს დასაბამიერი სიტყვის სულიერებით და მარადიულ მითოსურ დროსთანაა შერწყმული. ამიტომ პოეტისთვის მთავარია მარადიული თემები და არა ყოველდღიურობით გაჟღერებული ეგზისტენცია. ამ თვალსაზრისით, მისი შემოქმედების თემას განსაზღვრავენ ის მარადიული ღირებულებები, რომლებიც ასე

სრულყოფილად და პოეტური განზომილებით აქვს ჩამოყალიბებული მურმან ჯგუბურიას ზემოთ უკვე დამოწმებულ წინასიტყვაობაში.

ის წერს: „არ მეგულება დღეს საქართველოში სხვა პოეტი, ასე ღრმად იყოს დაფიქრებული იმ მარადიულ თემებზე, რასაც ათეული წლებია არ ეხმიანება თანამედროვე პოეზია: სიყვარული, სიძულვილი, ღალატი, ყოფნა-არყოფნა, სიკვდილი, სიცოცხლე, ბნელი და ნათელი, კენტი და ლუნი, ციფრი და რიცხვი, ნაწილი და მთელი, დედამიწა და მზე და მთვარე, ვარსკვლავები და სამყარო, უსასრულობა“. ამას ვერაფერს დავამატებ, მხოლოდ იმას ვიტყვოდი, უფრო სწორად, გავიმეორებდი, რომ პოეტი ყოველივე ამას ოდენ გონების კარნახით კი არ აკეთებს, არამედ უშუალოდ კოსმოსურ სულიერებასთან მისტიკური კავშირით (კაკუნით... ღამით) წარმოაჩენს ამ მარადიულ თემებს.

ამ თავისებურებებიდან გამომდინარეობს მისი პოეზიისა და პოეტიკის კიდევ ერთი განსაკუთრებული (მავანთათვის რაღაც კონტექსტში საჩოთირო) შტრიხი, რომ ამ ლექსებში, ერთი შეხედვით, თითქოსდა დარღვეულია გრამატიკული თუ სიტყვათწარმოებათა ნორმები; სიტყვათა დადგენილი სემანტიკა; სტილისათვის დამახასიათებელია „რთული და ირაციონალური ხლართი“ და ა.შ. სინამდვილეში, ამ დარღვეული „მიღებული ნორმების“ მიღმა კვალიფიციური მკითხველი აღმოაჩენს სრულ კოსმოსურ წესრიგს, რომელსაც ვერაფერს შემატებ და გამოაკლებ ამ შენი ხელოვნური ნორმებით, რომელსაც წარამარა ცვლის ისტორიის დინება, თვით მოდაც კი. ამიტომ, როგორც ერთმა მეგობარმა მწერალმა ბრძანა, თორნიკე ქავშაიას ლექსებისთვის ხელის ხლება დაუშვებელია, ის არ ექვემდებარება გარანდვას და არ იკარებს რედაქტორულ შალაშინს.

თორნიკე ქავშაიას პოეზია, მისი ამ ორიგინალური თავისებურებებიდან გამომდინარე, ძნელია რომელიმე მიმდინარეობას თუ სტილს მიაკუთვნო. მაგრამ, თუ მაინც განვიზრახავთ ამას, ის შეიძლება „მეტაფიზიკური პოეზიის“ ოჯახის განსაკუთრებულ ფორმად წარმოვსახოთ, რომელშიც თვინიერ მეტაფიზიკური ჭვრეტისა აშკარად ჩანს

ცხოვრებისეული განცდები. „მითოსური სული“ მის პოეზიაში წარმოაჩენს სასტიკ, მიწიერ ეგზისტენციას და მასზე პოეტის რეაქციას.

პოეტი დაუფარავად ამჟღავნებს ამ მეტაფიზიკური ტრადიციისკენ სწრაფვას. პოეტის დასავლეთისკენ სწრაფვაც აშკარაა. ის წერს: „ცა უბადლოა დასავლეთისაკენ“, სადაც ის ხედავს „ამეტყველებას უხილავქმნილის“.

XX ს-ში მეტაფიზიკური პოეზიისგან ელიოტის ძალიხმევით იშვა მოდერნიზმი. მან არა მარტო თვითონ აითვისა და განავითარა ამ მიმდინარეობის შედეგთა მხატვრული თავისებურებანი, არამედ, თავისი კოლოსალური ავტორიტეტის ძალით, მეტაფიზიკური პოეზიის ტრადიციას აზიარა XX საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია. აი, საით უნდა მივმართოთ ყურადღება, როცა მისი პოეზიის რაღაც მიმდინარეობები-სადმი კუთვნილებაზე ვმსჯელობთ.

ჩემი შეხედულებით, ცალკეა გამოსაყოფი და საკვლევი პოეტისეული მიდგომა ლექსების სათაურებისადმი. ეს სათაურები დასრულებული პოეტური ერთეულებია, თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული „კაკუნი ღამით“ და „კანიონი“, ან „მე მოგისმენ შვიდ-სიმბოლიკის უცდომელ ჩრდილთან“, „შვიდი ათასი წლის ღამე“. ესენი უკვე თავისთავად ასოციაციით გვითრევენ მისტიკასა და მითში. განა სრულქმნილი ახალი აღთქმის ზნეთსწავლება არ ჩანს სათაურში „მონანიებულს დაეტყობა სრულქმნილის შეწევნა“ და ა.შ. ეს თემა არაა რაღაც ახალი, ეს ლიტერატურული ესთეტიკის თანმდევია პროცესია. ისიც მჭიდროდ უკავშირდება მოდერნიზმს და ჩვენს მწერლობაში სწორედ იქიდან შემოდის XX საუკუნის პირველ მეოთხედში.

სანდრო ცირეკიძე ესეიში „სათაური პოეზიაში“ წერდა: „ლექსში, პროზაში – ყველგან მთავარი მომენტი სახელების დარქმევა, მოძებნა... თუ ავტორმა სათაურში რეზიუმე უნდა გაუკეთოს მთელ ნაწარმოებს, მთელ წიგნს, მაშინ სათაური არის შემოქმედების მთავარი მომენტი“ (96 ესეე, გვ. 142) და ავტორი გვანვდის ერთ მოსაზრებას კონკრეტულ მაგალითზე: „მარტო სათაურები რომ დაეტოვებინა ჟიულ ლაფორგს, მისი პოეზია

---


---

ჩვენთვის არ იქნებოდა ნაკლებად ძვირფასი და გასაგები“. ეს მოსაზრება ზედმინეწით შეესაბამება თორნიკე ქავშბაიას შემოქმედებაში დასათაურების საკითხს. სხვათა შორის, ამ საკითხს მისი პირველი კრებულის „კაკუნი ლამით“ გამოცემიდან ვაქცევდი განსაკუთრებულ ყურადღებას.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ არა მარტო სათაურების საკითხი, არამედ ჩვენ მიერ გამოყოფილი ყველა საკითხი (და არა მარტო)

მოითხოვს განსაკუთრებულ კვლევას. ჩვენ თორნიკე ქავშბაიას პოეზიის სახით საქმე გვაქვს ძალზე თვითმყოფად შემოქმედებასთან, რომელიც ამ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ადამიანს ახსენებს, რომ ის მექანიციზმის ნაშიერი კი არაა, არამედ ცათა სასუფეველშია მისი თავურსაწყისი.

10/IV 2017 წ.



**ზურაბ ბორბოქა**

**კარტოფილის თვალეზი**

ჩვენი სოფელი ულამაზეს პერიფერიაში მდებარეობს, გადაჭედილი ხის სახლებით, ათასგვარი ადამიანებით. ერთხელ თვალეზში ჩახედვაც საკმარისია თითოეული მათგანისათვის და უმალ შეატყობ, რა ახასიათებთ მათ, მზის ამოსვენება თუ ჩასვენებაა მათი.

ჩვენი სოფელი ძირითადად კარტოფილის უხვი მოსავლიანობით არის ცნობილი... არ გეგონოთ, კარტოფილზე – ბოსტნეულის ერთ-ერთ სახეობაზე – ვლპარაკობთ: კარტო(კარტი) და ფილი(მოყვარული)... ჩვენს დროში გასართობი ვერა ნახა ადამიანმა სხვა, ადრე ომში მაინც მივდიოდით საბრძოლველად, ახლა კი ჩვენი დიდგვაროვანი მეფის წყალობით ოქროს ხანაში ვცხოვრობთ. რაც უფრო მეტი დრო გვრჩება ადამიანთან ურთიერთობისა, ვხვდებით, რომ ისევ საბრძოლველად ველზე სჯობდა ყოფნა და ყურება მტრისთვის თვალეზში, რადგან იცოდი, რომ იბრძოდი სიმართლისათვის... მაგრამ აი, აქქქ!!! ღალატი, ღალატი და ღალატი... შეიძლება გიღალატოს შენმა მეწყვილემ საკუთარი ინტერესებისა და მიზნების დასაკმაყოფილებლად, რაც მატერიალური, ღვთივდანწყველილი დოვლათისაკენ დაუოკებელ სწრაფვას უკავშირდება. საშინელი რამ მოიგონეს გასართობად, გართობა ვნებაა, ვნება – ცოდვა, ცოდვა კი – სიკვდილი არა ფიზიკური, არამედ სულიერი. საშინელეზაა, როდესაც სახლში ბრუნდები, შენ კი ხელები ცარიელი გაქვს, სადაც შვილები შემოგყურებენ... და ცარიელი იმიტომ, რომ უგუნური ხარ ადამიანი!

მე ერთ-ერთი მკვიდრი ვარ ამ სოფლისა, რომელსაც ცხოვრებამ შრომა ასწავლა, შრომამ – ოფლის ღვრა, ოფლის ღვრამ – დაფასება, დაფასებამ – მაღლიერება, მაღლიერებამ – სიკეთე, სიკეთემ – სათნოება, სათნოებამ – სასუფეველის არსი...

დილიდან საღამომდე ჩემს პატარა ბოსტანს ვუვლი. ბოსტნის დიდი ნაწილი კარტოფილს უკავია. კარტოფილი ძალიან ჰგავს კარტოფილებს – ადამიანებს, რომლებსაც ფანატიკურად უყვართ კარტის თამაში: ერთ დღეს, როდესაც კარტოფილს ვთლიდი, შავი წერტილი შევნიშნე და ვეცადე, ამომეჭრა, მაგრამ უფრო და უფრო ღრმად დებოდა, შიგნით კი მთლიანად დამპალი იყო; მეორე კარტოფილს გარედან ჰქონდა დიდი სიღამპლე, რომლის კერაც შიგნიდან იწყებოდა.

კარტოფილი სიმბოლურად გამოხატავს კარტოფილის (ადამიანი, რომელსაც ფანატიკურად უყვარს კარტის თამაში) თვალეზს, რომლებიც მოყვრის ღალატზეც კი არიან წამსვლელნი, ოღონდ საკუთარი კეთილდღეობა უზრუნველყონ, და სადაც შეგიძლია დაინახო, თუ როგორ ვითარდება მათში ის შავი წერტილი. თვალი ხშირად აცდუნებს ადამიანს. წმინდა წერილში ნათქვამია: „თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადაადდე, ვინაიდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგელუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს“ (მათე 5,29). მე რომ კარტოფილისათვის, რომელსაც გაფუჭება პატარა წერტილით ეწყებოდა, ადრე ამომელო და მომეკვება ის შავი წერტილი, არ გაფუჭდებოდა. ასევეა სულიც: თუ დროზე არ მიხედავ და თვალიდან წასულ მეტაცაზებს გაფართოების საშუალებას მისცემ, დასახიჩრდები.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება არის შიგნიდან დაწყებული ლპობა. ადამიანი საცოდავია, როდესაც მისი სული შიგნიდან იწყებს დასახიჩრებას. ასეთ ადამიანს, საბოლოოდ, ყველაზე დიდი კვალი გარედან აჩნდება, რომელიც აქრობს ბილიკს, რომელსაც მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ.

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

---

აინყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com






**ხელმოწერათა საყურადღებოდ!**

ქურნალ „მიჯნის“ გამომწერის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შპს „კლანტა-ფორტის“ შემდგომ მისამართებზე: თბილისი, სულხან-საბას ძ. №2, ბ. აბაშიძის ძ. №14, ტელ: 2-98-89-90.

ინდივიდუალური ხელმოწერის მსურველთათვის რეგისტრირება ასევე ხდება მისამართზე: ძ. თბილისი, ტაშკენტის ძ. №25, ისაღარბაზო, იბინა; ტელ: 2-38-03-11.



„ვნებიას მია შენიას, ქრისტე, ვნებიასგან  
განვითავისუფლდი და აღდგომიას შენიას  
ხრწნილტეებისგან ვისხენი, უფალო, დიდებს  
შენდა!“

